ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

1 მაისი **შაბათი** 2010

№ 100 (13088) ფასი 60 თეთრი





ONE

# ვერცხლთან თამაში

» 2,3



# ხვალ დიდი დღეა, დიდი!

ფეხბურთი



მარტინ ჰაარი და შოთა არველაძე

## თურქეთისკენ ჰაარი-ჰაარი?

» გვერდი 2

ჩოგბურთი



ოქსანა კალაშნიკოვა

## პლეი ოფში, ბერძნებთან

» გვერდი 12

რაგბი



## ორი თბილისში, თითო ქუთაისსა და ბათუმში

» გვერდი 13

## ლივერპული და ჩელსი ენფილდზე



სერია A

## რომა მოსისხლე მტერს ქომაგობს

ბუნდესლიგა

## ახდება მაგათის პროგნოზი?



ლა ლიგა

## ბარსას წყალქვეშ გამოცდიან

ევროთასების წინ » გვერდი 6-9

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ჩემპიონატი

XXXII ტური

# ორმხრივი უკმაყოფილება

30.04. თბილისი. ამერი
900 მაყურებელი

| | |
|---|---|
| გაგრა | 1 |
| ბაია | 1 |

0:1 ეხვაია (20. ყველაშვილის პასით), 1:1 ტყეშელაშვილი (71. შარიქაძის პასით)

გაგრა: თევდორაძე - გრიგოროვიჩი (46. ზ. ჩხეტიანი), ტყეშელაშვილი, თ. შალიკაშვილი - ხარაბაძე, ნაკონეჩნი, შარიქაძე, ოქრიაშვილი, გაბუნია - ომელიანოვი (60. ოვონიკოკო), შ. კვანტალიანი (80. პავლიაშვილი).

სათადარიგოები: ნადირაშვილი, ი. შალიკაშვილი, ქორთუა, მოიზესი

ბაია: სომხიშვილი - ს. თოდუა, კვესიეშვილი, ყველაშვილი, აკობია - ვართაგავა - სახოკია (66 ფიფია), რ. ონიანი, ჩისამბა ლუნგუ (88. სამადაშვილი), ბაკარანძე (70. წურწუმია) - ეხვაია.

სათადარიგოები: ზარქუა, აქუბარდია, გუგუჩია, ჭკადუა.

გაფრთხილება: გრიგოროვიჩი (27), თ. შალიკაშვილი (34), ბაკარანძე (58), ოვონიკოკო (67), აკობია (69)

არბიტრი: ლ. სილაგავა

ჩემპიონატის რეგლამენტი და სპორტული პრინციპები თუ არ დაირღვა, გუშინდელი ვერმოგებული მატჩით „გაგრა" ოფიციალურად დაემშვიდობა უმაღლეს ლიგას. ახლა, დარჩენილ ოთხ ტურში ანატოლი პისკოვეცის გუნდმა ქულათა მაქსიმუმიც რომ მოაგროვოს, გადამრჩენელ, მერვე ადგილზე გასასვლელად მაინც არ ეყოფა. არადა, გუშინდელ შეხვედრაში მასპინძლებს მონდომებას მართლაც ვერ დავუწუნებდით (განსაკუთრებით, მეორე ტაიმში), მაგრამ სახიფათო მომენტებს თუ გავიხსენებთ, მაშინ გამარჯვებაზე უფრო მეტი პრეტენზია „ბაიასაც" უნდა ჰქონოდა. მით უფრო, რომ პირველ ტაიმში ელგუჯა ქომეთიანის გუნდმა მართლაც პირწმინდად დაჩაგრა „გაგრა" და უცნაური მხოლოდ ის იყო, „ბაია" შესვენებაზე ერთბურთიანი სხვაობით რომ წავიდა.

...მატჩი ახალი დაწყებული იყო, „ბაიას" ზამბიელმა შემტევმა ჩისამბა ლუნგუმ მშვენიერი სოლო-რეიდი რომ განახორციელა, მაგრამ ზუსტად ვერ დაარტყა. ამას მასპინძელთა საპასუხო კონტრშეტევა მოჰყვა: ჯიმი გაბუნიამ მარცხენა ფლანგიდან ბურთი სტუმართა საჯარიმოში გაგზავნა, მაგრამ „გაგრას" ძირითადში პირველად გამოჩენილი შალვა კვანტალიანის ეფექტური „მაკრატელა" უშედეგო აღმოჩნდა. აი, ეს იყო და ეს: შესვენებამდე მასპინძლებს მეტოქის კართან მეტ-ნაკლებად


ანგარიში გიორგი ტყეშელაშვილმა გაათანაბრა

სახიფათო მომენტი არ შეუქმნიათ! სამაგიეროდ, სტუმრებმა გაილაღეს და შეტევას შეტევაზე ავითარებდნენ. განსაკუთრებული უპირატესობა „ბაიამ" მარჯვენა ფლანგზე მოიპოვა: სევასტი თოდუამ და ზაზა სახოკიამ თავიანთი მეურვეები აშკარად დაჩაგრეს. ამასთან, უაღრესად აქტიური იყო ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენები ჩისამბა ლუნგუც.

აღარაფერს ვამბობთ მიმდინარე ჩემპიონატის ერთ-ერთ ყველაზე ასაკოვან ფეხბურთელზე როინ ონიანზე: „ბაიას" კაპიტანს პირველ ტაიმში სამი (!) ჩინებული მომენტი ჰქონდა, მაგრამ სამივეჯერ მცირედი დააკლდა. პირველ ეპიზოდში ლევან აკობიას შესრულებული საჯარიმოს შემდეგ ონიანი ახლო მანძილიდან თავით ცდილობდა გოლის გატანას, მაგრამ მისმა „კოლეგამ", მასპინძელთა კაპიტანმა რევაზ თევდორაძემ მართლაც ჩინებული რეაქციით ბურთი მოიგერია; მეორე ეპიზოდში ონიანს ასისტენტობას ლევან ვართაგავა უწევდა, მაგრამ სტუმართა კაპიტნის ეფექტური დარტყმა სულ ოდნავ არაზუსტი გამოდგა. მესამედ კი, ონიანი სრულიად მარტოდმარტო აღმოჩნდა მასპინძელთა კარის სიახლოვეს, მაგრამ ასეთ „საჩუქარს" ალბათ არც თვითონ ელოდა და ჩინებული მომენტიც ვერ გამოიყენა. თუმცა, „ბაიას" ფეხბურთელებს პირველ ტაიმში აქტიური თამაში მაინც დაუფასდათ: ამირან ყველაშვილის შორეული პასის მერე სტუმართა ცენტრფორვარდმა ირაკლი ეხვაიამ საკმაოდ რთული მდგომარეობიდან მეტოქის ორ მცველთან და მეკარესთან ბრძოლაში მაინც მოახერხა ზუსტი თავური დარტყმის შესრულება.

მეორე ტაიმის დასაწყისიც სტუმართა აქტიური თამაშით დაგვამახსოვრდა, განსაკუთრებით კი ჩისამბა ლუნგუ გამოირჩეოდა. „ბაიას" ზამბიელი ლეგიონერი სხვა მხრივაც მოექცა ყურადღების ცენტრში - ზვიად ჩხეტიანმა აუტის ხაზთან რომ მოცელა, ჩისამბა ლუნგუმ მასთან „ურთიერთობის გარკვევა" სცადა და ორივე გუნდის ფეხბურთელებს შორის გაწევ-გამოწევაც ვნახეთ. ისე, ტრიბუნაზე მჯდომ ქომაგთა აზრი ამ ეპიზოდში გაიყო - გულშემატკივართა არცთუ მცირე ნაწილი მიიჩნევდა, რომ იმ ინციდენტის ორივე მონაწილე (ჩხეტიანი და ჩისამბა ლუნგუ) მოედნიდან გასაძევებელი იყო...

ვიდრე მოედანზე იყო, ჩისამბამ კიდევ ერთი სახიფათო შეტევა წამოიწყო, მაგრამ ირაკლი ეხვაიას დარტყმული ბურთი „გაგრას" კარის ხარიხას მოხვდა. ამასობაში, თამაშის ტემპი ოდნავ დაეცა, „ბაიას" უპირატესობაც უკვე აღარ იყო თვალში საცემი და უფრო მეტიც: მასპინძელთა პირველივე კარში დარტყმა გოლით დასრულდა! თანაც, მართლაც ეფექტური გოლი ვიხილეთ: ლევან შარიქაძის საჯარიმოდან ჩაწოდებული ბურთი „გაგრას" ცენტრალურმა მცველმა გიორგი ტყეშელაშვილმა ლამაზი თავური დარტყმით მეტოქის კარში გაგზავნა. აი, ამის მერე კი „ბაიამ" ნამდვილი შტურმი მოაწყო მასპინძელთა კართან, მაგრამ სტუმრები დამაგვირგვინებელ ფაზაში ბევრს სცოდავდნენ: გოგა ფიფიას მიერ შესრულებული „სტანდარტულების" შემდეგ როინ ონიანსაც შეეძლო გოლის გატანა და ირაკლი ეხვაიასაც; ერთ ეპიზოდში კი, თორნიკე ოქრიაშვილის თავიდან ასხლეტილი ბურთი პირდაპირ... „გაგრას" კარის ცხრიანში მიფრინავდა, მაგრამ რევაზ თევდორაძემ, როგორც იტყვიან, აკრობატული ნახტომით იხსნა საკუთარი გუნდი. ამასობაში თითქმის მთელი გუნდით შეტევაში გადასული სტუმრები კინაღამ აქეთ დაისაჯნენ: ნიკოლაი ნაკონეჩნი ტექნიკური დარტყმით ცდილობდა ბურთის მეკარისაგან შორეულ კუთხეში გაგზავნას, მაგრამ ოდნავ არაზუსტად გამოუვიდა. უკვე მსაჯის მიერ დამატებული წუთები იყო, აბაიომი ოვონიკოკოს შეეძლო საკუთარი გუნდისთვის დიდი ხნის ნანატრი გამარჯვება მოეტანა, მაგრამ ნაკონეჩნის ფლანგური პასის მერე „გაგრას" ნიგერიელმა ლეგიონერმა ხელსაყრელი პოზიციიდან ბურთი მიზანს ააცილა.

...მასპინძელთათვის მსაჯის მიერ დამატებული 3 წუთი უსაშველოდ გაიწელა; ამ ხნის განმავლობაში „ბაიამ" ზედიზედ რამდენიმე კუთხურიც მოაწოდა და ერთ-ერთი, კინაღამ გოლით დასრულდა: გოგა ფიფიასი და გურამ სამადაშვილის აქტიურობის შემდეგ როინ ონიანს სანტიმეტრები დააკლდა და ბურთს ვერ მიუსწრო, არადა, „ბაიას" კაპიტანი მასპინძელთა კარის წინ სრულიად მარტოდმარტო იმყოფებოდა. საბოლოოდ კი შეხვედრა ისეთი შედეგით დასრულდა, მატჩის დამთავრების შემდეგ ორივე გუნდის მწვრთნელ-ფეხბურთელები უკმაყოფილებას რომ ვერ მალავდნენ; სხვათა შორის, მსაჯობის გამოც...

**გია ტუხაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი * | 31 | 23 | 6 | 2 | 62-17 | 72 |
| 2. დინამო | 31 | 18 | 7 | 6 | 49-17 | 61 |
| 3. ზესტაფონი | 31 | 17 | 10 | 4 | 49-26 | 61 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 31 | 14 | 11 | 6 | 41-30 | 53 |
| 5. სპარტაკი | 31 | 10 | 9 | 12 | 37-47 | 39 |
| 6. სამტრედია | 31 | 8 | 7 | 16 | 36-58 | 31 |
| 7. სიონი | 31 | 6 | 13 | 12 | 22-39 | 31 |
| 8. ბაია | 32 | 7 | 9 | 16 | 28-40 | 30 |
| 9. ლოკომოტივი | 31 | 4 | 10 | 17 | 16-41 | 22 |
| 10. გაგრა | 32 | 3 | 8 | 21 | 23-54 | 17 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| აკინო (ოლიმპი) | 26 (10პენ.) |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 15 (1პენ.) |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯ.) | 11 (1პენ.) |

*ოლიმპს დაკლებული აქვს 3 ქულა.
ზესტაფონი-ოლიმპის მატჩში ორივე გუნდს ჩაეთვალა წაგება 0:3

### დღეს

**სიონი-ოლიმპი**

01.05. ბოლნისი. თ. სტეფანია

17:00

წინა მატჩები: 0:3, 0:6, 0:0

არბიტრი: თ. ხეცაძე
ასისტენტები: ზ. ჯვარიძე, ზ. მენთეშაშვილი
მეოთხე მსაჯი: მ. ურუშაძე

**სამტრედია-ლოკომოტივი**

01.05. სამტრედია. ე. მანჯგალაძე

17:00

წინა მატჩები: 3:0, 2:0, 2:3

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი
ასისტენტები: შ. ქუხილავა, ს. სმიცინი
მეოთხე მსაჯი: ზ. ანიაშვილი

**სპარტაკი-ვიტ ჯორჯია**

01.05. გორი. ქართლი

17:00

წინა მატჩები: 0:2, 1:2, 1:3

არბიტრი: თ. გვანცელაძე
ასისტენტები: ზ. ბერულავა, ზვ. ერქვანია
მეოთხე მსაჯი: გ. ვადაჭკორია

**დინამო-ზესტაფონი**

01.05. თბილისი. ეროვნული

17:00

წინა მატჩები: 1:4, 2:0, 1:0

არბიტრი: ლ. კვარაცხელია
ასისტენტები: მ. ელიკაშვილი, გ. ჩიგოგიძე
მეოთხე მსაჯი: დ. ხარიტონაშვილი

Live პირველ არხზე

### XXXIII ტური

5 მაისი, ოთხშაბათი

ლოკომოტივი-გაგრა
სამტრედია-სპარტაკი
ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია
ოლიმპი-დინამო
ბაია-სიონი

### დუბლიორები. XIX ტური

| | |
|---|---|
| ზესტაფონი-დინამო | 1:2 |
| სპარტაკი-ვიტ ჯორჯია | 0:0 |
| ლოკომოტივი-ბაია | 2:3 |
| გაგრა-სამტრედია | 3:1 |
| ოლიმპი-სიონი | 6:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 24 | 15 | 3 | 6 | 49-24 | 48 |
| 2. დინამო (თბ) | 24 | 14 | 4 | 6 | 38-24 | 46 |
| 5. ბაია | 24 | 10 | 6 | 8 | 33-32 | 36 |
| 3. გაგრა | 24 | 9 | 8 | 7 | 39-27 | 35 |
| 8. ზესტაფონი | 24 | 9 | 7 | 8 | 43-36 | 34 |
| 4. სიონი | 24 | 9 | 7 | 8 | 42-45 | 34 |
| 6. ოლიმპი | 24 | 10 | 3 | 11 | 29-38 | 33 |
| 9. სპარტაკი | 24 | 9 | 4 | 11 | 31-38 | 31 |
| 7. სამტრედია | 24 | 5 | 5 | 14 | 27-41 | 20 |
| 10. ლოკომოტივი | 24 | 6 | 1 | 17 | 26-52 | 19 |

მწვრთნელი

# თურქეთისკენ ჰაარი-ჰაარი?

## არველაძეს ალკმაარიდან ქაისერში ჰოლანდიელი კოლეგა მიჰყავსო...

ხვალ ჰოლანდიურ ერედივიზიონში დასკვნითი ტურია. „ალკმაარს" მესამე ადგილზე მყოფ „ეინდჰოვენთან" ურთულესი საშინაო მატჩი აქვს. მართალია, დიკ ადვოკაატის თანაშემწე შოთა არველაძეს ახალ კლუბთან კონტრაქტი არ გაუფორმებია, მაგრამ უკვე დღესავით ნათელია, რომ ადვოკაატთან ერთად „ალკმაარს" ისიც დატოვებს.

უკვე ვწერდით, რომ შოთა თითქმის შეუთანხმდა თურქულ „ქაისერისფორს" და სადღაც ივნისის პირველ რიცხვებში (შეიძლება, უფრო ადრეც) ამ კლუბთან კონტრაქტსაც გააფორმებს. ამას გარდა, ალკმაარელებს, შესაძლოა, კიდევ ერთი მწვრთნელი გამოეთხოვოს - ლაპარაკია ადვოკაატის კიდევ ერთ თანაშემწე მარტინ ჰაარზე. ჰოლანდიური წყაროების მტკიცებით, შოთას „ქაისერისფორში" ჰაარის წაყვანაც სურს.

თუმცა ალკმაარელებს ბატონი მარტინი არ ეთმობათ. თან ეს კლუბი ჰაარისთვისაც არ ნიშნავს ცოტას. ის და შოთა ერთად მუშაობდნენ და ჩვენებური მწვრთნელი აცხადებს, რომ ერთმანეთს იოლად უგებენ. ამიტომ მიიჩნევს, მათი ერთობლივი მუშაობა სასიამოვნოცაა და სასარგებლოც, თუმცა...

*„ახალი კონტრაქტის პირობებზე მარტინ ჰაართან თითქმის მიღწეული გვაქვს შეთანხმება. ვიცით, რომ მისი წაყვანა „ქაისერისფორში" შოთა არველაძეს უნდა. ჰაარს თურქეთში თავგადასავლები ელის. ახლა ყველაფერი მისი გადასაწყვეტია. მარტინ ჰაარი კარგად იცნობს ჩვენს კლუბს და თავად უნდა გააკეთოს არჩევანი სტაბილურობასა და თავგადასავლებს შორის",* - voetbalprimeur.nl-სთან საუბარში აღნიშნა „ალკმაარის" გენერალურმა მენეჯერმა ტოონ გერბრანდსმა.

**დავით ცაბაძე**


მარტინ ჰაარი (მარცხნივ) და შოთა არველაძე

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი მატჩი • დინამო-ზესტაფონი • წინასამატჩო

# მოვერცხლილი მატჩი

მართალია, მორიგი ტური გუშინ „ამერზე" გაიხსნა, მაგრამ ცენტრალური მატჩი დღეს, ეროვნულ სტადიონზე გაიმართება. „პაიჭაძეზე" თბილისის „დინამო" და „ზესტაფონი" დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. გუნდები, რომლებიც მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ. გადაჭრით ძნელია იმისი თქმა, რომ ეს „ვერცხლის მატჩია", მაგრამ ამ შეხვედრაში გამარჯვება ვიცე-ჩემპიონის ვინაობას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს და ალბათ უპრიანი იქნება, თუ ამ დაპირისპირებას „მოვერცხლილ მატჩად" მოვნათლავთ.

ერთი სიტყვით, ვნახოთ რა განწყობაა მეტოქე ბანაკებში ამ მნიშვნელოვანი თამაშის წინ. რესპონდენტებად ორივე გუნდში გამორჩეული ფიგურები შევარჩიეთ - „დინამოდან" შემტევი ნახევარმცველი გიორგი კახელიშვილი, „ზესტაფონიდან" კი თავდამსხმელი ჯაბა დვალი, რომელსაც ამ სეზონში ოთხიდან ორი გოლი აქვს გატანილი იმერელთა კარში.

## გიორგი კახელიშვილი: უნდა მოვიგოთ!

- ჩვენ „დინამო" ვართ, ყოველთვის მაქსიმუმისთვის ვიბრძვით და ამ მატჩისთვისაც ისევე ვემზადებით, როგორც სხვა თამაშისთვის.

**- რამდენადაც ვიცი, ამ პრინციპული შეხვედრის წინ დანაკლისი არ გაქვთ...**

- დიახ, ღმერთის წყალობით, ეგრეა, არავინ გვაკლია. ყველა მწყობრში ვართ და ვემზადებით.

**- მეტოქეს როგორ დაახასიათებთ?**

- „ზესტაფონი" ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია ჩვენს ჩემპიონატში. მეტოქეს არაერთი კარგი ფეხბურთელი ჰყავს და ლამაზ ფეხბურთს თამაშობს.

**- იმერელთა კოზირად რას მიიჩნევთ?**

- გამორჩეულ ფეხბურთელებს. ეს გუნდი ბურთს კარგად ფლობს და სიმპათიური გუნდია. თუმცა, ჩვენ თბილისის „დინამო" ვართ და ეს ცოტას ნამდვილად არ ნიშნავს.

**- მიმდინარე ჩემპიონატში სამჯერ ეთამაშეთ „ზესტაფონს", ჯერ 1:4 წააგეთ, მერე 2:0 და 1:0 მოიგეთ. ხვალ გოლუხვ მატჩს უნდა ველოდოთ, თუ ერთი გოლი ყველაფერს თუ არა, ბევრს გადაწყვეტს?**

- არ ვიცი, რა გითხრათ, არ მიყვარს პროგნოზები. ვნახოთ, რა იქნება. ჩვენი მიზანია ხვალაც 3 ქულა ავილოთ და მეორე ადგილზე პოზიცია გავიმყაროთ.

**- ამ მატჩისადმი ინტერესი მართლაც დიდია. ზოგი ჩაკეტილ თამაშს ელის, ზოგი გახსნილს. თქვენ რას ფიქრობთ?**

- ჩვენ შაბათსაც ისე ვითამაშებთ, როგორც ადრე ვთამაშობდით.

**- შანსებს როგორ გაანაწილებდით?**

- პროცენტულად თქმა გამიჭირდება, მაგრამ ერთს კი აღვნიშნავ - ჩვენ მასპინძლები ვართ და ვფიქრობ, მეტოქეზე მეტი შანსი გვაქვს.

**- ზოგი მიიჩნევს, რომ ეს ფაქტობრივად, „ვერცხლის მატჩია" და ამ შეხვედრაში გამარჯვებული ვიცე-ჩემპიონი გახდება. თქვენც ამ აზრისა ხართ?**

- რა თქმა უნდა, ვერცხლის მედლისთვის ბრძოლაში ამ თამაშს დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არა გადამწყვეტი. ამ შეხვედრის შემდეგ ჩვენც და „ზესტაფონსაც" რთული მატჩები გვაქვს და კიდევ შეიძლება რამე შეიცვალოს.

**- „ზესტაფონი" თასის გათამაშებას ადრე გამოეთიშა, „დინამო" კი კვლავაც ორ ფრონტზე იბრძვის. ეყოფა თქვენს გუნდს ძალები საიმისოდ, რომ თასიც მოიპოვოს და ვიცე-ჩემპიონობაც?**

- მაღალი მიზნებისთვის ბრძოლას ჩვენი გუნდის მდიდარი წარსული გვავალდებულებს. რაც შეეხება კითხვას, ჩვენს გუნდში არის იმისი პოტენციალი, რომ ორივე ფრონტზე ბოლომდე წარმატებით ვიასპარეზოთ.

**- ჩემპიონატში „ზესტაფონი" ორჯერ დაამარცხეთ, ერთხელ წააგეთ. ხვალ რას უნდა ველოდოთ?**

- ჩვენ უნდა მოვიგოთ და საამისოდ ბოლომდე ვიბრძოლებთ.

**- წინა ტურში ორივე გუნდმა მოიგეთ და ორივე ბანაკი მოგებულის ფსიქოლოგიით ხვდებით ამ შეხვედრას. ამ ფაქტორს რა მნიშვნელობას ანიჭებთ?**

- ჩვენ „ვიტ ჯორჯიასთან" პრინციპული მატჩი მოვიგეთ. მართალია, ამან ენერგია წაიღო, მაგრამ აღდგენაც მოვასწარით. წინა მოგება ამ მატჩისთვის გარკვეული სტიმულია.

**- „დინამოში" ჩინებულად ათამაშდით, სასტარტოშიც დამკვიდრდით და გუნდში საკვანძო ფიგურადაც იქეცით. ბევრი აღნიშნავს, რომ ზუსტად „თქვენს" გუნდში ხართ. საინტერესოა, თავად რას ფიქრობთ?**

- მართალი გითხრათ, „დინამოში" თავს ჩინებულად ვგრძნობ. ეს მართლაც ჩემი გუნდია. ალალად ვამბობ, გამიმართლა ამ ტიტულოვან გუნდში რომ მოვხვდი. მჯერა, აქედან ბევრს მივაღწევ და უკეთეს ფეხბურთელად ჩამოვყალიბდები. „დინამოში" დამკვიდრება იოლი ნამდვილად არ არის. ამ გუნდში ადგილი არავის აქვს დაჯავშნილი. ჩვენთან დიდი კონკურენციაა და ყველა მატჩში უნდა დაამტკიცო, რომ სასტარტო შემადგენლობაში თამაშს იმსახურებ... რაც შეეხება ჩემი თამაშის ასეთ შეფასებას. მადლიერი ვარ, თუ გულშემატკივარი ასე ფიქრობს. შრომას გავაგრძელებ და მომავალშიც გავამართლებ მათ იმედებს.



გიორგი კახელიშვილი

ფრიდონ გეგეშიძის ფოტო



ჯაბა დვალი

ფოტო: www.fczestafoni.ge

## ჯაბა დვალი: ვინც მოვა, არ ინანებს...

- მართლაც მნიშვნელოვანი მატჩი გვაქვს. ვფიქრობ, ეროვნულ სტადიონზე შეკრებილი გულშემატკივარი ნამდვილად არ ინანებს. პრინციპული მატჩია და ვფიქრობ კარგი სანახაობა იქნება.

**- მიგაჩნიათ, რომ ამ მატჩში მოგებულს ფაქტობრივად, განაღდებული ექნება ვიცე-ჩემპიონობა?**

- განაღდებული ექნება-მეთქი ვერ ვიტყოდი, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ მატჩის მომგები ვერცხლის მედლებისკენ მნიშვნელოვან ნაბიჯს გადადგამს.

**- ამ პრინციპულ შეხვედრას დანაკლისით ხვდებით...**

- სამწუხაროდ, ასეა. უკვე რამდენიმე კვირაა, რაც შოთა გრიგალაშვილი ტრავმირებულია და ამჯერადაც დაგვაკლდება. დაშავდა ლევან კორღალიძეც და ისიც არ გვეყოლება.

**- გრიგალაშვილი და კორღალიძეც? ეს მცირედი დანაკლისი ნამდვილად არ არის. შეძლებთ ისე ითამაშოთ, რომ ეს არ დაგეტყოთ?**

- დანაკლისი მცირე ნამდვილად არ არის. რაც შეეხება კითხვას, ეს იოლი არ იქნება, მაგრამ უნდა შევძლოთ, სხვა გზა არ არის. ჩვენს გუნდში არიან ფეხბურთელები, რომლებსაც შეუძლიათ შეცვალონ ტრავმირებულები.

**- მეტოქეზე რა წარმოდგენა გაქვთ?**

- ჩვენ და „დინამო" ერთმანეთს კარგად ვიცნობთ. სერიოზულ მეტოქესთან მოგვიწევს დაპირისპირება. ვიცით, რთული მატჩი გველის, მაგრამ ძალიან უნდა მოვინდომოთ, სწორად ვითამაშოთ, მწვრთნელის დავალება შევასრულოთ და მჯერა, წარმატებას მივაღწევთ.

**- მაინც რით გამოირჩევა „დინამო"? ერთ-ერთი კოზირი ალბათ კარგად დამუშავებული სტანდარტულებია...**

- ვფიქრობ, სტანდარტულებზე უფრო მეტად „დინამოს" კოზირი კომბინაციური თამაშია. თუმცა ჩვენ ჩვენი კოზირები გვაქვს, რაზეც ხმამაღლა საუბარს მოვერიდები.

**- გასულ კვირაში „ზესტაფონის" ირგვლივ, რბილად რომ ვთქვათ, სიმშვიდე დაირღვა. წინა ტურში „სიონს" კი სძლიეთ, მაგრამ გაგიჭირდათ. გამოვიდა გუნდი არასასურველი ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან?**

- გარკვეული ცუდი ფონი იყო, მაგრამ ეს ფეხბურთელებს თითქმის არ გვიგრძნია. ბოლნისელებთან მოგება საგოლე მომენტების გამოუყენებლობის გამო გაგვიჭირდა. თუმცა მოვიგეთ და ეს უკვე წარსულია. საგოლე მომენტები უნდა მეტად გამოვიყენოთ, ამ კომპონენტზე კიდევ ვიმუშავეთ და მჯერა, გოლის გატანა აღარ გაგვიჭირდება.

**- ეროვნულზე ზესტაფონელი გულშემატკივარი კვლავაც ჩამოვა?**

- კი, ბევრი ქომაგი ჩამოვა და მხარში დაგვიდგება. გვინდა ეს ფანები გავახაროთ და მოგებისთვის ყველაფერს გავილებთ.

**- შანსებს როგორ დაყოფდით?**

- მართალია, სტუმრის რანგში ვართ, მაგრამ მიმაჩნია, რომ შანსები თანაბარია.

**- მიმდინარე ჩემპიონატში ოთხიდან ორი გოლი „დინამოს" სწორედ თქვენ გაუტანეთ. შაბათს უნდა ველოდოთ ამ მაჩვენებლის გაზრდას?**

- ცდას არ დავაკლებ და თუ გამიმართლებს კიდეც, ეს მაჩვენებელი მართლაც გაიზრდება. თასის გათამაშებაზე 2 ბურთი მაქვს გატანილი, ჩემპიონატში - 11 და მინდა გოლების აქტივი გავზარდო.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონი



გოჩა ხოჯავა

## ხოჯავა 15 წუთს ეყო

გუშინ მახაჩყალაში ქართველთა „ანჟიმ" რუსული პრემიერლიგის მე-8 ტურის შეხვედრაში „კრილია სოვეტოვს" უმასპინძლა და 0:0 დაუზავდა. 23 წლის გოლკიპერი **ნუკრი რევიშვილი** ზედიზედ სამი მატჩი იყო „ანჟის" სასტარტოში (4 გოლი გაუშვა) ამჯერად სათადარიგო სკამზე დასვეს. 90 წუთი ითამაშა **დავით კვირკველიამ, გოჩა ხოჯავამ** კი - მეორე ტაიმი. **გიორგი ილურიძე** სათადარიგო იყო, **ზურაბ არზიანი** ტრავმირებულია, **რევაზ ბარაბაძე** განაცხადში არ ყოფილა.

„ჩემპიონატი" წერს, რომ ხოჯავას შემოსვლის შემდეგ თამაშის წარმართვის ინიციატივა ქართველმა პლეიმეიქერმა იგდო ხელთ. მან რამდენიმე კარგი პასი გააკეთა, ერთხელ კი საჯარიმოში სახიფათოდ ჩააზვია ბურთი, თუმცა, რუსული წყაროს ინფორმაციით, ხოჯავას ენერგია ტაიმის პირველი 15 წუთი ეყო მხოლოდ. ხოჯავას და კვირკველიას თამაში 5,5-5,5 ქულით შეაფასეს. „ანჟი" 9 ქულით მე-11 ადგილზეა.

პირველი დივიზიონის მე-7 ტურში ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგა" სტუმრად 0:1 დამარცხდა „ყუბანთან". **ოთარ მარცვალაძე** 70-ე წუთზე შეცვალეს, **ედიკ საჯაია** კი - 88-ეზე. „ვოლგა" 9 ქულით მე-8 ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## კიდევ ერთი კვირკველია რუსეთში

მართალია, სანკტ-პეტერბურგის იტალიელ თავკაც **ლუჩანო სპალეტის** ძალიან სურს, ნევისპირა ქალაქში „მილანიდან" **კახა კალაძე** წაიყვანოს, მაგრამ... ჩვენი ნაკრების კაპიტნის რუსეთში გადაბარგება ძნელად სავარაუდოა (მით უმეტეს, თუ **ლეონარდო** „როსონერის" თავკაცის პოსტს დატოვებს)...

ამავე დროს, შესაძლოა, „ზენიტთან" საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების ცენტრალურმა მცველმა გააფორმოს კონტრაქტი. დიახ, არის შანსი, რომ რუსეთში მოასპარეზე ჩვენი ლეგიონერების რიცხვი კიდევ ერთით გაიზარდოს და „ანჟის" მარცხენა მცველ **დავით კვირკველიას** შემდეგ რუსეთში კიდევ ერთი კვირკველია გამოჩნდეს...

საქმე ისაა, რომ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მცველი **საბა კვირკველია** სანკტ-პეტერბურგის „ზენიტმა" კიდევ ერთხელ მიიწვია. პორტუგალიიდან (სადაც მან **ვლადიმერ გუცაევის** გუნდში საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზა - ავტ) დაბრუნების შემდეგ, მეორე დღესვე კვირკველია პეტრეს ქალაქში გაემგზავრა. ის ცენტრალური მცველია, „თენგიზ სულაქველიძის აკადემიის" გუნდში ასპარეზობს და უკვე მესამე დღეა, „ზენიტის" სარეზერვო გუნდთან ერთად ვარჯიშობს.

კვირკველია პეტერბურგელთა გუნდში მეორედაა. ამ ზამთარს, მოსამზადებელ ეტაპზე საბა „ზენიტის" დუბლებს ანთალიაში შეუერთდა, საკონტროლო შეხვედრებშიც მიიღო მონაწილეობა და მოწონებაც დაიმსახურა. მაშინ ის „ზენიტში" **რევაზ ჩელებაძემ** ჩაიყვანა და ამ საქმეზე ახლაც ჩელებაძე მუშაობს. ნევისპირელები ტანმაღალ კვირკველიას რამდენიმე დღის განმავლობაში დააკვირდებიან და საბოლოო გადაწყვეტილებასაც მიიღებენ.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კაპიტანმა უნგრელებს უარი უთხრა

## იმედაშვილისთვის კიევში შანსი არც მიუციათ...

**დავით იმედაშვილი „ლელომ“ აპრილის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა. რუსთავის „ოლიმპის“ კაპიტანი ამბობს, რომ საქართველოს ჩემპიონატში საკუთარი ძალების რწმენა დაიბრუნა. ჩემპიონატი, ფაქტობრივად, დასრულებულია და შეიძლება თამამად ითქვას: იმედაშვილმა სეზონი მაღალ დონეზე ჩაატარა და რუსთავის „ოლიმპის“ წარმატებაში გვარიანი წილი დაიდო. ვფიქრობთ, გურამ კაშიასთან და ანდერსონ აკინოსთან ერთად, ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელობის კანდიდატია.**



- თვის ფეხბურთელობამ ძალზე გამახარა და მადლობა „ლელოს“ ამ აღიარებისთვის. ეს ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანია, რადგან სეზონის დასაწყისში გულგატეხილი ვიყავი. ძნელია კიევის „დინამოს“ შემდეგ საქართველოში დაბრუნება - ციდან უცებ მიწაზე დავეშვი. ფორმაშიც არ ვიყავი, მაგრამ სეზონი დაიწყო, ვარჯიშებით და თამაშით ფორმა აღვიდგინე. ყველა ვარჯიშის შემდეგ ვრჩები და ვშრომობ, წონაში დავიკელი, ენერგიას ვხარჯავ და საკუთარ სხეულს ვაკონტროლებ. მე რომ ავთამაშდი, ეს „ოლიმპის“ დამსახურებაა, გუნდი ოჯახივითაა, სულ ერთად ვართ და ეს შედეგზეც აისახა. როდესაც ჩვენს პირველობას ვინმე ეჭვქვეშ აყენებს, მაგრად ვბრაზდები, ნახონ, როგორი დამოკიდებულება გვაქვს ერთმანეთთან და მიხვდებიან, რა არის ჩვენი გამარჯვების წინაპირობა. გუნდის კაპიტანი ვარ და ყველას სათქმელს ვამბობ. შრომით მოპოვებული ჩემპიონობა ვილაცამ საეჭვო არ უნდა გახადოს. „ზესტაფონთან“ მატჩის შემდეგ დაგვსაჯეს - მოედანზე ბურთი შემოაგდესო. „ბარსელონა“-„ინტერის“ შეხვედრის დროსაც შევარდა ბურთი მოედანზე, მაგრამ გუნდები კი არ დაუსჯიათ. ათი ქულაც რომ დაეკლოთ, მაინც პირველები ვიქნებოდით, რადგან წელს „ოლიმპი“ საუკეთესო გუნდია. ობიექტური ადამიანი ამაში დამეთანხმება. არადა, ოთხი ქულა წაგვართვეს: 1 - „ზესტაფონთან“ მოპოვებული და 3-იც სასჯელით გათვალისწინებული. ასეთი უსამართლობა არ შეიძლებოდა. ყველა რგოლში მაგარი ბიჭები არიან, მაგალითად, გია ჭანტურია ასაკშია, მაგრამ ნახევარი გუნდია.

**- კაპიტნობამ აშკარად შეგცვალათ, უფრო მონდომებული გახდით.**

- კაპიტნად გუნდმა ამირჩია და „ოლიმპისადმი“ სხვაგვარი გრძნობა გამიჩნდა. ეს განსაკუთრებული პასუხისმგებლობაა.

**- ბავშვობიდან ლიდერი იყავით?**

- რუსთავში თამაზ დოდაშვილთან ვვარჯიშობდი და პირველად კაპიტანი იქ ვიყავი. სამკლავური „ვიტ ჯორჯიაში“ გამოსვლის ბოლო პერიოდშიც მეკეთა. თუმცა საკუთარ თავზე როგორ გითხრათ, ლიდერი ვიყავი თუ არა.

**- 14 წლის წინ შოტლანდიელმა ჟურნალისტმა თქვა, რომ საქართველო სამყაროს დასასრულის შემდეგ არისო. სამ ევროპულ ქვეყანაში თამაშის შემდეგ რას იტყოდით, ჩვენი ფეხბურთი ევროპულისგან კიდევ უფრო შორსაა?**

- საქართველოში თამაში ძალიან რთულია. „ოლიმპი“ ჩემთვის გუნდზე მეტია, მაგრამ კიევის „დინამოს“ ფინანსურად, სავარჯიშო პირობებით და ასე შემდეგ, მართლაც ძალიან ჩამოვრჩებით. აქ დაბრუნებული არა მხოლოდ გულგატეხილი, საკუთარ თავზე გაბრაზებულიც ვიყავი. განვიცდიდი, უკრაინაში დამკვიდრება რომ ვერ მოვახერხე. 21 წლის ბიჭი ევროპის ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ კლუბში რომ ჩავირიცხე, მეგონა, სამ-ოთხ წელიწადში ევროპის უფრო ცნობილ კლუბში გადავიდოდი. ასეთ ცვლილებას კი ვერ წარმოვიდგენდი. ვერ ვიტყვი, რომ ვიზარმაცე და ყველაფერი ჩემი ბრალი იყო. ოთხი წლის განმავლობაში „დინამოში“ არ ყოფილა მწვრთნელი, რომელიც მენდობოდა. ბოლო წუთებში მათამაშებდნენ, ეს იყო და ეს. მეორე დღეს დუბლებში მაყენებდნენ. ეს საშინელი გრძნობაა და ჩემზე ძალიან ცუდად მოქმედებდა. ბოლოს კიევის „დინამოდან“ წამოსვლა სანატრელი გამიხდა.

**- მეორე მხრიდან შევხედოთ: კიეველებმა ფული ტყუილად ხომ არ გადაყარეს? თქვენი იმედი ჰქონდათ, მაგრამ იქნებ კონკურენტებს ვერ სჯობდით?**

- ალბათ, საქართველოდან სხვაგვარად ჩანდა და შესაძლოა, ფიქრობდნენ, რომ ჩემი შანსი ვერ გამოვიყენე. შანსი არ მომცემია და როგორ გამოვიყენებდი? ფიზიკურ მომზადებას კიევში დიდ ყურადღებას აქცევენ და ამ მხრივ პრობლემა არ მქონია. ერთ-ერთი მწვრთნელი, ლუჟნი, იმასაც ამბობდა, ფიზიკურად ასეთი მომზადებული ფეხბურთელი ჯერ არ გვყოლიაო, მაგრამ მარტო ქება რას მარგებდა, თამაში და ნდობა არ მაღირსეს. თორემ, წარმოუდგენელია, კიეველთა პირობებში ფეხბურთი ვერ ითამაშო.

**- პოსტსაბჭოური საფეხბურთო სამყაროს უკეთურობებზე ლეგენდები დადის, სადაც მწვრთნელისა და მენეჯერის პირადი ინტერესი ხშირად გადამწყვეტია - ამ ინტერესებს ვერ მოერგეთ?**

- ბევრი ისეთი დეტალია, რომელიც თავადაც არ ვიცი. მაგალითად, რატომ არ მენდობოდნენ, რას მერჩოდნენ და ა.შ. მე უკრაინელზე წინ არ დამაყენებდნენ და ესეც ბუნებრივია. ასეა თუ ისე, მადლობა ეკუთვნის თემურ მახარაძეს, რომელმაც გულგატეხილი და ფორმიდან ამოვარდნილი ფეხბურთელი მომამზადა და იმედი დამიბრუნა. ძალიან კარგი მწვრთნელია. შემიძლია ვთქვა, რომ კრიზისი დაძლეულია.

**- კონტრაქტი გიმთავრდებათ - რჩებით „ოლიმპში“ თუ იმედმოცემული ისევ უცხოეთს მიაშურებთ?**

- ჯერ ვერაფერს გეტყვით. მეორე ეტაპის დაწყებამდე უნგრეთში დაბრუნება და ორწლინახევრიანი კონტრაქტის გაფორმება „ნირედიაზამ“ შემომთავაზა, მაგრამ უარი ვუთხარი, რადგან დათო კირკიტაძეს დარჩენის პირობა მივეცი და წასვლა აღარ გამოდიოდა, სიტყვა სიტყვაა. დათო „ოლიმპისა“ და აქედან გამომდინარე, ქართული ფეხბურთისთვის იმდენს აკეთებს, პატივისცემას იმსახურებს. ადრე სულ იმას ვამბობდით, სახელმწიფოს ფეხბურთი არ აინტერესებსო. ახლა კაცი დაინტერესდა, საქმეში კიდევ ბევრი სახელმწიფო მოხელე ჩართო და ლანძღვა დაუწყეს. ასე არ შეიძლება! კირკიტაძე რომ არა, „ოლიმპი“ და „სიონი“ კრიზისს ვერ გაუძლებდნენ, ეს მე კარგად ვიცი. კირკიტაძეს, რუხაძეს, კოკაიას და ასეთ ხალხს გაფრთხილება სჭირდება და არა გინება. „ოლიმპიდან“ წასვლის შემთხვევაშიც ამას ვიტყვი. ფეხბურთს ყველა რეგიონში ქვემო ქართლის მსგავსად რომ პატრონობდნენ, საქართველოში მაღალი დონის ჩემპიონატი გვექნებოდა.

**- უნგრელები ახლა აღარ გიწვევენ?**

- სხვა ვარიანტებიც არის, მაგრამ ჯერ ვერ გადამიწყვეტია, დავრჩები თუ წავალ.

**- რას ფიქრობთ, „ოლიმპს“ ამ შემადგენლობით ევროთასებზე რამდენი ეტაპის გადალახვა შეუძლია?**

- მთავარია, სეზონის დაწყებამდე რა მიზნებს დაგვისახავენ, რა ცვლილებები იქნება, ვის დავიმატებთ და როგორ გავძლიერდებით. ჩემპიონატის შემდეგ ხელმძღვანელობა დაგველაპარაკება.

**- ოთხ ქვეყანაში გითამაშიათ და შევადაროთ ამ ქვეყნების პირობები.**

- კიევის „დინამოს“ ვერც ერთ კლუბს ვერ შევადარებ. კონჩა-ზასპეში გუნდის ბაზა პატარა, კეთილმოწყობილ ქალაქს უფრო ჰგავს და ყველაფერია, ფეხბურთელი ბაზიდან რომ არ გავიდეს: გასართობები, რესტორანი და ა.შ. სავარჯიშო პირობები ჩვენთვის სანატრელია - ტრენაჟორების დარბაზი, საცურაო აუზი, რვა სავარჯიშო და ორი ხელოვნურსაფარიანი მოედანი, რომელთაგან ერთი გადახურულია, უამინდობის დროს ვარჯიში რომ არ ჩავარდეს. ეს უკრაინელებს არ უკვირთ, მათთვის ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. უნგრულ კლუბს საკუთარი მოედანი აქვს, მაგრამ ბაზა არ გააჩნია და ტრენაჟორების დარბაზსა და აუზს ქირაობენ. თუმცა მსგავსი გულშემატკივრობა არც ერთ ქვეყანაში არ მინახავს. სტადიონზე გასვლა მიხაროდა, ტრიბუნები გუგუნებდა, თამაშის დროს, პატარა ქალაქ ნირედიაზაში ქუჩები იკეტებოდა. ფინანსურად უკრაინელებს ჩამორჩებოდნენ. ლატვიურ „ვენტსპილს“ საკუთარი სტადიონი და სავარჯიშო მოედანი აქვს, მაგრამ არ გააჩნია ბაზა და ძალიან მიკვირდა, მაყურებელი საერთოდ რომ არ ჰყავდა. ასე საქართველოშიც არ ხდება. მგონია, „ოლიმპი“ უკეთესი კლუბია, საკუთარი სტადიონი და საკმაოდ კარგად მოწყობილი ბაზა აქვს, ტრენაჟორებით, რესტორნით, სადაც კარგი კვებაა და „ვენტსპილზე“ ბევრად მეტი მაყურებელი გვყავს. თუმცა სიცხეში ხელოვნური საფარი ცხელდება და თამაში რთულია. „ვენტსპილსი“ მხოლოდ ამით და უფრო მაღალი ხელფასებით გვჯობდა. ყველაზე კარგი მოედნები უკრაინაშია, თამაში მსიამოვნებდა, უნგრეთში კარგია, მაგრამ ზოგიერთ სტადიონზე თავი საქართველოში მეგონა. ლატვიაშიც არაა ეს პრობლემა, ჩვენთან კი იცით, რაც ხდება - ეროვნულზე, ზესტაფონსა და რუსთავში კარგი საფარია, სხვაგან კი თამაში წვალებაა. შეუძლებელია ერთი შეხებით, კომბინაციური, ლამაზი და თანამედროვე ფეხბურთის ჩვენება. უფრო იმაზე ვფიქრობთ, ბურთი არ აგვიხტეს. მერე გვსაყვედურობენ, ტემპში რატომ არ თამაშობთო. აქ ეს შეუძლებელია!

# გელა ხუბუა ფეხბურთისთვის თავის დანებებასაც ვაპირებდი...

## ოლიმპის მცველი ფეხბურთისკენ მახარაძემ შემოაბრუნა

**გელა ხუბუას „ოლიმპიდან“ „სიონში“ წასვლა-წამოსვლა კურიოზების ისტორიაში შევა - დიახ, ორი წლის განმავლობაში „ოლიმპის“ ამჟამინდელი მცველი რუსთავი-ბოლნისი-რუსთავის გზაზე სამჯერ წავიდა და წამოვიდა! არადა, საკმაოდ საინტერესო ფეხბურთელია. ორი წლის წინ მისით თბილისის „დინამო“, რუსული და კიდევ რამდენიმე უცხოური კლუბი დაინტერესდა, დიდი ფეხბურთის თამაში კი... ბულგარეთიდან დაიწყო.**

**- გელა, თქვენს კარიერას რომ თვალი გადავავლოთ, აღმოჩნდება, რომ მშვიდად არც ერთ კლუბში არ ყოფილხართ, ძალიან დიდ დროს ატარებთ გაუთავებელ მოგზაურობაში...**

- რუსთავის „ოლიმპში“ დამკვიდრება მოვახერხე. მართალს ბრძანებთ, აქამდე გაუთავებლად ვიცვლიდი კლუბებს, რადგან „ოლიმპში“ მწვრთნელები ხშირად იცვლებოდნენ და ჩემდამი მათი დამოკიდებულებაც არაერთგვაროვანი იყო. კიდევ კარგი, ბოლნისის „სიონში“ თემურ მახარაძემ მნახა, მენდო და შემიძლია თამამად ვთქვა, რომ მან გამხსნა, ამათამაშა... ამდენი გადასვლა-გადმოსვლით იმდენად დავითრგუნე, საკუთარი ძალების რწმენა შემერყა და რა დასამალია, ფეხბურთისთვის თავის დანებებასაც ვაპირებდი.

**- სამჯერ გაგიშვეს „სიონში“. ალბათ, თავმოყვარეობაც შეგელახათ...**

- ამაზე ლაპარაკი არ მსიამოვნებს... ძნელი გადასატანი იყო, მაგრამ საბედნიეროდ, ახლა ვთამაშობ და ვგრძნობ, რომ მწვრთნელი მენდობა. იცით, ეს როგორ მოქმედებს? ორმაგი მონდომებითა და სტიმულით ვთამაშობ. მასთან ბოლნისში ვვარჯიშობდი და ეტყობა, ცუდი შთაბეჭდილებაც არ დამიტოვებია.

**- როგორც ჩანს, „სიონში“ ტყუილად მაინც არ წასულხართ...**

- მართალი ხართ. რომ არა „სიონი“ და მახარაძის ნდობა, ფეხბურთს შევეშვებოდი. როცა გეუბნებიან, რომ გუნდი უნდა დატოვო, ძნელია, თავდაჯერებული იყო.

**- ბევრისგან მსმენია - ფეხბურთის სათამაშოდ ყველაფერი აქვს, მაგრამ ტაქტიკური განათლება აკლიაო. შევნიშნე, რომ თუ ერთხელ თამაში არ წაგივიდათ, მერე იბნევით, და პირიქით - თუ წაგივიდათ, ველარ გაჩერებენ. აქედანაც ჩანს, რომ ცივსისხლიანი არ ხართ...**

- საერთოდ, ემოციური ვარ. თუმცა ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ვიბნევი, ასეთი რამ არ მახასიათებს.

**- სხვადასხვა პოზიციაზე გათამაშებენ - დაცვაში, ნახევარდაცვაში, საყრდენად... რომელია თქვენი პოზიცია?**

- შეტევებში ხშირად ვერთვები და მიყვარს კიდეც, მაგრამ ალბათ, საჩემო ადგილი მარცხენა მცველის პოზიციაა. თუმცა საკუთარ თავს კაპრიზის უფლება არ უნდა მისცე. იყო დრო, როცა გიორგი კიკნაძე და ზაზა ზამთარაძე „ოლიმპში“ საყრდენ ნახევარმცველად მათამაშებდნენ და ამ პოზიციაზე მომწონდა კიდეც თამაში... (იცინის) ისე, ერთი კარში არ დავმდგარვარ და ვფიქრობ, ესეც ვცადო, თორემ, ლამის ყველა პოზიციაზე მითამაშია... ვფიქრობ, ყველაზე მეტად გიორგი კიკნაძემ და თემურ მახარაძემ გამიგეს.

**- რუსთავის „ოლიმპი“, ფაქტობრივად, უკვე საქართველოს ჩემპიონია. თუმცა თქვენმა ლიდერობამ ბევრი უსიამოვნო ჭორი ააგორა...**

- თითქმის არ ვაგებთ, კონკურენტებს ვჯობნით და რატომ გახდა ჩვენი ჩემპიონობა სალაპარაკო, ვერ გავიგე. გვავჯობონ და ალალი იყო ოქროს მედლები. რეალურად, ჩვენმა ერთსულოვნებამ გუნდად გვაქცია, ჟინმა და მახარაძის გამოცდილებამ თავისი გააკეთა. პირველ ადგილზე ყოფნა ასე ადვილი არ არის. არასასიამოვნოა, როცა შრომობ, წვალობ, ყველას სჯობნი და მერე ასეთ ხმებს გიყრიან...

**- გულშემატკივრისთვის ბევრად მნიშვნელოვანია, მოახერხებს თუ არა „ოლიმპი“ ევროთასებზე თუნდაც ორი ეტაპის გადალახვას?**

- გააჩნია, ვინ შეგვხვდება, მაგრამ მხოლოდ მეტოქეზეც არ უნდა ვიყოთ დამოკიდებული. როგორც გავიგე, საამისოდ, „ოლიმპის“ ხელმძღვანელობა საინტერესო ტრანსფერების განხორციელებას აპირებს და რაც უფრო გავძლიერდებით, მეტი ეტაპის გადალახვას შევძლებთ. მგონია, რომ წელს უკეთესად უნდა გამოვიდეთ, ვიდრე პირველი ჩემპიონობის დროს. „ოლიმპი“ ჩამოყალიბდა და როგორც გუნდი, აშკარად გაიზარდა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. მაშინ ასეთი გამოცდილები არ ვიყავით. თანაც, ჩვენ ვხედავთ, რომ მარტო არ ვართ - რეგიონი ფიქრობს გუნდზე. ეს ძალიან ბევრს ნიშნავს, ძალას გვმატებს...

**- „ოლიმპი“ კი ითამაშებს ევროთასებზე, მაგრამ თქვენ რჩებით?**

- ჯერ არ ვიცი, რადგან კონტრაქტი მიმთავრდება და არ არის გამორიცხული, წავიდე.

**- აბა, „ოლიმპი“ საჩემო გუნდიაო?..**

- მე კი არ მინდა წასვლა, მაგრამ... კონტრაქტის გახანგრძლივებაზე არ გვილაპარაკია და ძალით ხომ არ დავრჩები? თუ შემომთავაზებენ, სიამოვნებით დავრჩები.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# ვახტანგ კვარაცხელია
# ჯორჯიას ბომბარდირის საფინალო სამზადისი


ვახტანგ კვარაცხელია

**უკვე რამდენიმე ტურია, „ვიტ ჯორჯია" ვახტანგ კვარაცხელიას გარეშე თამაშობს. ვეტერინართა ნამყვანი ფორვარდი და საუკეთესო ბომბარდირი (11 გოლი მიმდინარე ჩემპიონატის 22 მატჩში) დაშავებულია, მაგრამ ტრავმა საგანგაშო არაა და იგი ამ სეზონში კიდევ მოასწრებს თამაშს. კვარაცხელიას მოახლოებულ სათასო ფინალსა და ევრობატალიებზე გავესაუბრეთ.**

**- რა სახის ტრავმა გაქვთ?**

- ფეხის კუნთი მაქვს დაჭიმული. ერთი შეხედვით, არაა სერიოზული დაზიანება, მაგრამ ტკივილები მაწუხებს და ასე თამაში ძნელია. ამ ტურში „სპარტაკთან" თამაშს ვერ შევძლებ, ოთხშაბათს კი „ზესტაფონთან" განაცხადში აუცილებლად ვიქნები და ალბათ, თამაშიც მომიწევს. სულ მალე 90 წუთის სათამაშოდაც მზად ვიქნები.

**- ოპტიმალურ ფორმას როდის დაუბრუნდებით?**

- ძალიან მალე, იმიტომ, რომ ვარჯიში ერთი დღითაც არ შემიწყვეტია. თავიდან ინდივიდუალურად ვემზადებოდი, ახლა კი უკვე გუნდთან ერთადაც ვვარჯიშობ. ძველებურ ფიზიკურ ფორმაში ვარ, თუმცა სათამაშო პრაქტიკის არქონა მაინც ბევრს ნიშნავს და ძველებურად რამდენიმე მატჩის შემდეგ ავთამაშდები. სეზონის უმნიშვნელოვანესი შეხვედრა საქართველოს თასის ფინალში გველის და დარწმუნებული ვარ, ამ თამაშისთვის უკვე კარგ ფორმაში ვიქნები.

**- ალბათ, ყველანი უკვე თასის ფინალზე ფიქრობთ.**

- რა თქმა უნდა. მით უფრო, ჩემპიონატის მატჩებმა პრაქტიკული ინტერესი დაკარგა. პირადად ჩემთვის ნამდვილად არა აქვს დიდი მნიშვნელობა, ჩემპიონატში მესამე ადგილზე გავალთ თუ მეოთხეზე. „სპარტაკთან" ერთი ქულაც გვყოფნის იმისთვის, რომ ევროპის ლიგის საგზური მოვიპოვოთ. თასი კი პრესტიჟული ტიტულია, რომელიც „ვიტ ჯორჯიას" აქამდე არასოდეს მოუპოვებია და ამ ჯილდოს დასაუფლებლად არც ჩვენ და არც დინამოელები ძალ-ღონეს არ დავიშურებთ. „ვიტ ჯორჯიასა" და „დინამოს" დაპირისპირებას დიდი და საინტერესო ისტორია აქვს, დარწმუნებული ვარ, ფინალიც შთამბეჭდავი გამოვა და გულშემატკივარი სანახაობრივი ფეხბურთით დატკბება.

**- „დინამოსთან" ჩატარებული რომელი მატჩი იყო თქვენთვის ყველაზე წარმატებული?**

- „დინამოს" კარში ორი გოლი მაქვს გატანილი და ამიტომაც ამ ორ შეხვედრას გამოვარჩევდი. ჩვენი ბევრი მატჩი უგოლოდ დასრულებულა და ამიტომაც ორი გატანილი ბურთი კარგ შედეგად მიმაჩნია.

**- ამ სეზონში „ვიტ ჯორჯიამ" „დინამოს" ორჯერ მოუგო, მაგრამ ბოლო მატჩი თქვენი მარცხით დასრულდა...**

- მეტოქემ სწრაფი გოლი გაიტანა და უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა. „დინამომ" ის გამარჯვება დაიმსახურა, მაგრამ ამავდროულად, ჩვენი გამარჯვებებიც კანონზომიერი იყო. ჩემპიონატშიც და სუპერთასზეც მაღალი დონის ფეხბურთი ვითამაშეთ. დარწმუნებული ვარ, ამ სეზონში „დინამოს" დამარცხებას მესამედაც შევძლებთ და საქართველოს თასი ჩვენ დაგვრჩება.

**- თქვენს არყოფნაში საკმაოდ კარგად წარმოაჩინეს თავი „ვიტ ჯორჯიას" სხვა თავდამსხმელებმა.**

- ეს გულით მიხარია. გიორგი ბერიაშვილიც და ბესიკ ჩიმაკაძეც მაღალ დონეზე თამაშობენ და გუნდისთვის დიდი სარგებლობა მოაქვთ. კონკურენცია ყოველთვის კარგია. ახლა ჩემი ჯერია დავამტკიცო, რომ ძირითად შემადგენლობაში თამაშს ვიმსახურებ. ამისთვის ბოლომდე დავიხარჯები.

**- „ვიტ ჯორჯია" ჩემპიონატის მეორე ეტაპზე ბევრ ქულას კარგავს. ეს რას უნდა მივაწეროთ?**

- მას შემდეგ, რაც ჩემპიონობის შენარჩუნების პრაქტიკული შანსი დავკარგეთ, აქცენტი თასის გათამაშებაზე გავაკეთეთ, სადაც ამოცანას წარმატებით გავართვით თავი და ფინალში გავედით. ჩემიონატში არასტაბილური ასპარეზობა იმასაც უნდა მივაწეროთ, რომ გუნდი ახალ სათამაშო სტილთან ადაპტაციის პროცესშია. მოგეხსენებათ, „ვიტ ჯორჯია" ახლა შემტევ და კომბინაციურ ფეხბურთს თამაშობს, ბურთს უფრო ინტენსიურად აკონტროლებს, ამ ყველაფრის სრულყოფას კი დრო სჭირდება. დარწმუნებული ვარ, თასის ფინალს სრულ მზადყოფნაში შევხვდებით.

**- გულშემატკივარს ევროთასებზე რის იმედი შეიძლება ჰქონდეს „ვიტ ჯორჯიასგან"?**

- ნამდვილად გვაქვს იმის რესურსი, რომ ევროტურნირებზე წარმატებით ვითამაშოთ და გულშემატკივარი გავახაროთ. მოახლოებულ მნიშვნელოვან მატჩებს დიდი ენთუზიაზმით ველი და ვიმედოვნებ, რომ „ვიტ ჯორჯიასთვის" ახლო მომავალში კიდევ უფრო სასარგებლო ფეხბურთელი ვიქნები.

**- ახალგაზრდულ ნაკრებში დაბრუნების იმედი გაქვთ?**

- ტრავმა ფეხბურთელს ყოველთვის უკან ხევს, ასე რომ, შეიძლება, ეს ახლავე არ მოხდეს, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ნაკრებს უახლოეს პერიოდში დავუბრუნდები. რა თქმა უნდა, ყველაფერი მწვრთნელის გადასაწყვეტია. ახალგაზრდულ ნაკრებში ყოველთვის თავდადებით ვთამაშობდი და თუ კიდევ მომეცა თავის გამოჩენის შესაძლებლობა, მწვრთნელისა და გულშემატკივრების იმედებს არ გავაცრუებ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერები

# ბარაბაძე შეიძლება, დანიაში დაბრუნდეს



**მიხეილ ბარაბაძე** საფრანგეთის რანგით მესამე ლიგის ბინადარი „რუენის" შემადგენლობაში დიდი ხანია, არ გამოჩენილა, რისი მიზეზიც ტრავმაა. ქართველმა თავდამსხმელმა ვარჯიში უკვე განაახლა და იმედოვნებს, რომ სეზონის დასრულებამდე თავის გამოჩენის შანსი კიდევ მიეცემა.

*„გუნდში დიდი კონკურენციაა, მაგრამ სანამ დავშავდებოდი, ყოველთვის ვხვდებოდი განაცხადში და თამაშიც საკმაოდ ხშირად მიწევდა. ტრავმა ამ სეზონში ორჯერ მივიღე, რამაც ჯამში ოთხი თვე დამაკარგვინა. ჯერ არ ვიცი, რა იქნება ახლო მომავალში. სათამაშო პრაქტიკა ძალიან მჭირდება და თუ ძირითადში მოხვედრა გამიჭირდა, კლუბს აუცილებლად შევიცვლი. აქ ახალგაზრდებზე მეტად, გამოცდილ ფეხბურთელებს ენდობიან, მაგრამ არ მინდა, მოვლენებს წინ გავუსწრო. ჩემი თავის იმედი მაქვს და შევეცდები, ძირითად შემადგენლობაში ფეხი მოვიკიდო. მართალია, „რუენში" ფინანსური პირობებიც მაკმაყოფილებს და გარემოც, მაგრამ ახალგაზრდა ფეხბურთელი სისტემატური სათამაშო პრაქტიკის გარეშე არ უნდა იყოს დარჩენილი"*, - გვითხრა ბარაბაძემ, რომლის გუნდიც 20-გუნდიანი დივიზიონის დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე მე-11 ადგილზე იმყოფება.

მან იქვე დაამატა, რომ თუ „რუენში" არ დარჩა, კარიერას ან ბელგიაში გააგრძელებს, ანაც დანიაში დაბრუნდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სტუმრები

# ჯერ ევა, მერე კლიმენტი...

## ფეხბურთის ფედერაცია ევროპელი მაღალჩინოსნების მოლოდინში

მალე საქართველოს ფიფასა და უეფას მაღალჩინოსნები ეწვევიან. როგორც გავიგეთ, ფეხბურთის საერთაშორისო მმართველი ორგანოებიდან პირველი - ფიფას ემისარი ჩამოვა. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამაც** დაგვიდასტურა, რომ შაბათს, 4 მაისს, ფიფას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მენეჯერი **ევა პასკიე** ჩამობრძანდება.

*„ეს იქნება ევა პასკიეს ოფიციალური ვიზიტი. ჩვენ ახლოს გავიცნობთ ერთმანეთს და ვისაუბრებთ ქართული ფეხბურთის განვითარების გზებზე. ვიმსჯელებთ, თუ რაში შეუძლია ფიფას ჩვენი დახმარება და რა უნდა გააკეთოს საამისოდ ქართულმა მხარემ"*, - თქვა სიჭინავამ.

ცნობისთვის, ევა პასკიესთვის საქართველოში ეს პირველი ვიზიტი არ არის. ის ჯერ კიდევ მაშინ და თან არაერთხელ იყო თბილისში, როცა ფეხბურთის ფედერაციას **მერაბ ჟორდანია** ხელმძღვანელობდა. სხვათა შორის, ქალბატონ პასკიეს დღესაც ახლო და საქმიანი ურთიერთობა აკავშირებს ფედერაციის ყოფილ გენერალურ მდივან **ვალერი ჩოლარიასთან**, რომელიც ამჟამად უეფას პროგრამა OPEN FUN FOOTBALL-ის ხელმძღვანელია კავკასიის ქვეყნებსა და მოლდოვაში. აღსანიშნავია ისიც, რომ ფედერაციის პრეზიდენტად **ნოდარ ახალკაცი-უმცროსის** პირველად არჩევისას ფიფადან დამკვირვებლის სტატუსით სწორედ ევა პასკიე იყო მოვლენილი.

ფიფას ემისრის შემდეგ, 27 მაისს, უკვე უეფადან ჩვენთვის კარგად ნაცნობი **ჯოზეფ კლიმენტი** გვეწვევა. კლიმენტი ინფრასტრუქტურის იმ ობიექტებს მოინახულებს, რომელზეც მუშაობა უეფას დახმარების პროგრამა „ჰეთ-თრიკის" დაფინანსებით მიმდინარეობს.

*„ჯოზეფ კლიმენტი ტექნიკურ ცენტრ „ბასას", მცხეთაში „ვიტ ჯორჯიას" სტადიონს, რუსთავში „ფოლადის" არენას, ქუთაისში კი რეკონსტრუქციის ეტაპზე მყოფ „ტორპედოს" სტადიონს მოინახულებს, ეწვევა ზუგდიდს, სადაც ნახავს სტადიონსა და ბაზას. უეფას ემისარმა საკუთარი თვალით ნახა, თუ რა გაკეთდა, რა კეთდება და დასკვნებსაც გამოიტანს. ჩვენ მასშტაბურად შევუდექით ქართული ფეხბურთის ინფრასტრუქტურის აღდგენა-მოწესრიგებას და უეფას ხელმძღვანელებს სურთ, საკუთარ თვალით ნახონ ეს პროცესი. იმედი გვაქვს, ამ საქმეში უეფაც დაგვეხმარება"*, - გვითხრა სიჭინავამ.

**დავით ცაბაძე**




ახალი პროგრამა

# სფფ-ის დახმარება რეგიონებს!

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ რეგიონებში ბავშვთა ფეხბურთის მხარდამჭერი პროგრამა აამოქმედა. ამ დღეებში საჩუქრად 40 ბურთი გადაეცა მცხეთა-მთიანეთის რეგიონულ ფედერაციას, რომელიც გაუნაწილდებათ (10-10 ცალი) მცხეთის, დუშეთის, თიანეთის და მუხრანის მოზარდებს.

მაისში მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ფედერაცია სფფ-ისგან ასევე საჩუქრად მიიღებს სხვა საფეხბურთო და საოფისე ინვენტარს.

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს გრიგოლ და პეტრე ცაავებს დედის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი უსამძიმრებს გრიგოლ და პეტრე ცაავებს დედის გარდაცვალების გამო.**

**თბილისის ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს გრიგოლ და პეტრე ცაავებს დედის გარდაცვალების გამო.**

*პანაშვილი 2 და 3 მაისს 16.00; გამოსვენება 4 მაისს, 14 საათზე.*

*მისამართი: ოქროყანა, მეფუტკრეობის დასახლება (ფუნიკულიორის მიმდებარე ტერიტორია).*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი

ლა ლიგა. XXXV ტურის წინ

# ბარსას წყალქვეშ გამოტცდიან

## ვილია თითქმის კატალონიელია

| დღეს | |
|---|---|
| დეპორტივო-სარაგოსა | 20:00 |
| მალაგა-სპორტინგი | 20:00 |
| ტენერიფე-რასინგი | 20:00 |
| ვალიადოლიდი-ხეტაფე | 20:00 |
| ხერესი-ალმერია | 20:00 |
| ესპანიოლი-ვალენსია | 20:00 |
| ვილიარეალი-ბარსელონა | 00:00 |
| **ხვალ** | |
| სევილია-ატლეტიკო | 19:00 |
| რეალი-ოსასუნა | 21:00 |
| ბილბაო-მალიორკა | 23:00 |

ოთხი ტურიც და წლევანდელი პრიმერა დასრულდება. დღეს სწორედ ის ტური იწყება, რომელიც ესპანეთში ბევრის აზრით გადამწყვეტი შეიძლება გამოდგეს ტიტულისთვის ბრძოლაში. მაშინ, როცა „სამეფო კლუბი" შინ უამბიციო „ოსასუნას" ილებს, „ბარსელონა" ვალენსიაში „ვილიარეალს" ეწვევა... ბრწყინვალე ფორმაში მყოფ, ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლ „ელ სუბმარინოს" მართლაც შესწევს ძალა „ბარსელონას" ტორპედო ესროლოს და საჩემპიონო დოლში „რეალი" დააწინაუროს.

სანამ უშუალო, თამაშზე გადავალთ, ორიოდ სიახლეს მოგახსენებთ, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში დამარცხებულ კატალონიურ გრანდს ეხება. გუშინ „მარკამ" ექსკლუზიური რეპორტაჟი შემოგვთავაზა, რომლის თანახმადაც „ბარსა" უკვე შეუთანხმდა „ვალენსიას" სუპერვარსკვლავ **დავიდ ვილიას**. კატალონიური კლუბი შარშანაც ახლოს იყო ამ ტრანსფერის განხორციელებასთან, მაგრამ ვილიამ „ლამურებს" უერთგულა. „ბარსელონას" პრეზიდენტ **ჟოან ლაპორტას** ხელშეკრულების გაფორმება 13 ივნისამდე სურს, რადგან სწორედ ამ დროს სრულდება მისი უფლებამოსილება გუნდში. თანაც ლაპორტა შიშობს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ვილიას საბაზრო ფასი კიდევ უფრო გაიზრდება. „მარკა" წერს, რომ „ვალენსია" ვილიას სანაცვლოდ დაახლოებით 40 მილიონ ევროს მიიღებს, პლუს „ვალენსია" „ბლაუგრანას" ორ ფეხბურთელს მიიღებს, **ალიაქსანდრ ჰლებს** და **ბოიან კრკიჩს**. ვილია დღეს პიჩიჩისთვის ბრძოლაში მესამე ადგილზეა 21 გოლით, „ელ გუახე" 6 გოლით ჩამორჩება პრიმერას ბომბარდირ **ლეო მესის**.

შემდეგი ამბავი სწორედ ლეოს ეხება, უფრო ზუსტად მესიმ თავად თქვა, რომ კარიერის ბოლომდე „ბარსელონას" უერთგულებს: *„სხვა კლუბში წასვლას ფიქრადაც კი ვერ გავივლებ. „ბარსელონა" ჩემი ცხოვრებაა, ამ კლუბმა მაქცია იმ ფეხბურთელად, როგორიც ვარ. მე, უბრალოდ, ვერ დავტოვებ მას. ვერ და არ, რადგან სადმე წასვლის სურვილიც არასოდეს გამჩენია. ინგლისური პრემიერლიგა მართლაც კარგი ტურნირია, ხშირად ვუყურებ თამაშებს ტელევიზორში, იქ ნამდვილი, ვაჟკაცური ბრძოლაა, მაგრამ ჩემი თავი ინგლისში ვერ წარმომიდგენია, ჩემი გული „ბარსას" ეკუთვნის"*, - განაცხადა მესიმ. ვერაფერს ვიტყვით, შესაშური საქციელია გუნდის ლიდერის მხრიდან, ახლა ხომ გუნდს, ფეხბურთელებსა და მაყურებელს გამხნევება სჭირდება.

ევროპის ტახტიდან ჩამოგდებული „ბარსა" წლეულს უტიტულოდ დარჩენის საშიშროების წინაშეა. გუნდი უკვე გავარდა ესპანეთის თასიდან, ჩემპიონთა ლიგიდან, შესაბამისად, მას არ მიიწვევენ ევროპის სუპერთასზე და არც საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონატზე. მოკლედ, **პეპ გვარდიოლას** გუნდმა შარშანდელი 6 ტიტულიდან 4 დაკარგა. ლიდერს სერიოზული გამოცდა ელის „ყვითელი წყალქვეშა ნავის" წინააღმდეგ, ფეხის დაცდენა გვარდიოლას და კომპანიას, შეიძლება, ძალზე ძვირად დაუჯდეს.

„ვილიარეალმა" ამ სეზონში (მაშინ **ერნესტო ვალვერდეს** ხელმძღვანელობით) „კამპ ნოუზე" მეტოქეს აჯობა კიდეც და საგოლე მომენტები, რომ გამოეყენებინა, შინ 3 ქულით დამშვენებული წავიდოდა (ერთის ნაცვლად). „ელ მადრიგალზე" კატალონიელებს კიდევ უფრო გაუჭირდებათ, მით უფრო, რომ **ხუან კარლოს გარიდოს** ხელმძღვანელობით „ელ სუბმარინო" გაცილებით ძლიერად თამაშობს, ვიდრე პირველ წრეში - გუნდი 52 ქულით მე-6 ადგილზეა და ბოლო 6 მატჩიდან 5 მოიგო.

**დიეგო ლოპესი** „ვილიარეალის" ოფიციალურ საიტთან აღნიშნავს, რომ ორივე გუნდი ბოლომდე დაიხარჯება და გარისკავს: *„მათ ლა ლიგის ტიტულის დაკარგვის საფრთხე აქვთ, ჩვენ კი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების შანსი. მეტოქე დიდი გუნდია, მაქსიმალურად ყურადღებით უნდა ვიყოთ, რადგან ასეთ გუნდს ნებისმიერ მომენტში შეუძლია გადამწყვეტი დარტყმის განხორციელება".*

„ვილიარეალს" დიდი ტრავმიანობა არ აწუხებს. მართალია, **მარკოს სენას** ბოლო ორ მატჩში არ უთამაშია, მაგრამ, შესაძლოა, მან მოახერხოს „ბარსელონასთან" გამოსვლა. სულ უფრო და უფრო მეტ წუთებს აძლევენ სათამაშოდ ტრავმამოშუშებულ **სანტი კასორლას**. **გონსალო როდრიგესი** წინა ტურში დაუბრუნდა გუნდს და ის დღესაც ითამაშებს.

„ბარსას" კვლავ არ ეყოლება ტრავმირებული **ანდრეს ინიესტა** და **ერიკ აბიდალი**. დისკვალიფიკაცია მოიხადა **კარლეს პუიოლმა**. გვარდიოლამ 20-კაციან სიაში შეიყვანა **ჩავი ერნანდესიც**, თუმცა ნახევარდაცვის მაესტროს თამაში ძალზე საეჭვოა. 20-კაციან სიაში მოხვდა ახალგაზრდა **ტიაგო ალკანტარა**. გუშინ „ბარსას" ბაზაზე წვიმდა და გუნდთან ერთად **სერხიო ბუსკეტსა** და ჩავის არ უვარჯიშია.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ვილიარეალი (4-3-3):** ლოპესი - ანხელი, გოდინი, გონსალო, კაპდევილია - იბაგასა, ბრუნო, კანი - ნილმარი, როსი, ლორენტე.

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დ. ალვეში, პუიოლი, პიკე, მაქსველი - ჩავი, ბუსკეტსი, კეიტა - მესი, იბრაჰიმოვიჩი, პედრო.

მეორე დღეს „სამეფო კლუბი" „ოსასუნას" უმასპინძლებს. თუკი „ბარსას" ფეხი დაუცდება, „რეალი" ნავარელებთან საომრად გაათმაგებული ენერგიით გავა. **კაკა** იმედოვნებს, რომ „რეალი" ჩემპიონობას მოიპოვებს: *„ჩვენი შანსები ძალიან დიდია, 4 ტური დარჩა და „ბარსას" ერთქულიანი უპირატესობა არ არის უსაშველო. ჩვენ დარჩენილი ოთხივე მატჩი ულაპარაკოდ უნდა მოვიგოთ".*

პამპლონელთა მწვრთნელ **ხოსე ანტონიო კამაჩოს** „რეალთან" ურთიერთობის დიდი ისტორია აქვს. ამიტომაც სხვა მხრივ უმოტივაციო „ოსასუნამ" შეიძლება თავი შეაკლას მასპინძლებს. კამაჩომ 500-მდე მატჩი ითამაშა „რეალის" თეთრი მაისურით, სამწვრთნელო მოღვაწეობაც იქ დაიწყო და პრობლემებიც „სამეფო გუნდთან" მაშინ გაუჩნდა. 1998 წელს მან „რეალის" მწვრთნელის პოსტზე 22 დღე (!) დაყო და ხელშეკრულებო გაუგებრობის გამო გუნდი დატოვა. 2004 წელს კამაჩო „რეალში" დაბრუნდა, ორწლიანი ხელშეკრულება გააფორმა, მაგრამ სექტემბერშივე წასვლამ მოუწია.

„რეალში" სერიოზული საკადრო პრობლემებია: **რაული** და **ვან დერ ვაარტი** სეზონის ბოლომდე ვერ დაეხმარებიან გუნდს. ჯერ არ არის ბოლომდე მზად **როისტონ დრენტე**, **გუტი** კვლავ ვერ ვარჯიშობს. გუშინ ტრავმები მიიღეს **ალვარო არბელოამ** და **ლასანა დიარამ**, თუმცა ეს ორი ალბათ შეძლებს ნავარელებთან თამაშს.

„ოსასუნას" **ნაჩო მონრეალი** უბრუნდება დაცვაში, ალბათ, ირანელი **ჯავად ნეკუნამიც** ითამაშებს, რომელმაც ბოლო სამი მატჩი გამოტოვა ტრავმის გამო. მეტი ცვლილება კამაჩოს გუნდში არ არის მოსალოდნელი.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**რეალი (4-3-1-2):** კასილიასი - არბელოა, ს. რამოსი, გარაი, მარსელო - ლ. დიარა, ჩაბი ალონსო, გაგო - კაკა - რონალდო, იგუაინი.

**ოსასუნა (4-4-2):** რიკარდო - ასპილიკუეტა, ფლანიო, სერხიო, მონრეალი - ხუანფრანი, ნეკუნამი, პუნიალი, კამუნიასი - პანდიანი, არანდა.

„ვალიადოლიდი" მადრიდულ „ხეტაფეს" ილებს. რა თქმა უნდა, ამ მატჩს ორივე გუნდისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ლეონელები გააფთრებით იბრძვიან დარჩენისთვის, დედაქალაქის გარეუბნის გუნდი კი სეზონის ნამდვილი სენსაციაა, ის ევროთასებისთვის იბრვის. მაგრამ უფრო მეტ ინტრიგას ამ გუნდების მწვრთნელთა დაპირისპირება იწვევს, უკვე დიდი ხანია **ხავიერ კლემენტე** და **მიჩელი** უბრად არიან. ბასკი სპეციალისტი ახლაც კატეგორიულია: *„მე მას ხელს არ ჩამოვართმევ"*, - აცხადებს კლემენტე.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 34 | 27 | 6 | 1 | 83-20 | 87 |
| 2. რეალი | 34 | 28 | 2 | 4 | 89-30 | 86 |
| 3. ვალენსია | 34 | 18 | 8 | 8 | 53-37 | 62 |
| 4. მალიორკა | 34 | 16 | 8 | 10 | 53-38 | 56 |
| 5. სევილია | 34 | 16 | 6 | 12 | 52-42 | 54 |
| 6. ვილიარეალი | 34 | 15 | 7 | 12 | 50-46 | 52 |
| 7. ბილბაო | 34 | 14 | 8 | 12 | 45-44 | 50 |
| 8. ხეტაფე | 34 | 15 | 5 | 14 | 52-46 | 50 |
| 9. დეპორტივო | 34 | 12 | 8 | 14 | 33-43 | 44 |
| 10. ატლეტიკო | 34 | 12 | 7 | 15 | 52-53 | 43 |
| 11. ესპანიოლი | 34 | 10 | 11 | 13 | 27-40 | 41 |
| 12. ოსასუნა | 34 | 10 | 9 | 15 | 30-39 | 39 |
| 13. ალმერია | 34 | 9 | 11 | 14 | 34-46 | 38 |
| 14. სპორტინგი | 34 | 9 | 10 | 15 | 33-46 | 37 |
| 15. რასინგი | 34 | 8 | 12 | 14 | 37-50 | 36 |
| 16. სარაგოსა | 34 | 8 | 10 | 16 | 39-58 | 34 |
| 17. მალაგა | 34 | 7 | 13 | 14 | 38-43 | 34 |
| 18. ვალიადოლიდი | 34 | 6 | 14 | 14 | 34-54 | 32 |
| 19. ტენერიფე | 34 | 8 | 8 | 18 | 35-66 | 32 |
| 20. ხერესი | 34 | 6 | 9 | 19 | 31-59 | 27 |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ლეო მესი, ყოველთვის ჭეშმარიტი ბლაუგრანა

მწვრთნელი



ჟოზე მოურინიო და ვიქტორ ვალდესის შეხლა ნამატჩევს

# SPECIAL ONE

## განსაკუთრებული

იცით, რა მოხდა, როგორც კი მსაჯმა დაუსტვინა და გაირკვა, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ინტერი" გავიდა? **ჟოზე მოურინიოს** მობილურზე რამდენიმე წუთში აურაცხელი მესიჯი მივიდა, რომელთაგან დიდი ნაწილი ლონდონიდან იყო, „მისი ბიჭებისგან". ადრეც გვითქვამს და ახლაც გავიმეორებთ, რომ მოუს „ჩელსიდან" წამოსვლის შემდეგ იქაურ ფეხბურთელებთან კავშირი არ გაუწყვეტია და მათ დღემდე „თავის ბიჭებს" ეძახის. ბიჭებისთვისაც ის, რასაკვირველია, ახლობელი ადამიანია და მუდამ მხარში უდგანან. „განსაკუთრებულმა" (Special One) თქვა:

*„ორჯერ იყო „ჩელსი" ნახევარფინალში, მიზანთან ძალიან ახლოს. მეც იქ გახლდით, ბიჭებთან ერთად განვიცდიდი მარცხს, მაგრამ რას იზამ, ასეთია ფეხბურთი. ასეთია ცხოვრება. აი, ახლა გავედი ფინალში, „ინტერთან" ერთად და ძალიან მესიამოვნა, რომ დამთავრდა თუ არა თამაში, რამდენიმე წამში ასობით მილოცვის მესიჯი მივიღე. ამ მესიჯებს შორის ძალიან ბევრი იყო „ჩელსიდან". მწერდნენ ფეხბურთელები და კლუბის თანამშრომლები, ადამიანები, რომლებთან ერთადაც ვმუშაობდი. ვიცი, რას გრძნობდნენ ისინი ამ სეზონში, როდესაც „ინტერთან" წააგეს და წარმომიდგენია, როგორ განიცდიდნენ მოსკოვში, ფინალში რომ დამარცხდნენ. ეს ხალხი ჩემი მეგობარია და ჩემი წარმატება უხარიათ".*

ოთხშაბათს ჟოზე მოურინიომ დაასრულა „ბარსელონას" იოცნება, გამხდარიყო პირველი გუნდი, ვინც ზედიზედ ორჯერ გაიმარჯვებდა ჩემპიონთა ლიგაში. 47 წლის მწვრთნელმა ამ წარმატებას 2004 წლის წარმატებაზე დიდი უწოდა, მაშინ კი, მოგეხსენებათ, მოუს ხელმძღვანელობით ჩემპიონთა ლიგაში „პორტუმ" გაიმარჯვა. ახლა, იმისათვის, რომ პორტუგალიელმა მწვრთნელმა მეორედ მოიგოს ეს დიდი ევროპული ჯილდო, ფინალში **ლუი ვან გაალის** „ბაიერნი" უნდა დაამარცხოს. „განსაკუთრებულმა" თქვა:

*„მიუნხენელებს დიდი გუნდი ჰყავთ და მას დიდი მწვრთნელი უდგას სათავეში. ჩვენ მათ პატივს ვცემთ, მაგრამ ფინალში გამარჯვება გვინდა. არ მინდა, ჩემმა გუნდმა ნახევარფინალში გამარჯვებით თავი მეცხრე ცაზე იგრძნოს".*

მოურინიოს თემას საინტერესოდ გამოეხმაურა ინგლისური გაზეთის „სანის" მთავარი სპორტული მიმომხილველი **სტივენ ჰოვარდი**, რომელმაც დაწერა, რომ პორტუგალიელის წარმატება „ჩელსის" ახლანდელ თავკაცზე **კარლო ანჩელოტიზე** ახდენს დიდ ზეწოლას. შეგახსენებთ, რომ ანჩელოტიმ „ლურჯებმ" ხვალ ლივერპულში „ენფილდ როუდზე" უნდა ათამაშოს და ამ შეხვედრის შედეგზე ძალიან იქნება დამოკიდებული, ვინ გახდება წლეულს პრემიერლიგის ჩემპიონი, - „ჩელსი" თუ „მანჩესტერ იუნაიტედი". საინტერესოა, რომ „ენფილდზე" დასავლეთლონდონელებს 2006 წლის შემდეგ არ მოუგიათ, მას მერე, რაც თავად მოურინიომ მერსისაიდელებს 4:1 აჯობა. ასე და ამგვარად, „ჩელსი" ლივერპულში გადამწყვეტი შეხვედრის ჩასატარებლად იმ კვირაში ჩადის, როდესაც მისმა ყოფილმა მწვრთნელმა სასწაული მოახდინა და ისეთი გრანდი, როგორიც „ბარსელონაა", ათი კაცით გამოთიშა ჩემპიონთა ლიგას. თან, მოუს „ინტერი" უმცირესობაში რამდენიმე კი არა, მთელი 62 წუთის განმავლობაში გახლდათ. აქვე გვინდა მოგახსენოთ, რომ ლონდონში ჯერ კიდევ ბევრია ისეთი ადამიანი, რომელიც მიიჩნევს, რომ ჟოზე მოურინიო მათი გუნდის მხსნელი და მესიაა. ასეთი ხალხისთვის ანჩელოტის თუ „ჩელსის" ნებისმიერი სხვა მწვრთნელის ფეხის ნებისმიერი დაცდენა იმის პირდაპირი მტკიცებაა, რომ მხსნელი ლტოლვილობაში კი არ უნდა იმყოფებოდეს, არამედ „ლურჯებს" უნდა ედგას სათავეში. ვინ იცის, თვით **რომან აბრამოვიჩიც** კი ფიქრობს: რა ძალა მადგა, მოურინიოს თანამდებობიდან რომ ვუშვებდიო....

>> მე-7 გვერდზე

„ლიბა"
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
– ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
– სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
– ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
– სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11 ☎ 32 21 21, 31 73 24

ივერიელი

იტალია

სერია A, XXXV ტურის წინ

# ხვალ რომა მოსისხლე მტერს ქომაგობს

| დღეს | |
|---|---|
| პარმა-რომა | 20:00 |
| მილანი-ფიორენტინა | 22:45 |
| **ხვალ** | |
| ატალანტა-ბოლონია | 17:00 |
| ბარი-ჯენოა | 17:00 |
| კალიარი-უდინეზე | 17:00 |
| კატანია-იუვენტუსი | 17:00 |
| კიევო-ნაპოლი | 17:00 |
| სამპდორია-ლივორნო | 17:00 |
| სიენა-პალერმო | 17:00 |
| ლაციო-ინტერი | 22:45 |



ლაციო ინტერის წინააღმდეგ

ვინც სერია A-ს გათამაშებას წინა წლებშიც ადევნებდა თვალს, გემახსოვრებათ, რომ ბოლო ოთხ ტურში ყველა თამაში ერთი და იმავე დროს იწყებოდა. ამით, თითქოს თანაბარ პირობებში აყენებდნენ თითოეულ გუნდს, რომლებიც გარკვეული მიზნებისთვის იბრძოდნენ. ეს წესი შეიცვალა და როგორც ხედავთ, ტური ორ დღეზეა გაწერილი. „რომა" რთულ მდგომარეობაშია - გუნდი იმ თამაშის მოსაგებად უნდა გაწეწყოს, რომელიც ლიდერობის დასაბრუნებლად შეიძლება სულაც არ გახდეს საკმარისი. **კლაუდიო რანიერიმ** შეგირდებთან ფსიქოლოგიური სამუშაოები უნდა ჩაატაროს, რაზეც ჟურნალისტებთან თავადაც ისაუბრა. „ჯალოროსის" ბანაკში ბევრს არ სჯერა, რომ „ლაციოს" „ინტერისთვის" ქულების ართმევა შეუძლია, შესაბამისად, „პარმასთან" თამაშზე მობილიზება უჭირთ. მოვუსმინოთ რანიერის და შემდეგ, სავარაუდო შემადგენლობებზე გადავიდეთ:

*„უნდა დავივიწყოთ სატურნირო ცხრილი და თითოეულ შეხვედრაში მაქსიმალურად დავიხარჯოთ. ფეხბურთელთა ნაწილს უიმედობას ვატყობ, რაც დაუშვებელია. ამის გამო, შეიძლება კიდევ დავკარგოთ ქულები და შემდეგ მწარედ ვინანოთ. კაცმა არ იცის, რა მოხდება დარჩენილ სამ ტურში. „ინტერი" დაუმარცხებელი ნამდვილად არ გახლავთ და სულაც არ გამიკვირდება თუ ქულებს კიდევ დაკარგავს. „პარმასთან" თამაშის წინ ფეხბურთელებთან საგანგებოდ ვისაუბრებ და ავუხსნი მათ, რომ მოდუნების უფლება უბრალოდ არ გვაქვს".*

რანიერის სიტყვები იმაზე მეტყველებს, რომ რომაელთა ბანაკში გარკვეული პრობლემებია. „სამპდორიასთან" მარცხმა თითქოს ყველაფერი თავდაყირა დააყენა, იმასაც ამბობენ, ფეხბურთელებს შორის კონფლიქტი მოხდაო. საუბარია **მირკო ვუჩინიჩსა და სიმონე პეროტაზე**, რომლებმაც „რომა" - „სამპას" შეხვედრაში დასცხეს ერთმანეთს, შემდეგ კი დაპირისპირება გასახდელშიც გაგრძელებულა. ვინც იმ შეხვედრას თვალი მიადევნა, ემახსოვრება როგორც წაეკიდნენ ერთმანეთს მირკო და სიმონე - რომ არა **ფრანჩესკო ტოტი**, რომელიც ფეხბურთელებს შორის ჩადგა, შეიძლება საქმე ხელჩართულ ჩხუბამდეც კი მისულიყო. ყველაფერი ერთ ეპიზოდს მოჰყვა, როდესაც ჩერნოგორიელმა საჯარიმოში შეჭრილ პეროტას პასი არ მისცა და კარში დაარტყა. სიმონე წყობიდან გამოვიდა და მირკოსთან მიიჭრა, ამ უკანასკნელმაც არ დაუთმო და როგორც გითხარით, დიდი გაწევ-გამოწევა გაიმართა. რანიერი რთულ მდგომარეობაშია, მან კიდევ ერთხელ, ყველაზე გადამწყვეტ მომენტში ერთ მუშტად უნდა შეკრას გუნდი და გამარჯვებაზე დაგეშოს.

რანიერის განკარგულებაში ყველა ის ფეხბურთელია, რომელსაც ენდობა და ძირითად შემადგენლობაში ათამაშებს. „რომა" კვლავ 4-2-3-1 ტაქტიკით ითამაშებს, ერთი გამოკვეთილი ფორვარდით და სამი უკანდახეული შემტევით. ამ შემთხვევაში ფორვარდის ფუნქციებს ფრანჩესკო ტოტი შეასრულებს, მის უკან კი **სიმონე პეროტა, ჟერემი მენეზი** და **მირკო ვუჩინიჩი** გამწესდებიან. ეს უკანასკნელი მარცხენა ფრთიდან შეუტევს და ვნახოთ, როგორ წარმოაჩენს თავს. მართალია, ტოტი ცენტრფორვარდის პოზიციაზეა, მაგრამ ვფიქრობთ, ხშირად დაიწევს უკან, რათა საჭიროების შემთხვევაში, სიღრმიდან დაიწყოს იერიშები. დაახლოებით ისე, როგორც ეს **ლუჩანოს სპალეტის** დროს ხდებოდა.

სეზონის პირველი ნახევარი „პარმამ" შესანიშნავად განვლო, ჩემპიონთა ლიგის ზონასთან ტრიალებდა, თუმცა შემდეგ ჩავარდნა დაეწყო და ცხრილის შუაგულში გაიჭედა. ემილიელები უმიზნოდ არიან და წესით, ლაღი ბურთაობა უნდა გააჩაღონ. სავარაუდო ტაქტიკაც ამაზე მიუთითებს - თუ „გაძეტას" დავუჯერებთ, **ფრანჩესკო გუიდოლინი** 4-3-3-ს აირჩევს, შეტევის წინა ხაზზე კი შემდეგ ტრიოს გაამწესებს: **ლანცაფამე - ბიაბიანი - კრესპო.**

### სავარაუდო შემადგენლობები

**პარმა:** მირანტე - დელაფიორე, ლუკარელი, ზილი, კასტელინი - ვალიანი, გალოპა, ანტელი - ლანცაფამე, ბიაბიანი, კრესპო.

**რომა:** ჟულიო სერჟიო - კასეტი, ჟუანი, მექსე, რიისე - პისარო, დე როსი - პეროტა, მენეზი, ვუჩინიჩი - ტოტი.

ტურის მთავარი მატჩი მაინც რომის ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართება, სადაც „ლაციო" „ინტერს" უმასპინძლებს. აღარ ვისაუბრებთ იმაზე, რომ „ბიანკოჩელესტე" დილემის წინაშე დგას - ამაზე უკვე არაერთხელ დავწერეთ და აღარ გავიმეორებთ. **ედი რეია** დისკვალიფიცირებულია და მატჩის ყურება ტრიბუნებიდან მოუწევს. „გაძეტას" ვარაუდით, რომაელები 3-5-2 ტაქტიკით ითამაშებენ - შეტევის წინა ხაზზე **ტომაზო როკი** და **სერჯო ფლოკარი** იასპარეზებენ, მათ უკან კი შემდეგი ხუთეული გაირჯება: **კოლაროვი, მაური, ბარონიო, ბროკი, ლიხტშტაინერი.**

**მოურინიო გორან პანდევს** მოისაკლისებს, რომელსაც ტრავმა ჰქონია. ჟურნალისტთა მტკიცებით, „ინტერი" ამჯერად ორი ნომინალური ფორვარდით შეუტევს, გამთამაშებლის პოზიციაზე **უესლი სნეიდერი** გაირჯება. თავდასხმაში **სამუელ ეტო'ს** და **დიეგო მილიტოს** ვიხილავთ - სათადარიგოთა შორის იქნება **მარიო ბალოტელი** და საჭიროების შემთხვევაში ჩაერთვება თამაშში. მიუხედავად იმისა, რომ „ნერაძურიმ" ურთულესი პაექრობა გადაიტანა „ბარსელონასთან", მოურინიო შემადგენლობის გადახალისებას არ აპირებს. ამის დრო აღარც არის და გასაგებია ჟოზეს გადაწყვეტილება. ნახევარდაცვაში **ესტებან კამბიასო, ხავიერ ძანეტი** და **დეიან სტანკოვიჩი** გაირჯებიან, დაცვაში კი შემდეგი ოთხეული იმოქმედებს: **მაიკონი, ლუსიო, სამუელი, კივუ.**

„ინტერის" ბანაკში ამაღლებულ განწყობაზე არიან, რაც სრულიად ბუნებრივია. მრავალწლიანი პაუზის შემდეგ გუნდი ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდა და დიდია შანსი, მიმდინარე სეზონში ყველა ის ტურნირი მოიგოს, რომელშიც მონაწილეობას იღებს. ერთადერთი, რაც მილანელებს დღეს აღელვებთ, ჟოზე მოურინიოს მომავალი გახლავთ. ამბობენ, თუ „ინტერმა" ჰეთთრიკი შეასრულა, პორტუგალიელი პოსტს დატოვებს და მადრიდში გადაბარგდებაო. ლაპარაკია იმაზე, რომ ჟოზემ „რეალი" ჩაიბაროს, სადაც მას **ფლორენტინო პერესი** ეპატიჟება. **მასიმო მორატიმ** ჟურნალისტებთან საუბარში სწორედ ამ საკითხზე გაამახვილა ყურადღება:

*„ჟოზე ნამდვილი „ინტერისტაა", რაშიც „ბარსელონასთან" თამაშმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა. ნახეთ, როგორ აღნიშნა ფინალში გამარჯვება? - ასე მხოლოდ ნამდვილი გულშემატკივრები იქცევიან. თუმცა, მთავარი ის არის, რომ პორტუგალიელი ნამდვილი პროფესიონალია. სიმართლე გითხრათ, „ნერაძურის" მომავალი მის გარეშე ველარ წარმომიდგენია. უახლოეს დღეებში, აუცილებლად დაველაპარაკები ჟოზეს და ვეცდები მისგან დარჩენის გარანტიები მივიღო. გადამწყვეტი მატჩების წინ, ეს მხოლოდ გააძლიერებს გუნდის საბრძოლო სულისკვეთებას".*

### სავარაუდო შემადგენლობები

**ლაციო:** მუსლერა - ბიავა, დიასი, რადუ - ლიხტშტაინერი, ბროკი, ბარონიო, მაური, კოლაროვი - როკი, ფლოკარი.

**ინტერი:** ჟულიო სეზარი - მაიკონი, ლუსიო, სამუელი, კივუ - ძანეტი, კამბიასო, სტანკოვიჩი - სნეიდერი - ეტო'ო, მილიტო.

ორიოდე სიტყვა ჩემპიონთა ლიგის ზონაზეც ვთქვათ. „სამპდორია" საკუთარ კედლებში „ლივორნოს" მიიღებს და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, გაიმარჯვებს კიდეც. მართალია, ბოლო შეხვედრა „კომუნისტებმა" დამაჯერებლად მოიგეს, მაგრამ რთული წარმოსადგენია, რომ ლიგაზე დაგეშილ გენუელებთან რამე გააწყონ. **ლუიჯი დელ ნერი** ორი ფორვარდით შეუტევს, ერთი რომ **კასანო** იქნება და მეორე **პაცინი**, ვფიქრობთ, ადვილი მისახვედრია.

„პალერმოს" კიდევ ერთ აუტსაიდერთან, „სიენასთან" მოუწევს დაპირისპირება. **დელიო როსი** გამარჯვებულ შემადგენლობას არ შეცვლის და შეტევის წინა ხაზზე **ფაბრიციო მიკოლისთან** ერთად, **აბელ ერნანდესს** გაამწესებს. მათ უკან **ხავიერ პასტორე** გაირჯება, **ედისონ კავანი** კი სავარაუდოდ მეორე ტაიმში ჩაერთვება თამაშში.

„იუვენტუსს" „კატანიასთან" უწევს რთული გასვლითი პაექრობა, რომელშიც აუცილებლად უნდა გაიმარჯვოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტურინელები ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის თეორიულ შანსსაც კარგავენ. **ალბერტო ძაკერონი** ორი ფორვარდით შეუტევს, ერთი **ალესანდრო დელ პიერო** იქნება, მეორე კი **ვინჩენცო იაკვინტა**. ამ უკანასკნელზე გულშემატკივრები დიდ იმედებს ამყარებენ და ვნახოთ, უშველის თუ არა ვინჩენცო კრიზისში მყოფ „იუვეს".

დაბოლოს, ერთ მეტად საინტერესო შეხვედრაზე ვთქვათ, რომელიც ბერგამოში გაიმართება. „ატალანტა" გასავარდნ ზონაშია და მის უშუალო კონკურენტს, „ბოლონიას" მიიღებს. თუ მასპინძლებმა გაიმარჯვეს, გუნდებს შორის ქულათა სხვაობა ორ ქულამდე შემცირდება და „ატალანტა" გადარჩენის შანსს შეინარჩუნებს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ბერგამოელები სერია B-ში ამოყოფენ თავს. ადვილი წარმოსადგენია, რა ბრძოლა გაჩაღდება „ატლეტი აძურიზე", რომლის ტრიბუნებიც, წესით, უნდა გადაიჭედოს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 35 | 21 | 10 | 4 | 68-31 | 73 |
| 2. რომა | 35 | 21 | 8 | 6 | 62-39 | 71 |
| 3. მილანი | 35 | 18 | 10 | 7 | 56-38 | 64 |
| 4. სამპდორია | 35 | 17 | 9 | 9 | 45-40 | 60 |
| 5. პალერმო | 35 | 16 | 10 | 9 | 54-44 | 58 |
| 6. იუვენტუსი | 35 | 16 | 6 | 13 | 52-49 | 54 |
| 7. ნაპოლი | 35 | 13 | 14 | 8 | 46-41 | 53 |
| 8. ჯენოა | 35 | 13 | 9 | 13 | 56-57 | 48 |
| 9. ფიორენტინა | 35 | 13 | 7 | 15 | 47-43 | 46 |
| 10. პარმა | 35 | 12 | 10 | 13 | 38-46 | 46 |
| 11. კიევო | 35 | 12 | 8 | 15 | 33-34 | 44 |
| 12. ბარი | 35 | 11 | 10 | 14 | 41-46 | 43 |
| 13. კალიარი | 35 | 11 | 9 | 15 | 52-53 | 42 |
| 14. უდინეზე | 35 | 11 | 9 | 15 | 48-51 | 42 |
| 15. კატანია | 35 | 9 | 13 | 13 | 41-43 | 40 |
| 16. ლაციო | 35 | 9 | 13 | 13 | 34-39 | 40 |
| 17. ბოლონია | 35 | 10 | 9 | 16 | 39-52 | 39 |
| 18. ატალანტა | 35 | 9 | 7 | 19 | 35-48 | 34 |
| 19. სიენა | 35 | 7 | 9 | 19 | 38-63 | 30 |
| 20. ლივორნო | 35 | 7 | 8 | 20 | 25-53 | 29 |

**ლაშა წიკლაური**

მწვრთნელი

« მე-8 გვერდიდან



ჟოზე მოურინიოს დაბრუნება მილანში

...მართლაც საოცარი რამ ხდება „ჩელსის" გარშემო. მოურინიოს წასვლის შემდეგ უკლებლივ ყველა მწვრთნელს მას ადარებენ და იმის მიხედვით ზომავენ, რას გააკეთებდა მის ადგილას „განსაკუთრებული". მხატვრულად რომ ვთქვათ, პორტუგალიელის აჩრდილი „სტემფორდ ბრიჯზე" დადის და განა მხოლოდ დადის, დიდი გავლენითაც სარგებლობს. ანჩელოტიმ უკვე წამოკრა ამ აჩრდილს ფეხი... თუმცა, რაღა აჩრდილს, ცოცხალმა, ნამდვილმა მოურინიომ აჯობა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში და ნახევარფინალში „ინტერი" გაიყვანა. მოურინიო ის კაცია, ვინც „ჩელსი" 50-წლიანი ჩავარდნის შემდეგ, თანამდებობაზე დანიშვნიდან 12 თვეში ინგლისის ჩემპიონი გახადა.

*„რეაქცია, რომელიც ხალხს „ინტერის" მიერ „ბარსელონას" გაგდებაზე ჰქონდა, ძალიან კონტრასტულია, - ამბობს სტივენ ჰოვარდი, - ერთმა ნაწილმა მოურინიოზე თქვა, რომ იგი ფეხბურთის მტერია, ანტიქრისტეა, ის კაცია, რომელიც გამარჯვებაში ოჯახსაც კი გაცვლის. მეორე ჯგუფმა კი, რომელსაც მეც განვეკუთვნები, დაინახა, რომ ეს პორტუგალიელი მწვრთნელი ფეხბურთს ახალი განზომილებით ამდიდრებს. ის არის უზადო ტაქტიკოსი, გამორჩეული სტრატეგი და საუცხოო ფსიქოლოგი. მსოფლიოში, სადაც გამორჩეულ პიროვნებათა უფლებებს წითელი ლენტით ახრჩობენ, მოურინიო მათ იცავს. და, მადლობა ღმერთს, მას ირონია შეაქვს სპორტში, რომელსაც თავი უკვე სპორტზე სერიოზული რამ ჰგონია. პირადად მე ყველაზე მეტად ის მომწონს, რომ მაურინიო ჩვენ არ გვემალება. ის არტისტობს, ხანდახან გვაცინებს. რა გირჩევნიათ, მწვრთნელი, რომელსაც თავისი ექსცენტრული საქციელის გამო დისკვალიფიკაციას მიუსჯიან თუ მწვრთნელი, რომელი გასახდელში შეიძურწება და თეთრეულის კალათაში ჩაიმალება? გახსოვთ, რა გააკეთა მან ოთხშაბათს, როდესაც სერხიო ბუსკეტსის სიმულანტობის გამო მოედნიდან ტიაგო მოტა გააგდეს? ის პეპ გვარდიოლასთან მივიდა, მხარზე ხელი დაჰკრა და ყურში რაღაც უჩურჩულა. ვფიქრობ ეტყოდა: ოჰ, რა მშვენიერ ფეხბურთს თამაშობთო".*

მისტერ სტივენ ჰოვარდის მოსაზრებას მეტად აღარ მოვიტანთ, თუმცა ის, რომ თავისებურია და, როგორც ასეთი, ჩვენს ყურადღებას იმსახურებს, რად უნდა ლაპარაკი. ისე კი, წერილის ბოლო ნაწილში ჰოვარდი მოურინიოს ახალ სამსახურზე მსჯელობს და ფიქრობს, რომ ხალხის ერთი ნაწილის სურვილის მიუხედავად, ეს „მანჩესტერ იუნაიტედი" არ იქნება. მიზეზი: „მანჩესტერ იუნაიტედი" მას „ინტერის" დარ ხელფასს - 11 მილიონ ევროზე მეტი - ვერ და არ გადაუხდის. მაშ, სად უნდა წავიდეს კაცი, რომელმაც 47 წლის ასაკში უკვე მოიგო ჩემპიონთა ლიგა, უეფას თასი, პორტუგალიის ჩემპიონის ორი ტიტული, ინგლისის ჩემპიონის ორი ტიტული და იტალიის (ჯერჯერობით ერთი) ჩემპიონობა?

თუ 22 მაისს „სანტიაგო ბერნაბეუზე" ის „ბაიერნს" მოუგებს და ჩემპიონთა თასს კიდევ ერთხელ ალმართავს, შესაძლოა ეს მადრიდის „რეალისთვის" იყოს ძალიან დიდი მესიჯი...

**ილია ბაბუნაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩესტერ სიტი

# ტევესი სიტიდან წავა?

**რობერტო მანჩინიმ** კარლოს ტევესს უთხრა, თუ „მანჩესტერ სიტიში“ თავს კომფორტულად ვერ გრძნობ, შეგიძლია სხვა გუნდში გადახვიდეო. მოგეხსენებათ, არგენტინელი ფორვარდი ისტლენდზე პირველ სეზონს ატარებს და გულშემატკივრებში უკვე დიდი სიყვარული და პატივისცემა მოიპოვა - სეზონი ჯერ არ დამთავრებულა, მას კი 28 გოლი აქვს შეგდებული. მაშ, რით უნდა იყოს „სიტის“ იტალიელი თავკაცი უკმაყოფილო? საქმე ის გახლავთ, რომ ამას წინათ მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში ფორვარდმა თქვა, რომ მანჩინის მკაცრი ვარჯიშები არ მოსწონს. საუცხოო თავდამსხმელის ასეთმა განცხადებამ, რასაკვირველია, მყისვე გამოაფხიზლა დიდი ევროპული კლუბები, რომელთაგან ყველაზე მეტად თავის გამჟღავნება „რეალმა“ იჩქარა. მოგეხსენებათ, „სიტი“ პრემიერლიგაში მეოთხე ადგილისთვის იბრძვის და თუ ამ პოზიციას დაიკავებს, მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში გამოვა, მაგრამ თუ მეოთხეზე ვერ გავა, ტევესი, სავარაუდოდ, ყველა ღონეს იხმარს, რომ მართლა სადმე გადავიდეს. ჰოდა, „რეალზე“ უკეთესს აბა, რას ნახავს?!

მანჩინი ტევესის ნათქვამში განსაკუთრებულსა და საგანგაშოს ვერაფერს ხედავს, მაგრამ არგენტინელ ფორვარდს ჯერ „სიტის“ ოთხეულში შეყვანისკენ მოუწოდებს და მის მომავალზე დალაპარაკებას მერე ჰპირდება.

მანჩინი: *„თუ გუნდის რომელიმე წამყვანი ფეხბურთელი ჩვენთან თავს კარგად ვერ გრძნობს, უმჯობესია წავიდეს. ეს თანაბრად ეხება როგორც ტევესს, ასევე მანუ ადებაიორსა და სხვას. მწვრთნელისთვის თუ მოთამაშისთვის გუნდში ყოფნით სიამოვნების მიღება აუცილებელია. ვერ გეტყვით, ბედნიერად გრძნობს ტევესი თავს „სიტიში“ თუ ვერა, მაგრამ პრემიერლიგაში სამი თამაში დაგვრჩა და ის ვალდებულია ამ სამ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღოს. მერედა, ვფიქრობ, იმ სამუშაოთი, რომელიც ჩვენ ბოლო ორი კვირის განმავლობაში გავწიეთ, ის უკმაყოფილო არ უნდა იყოს. ვფიქრობ, რომ დარჩენილ შეხვედრებში ტევესი სამი ან ოთხი გოლის გატანას შეძლებს. აი, ამის შემდეგ უკვე შეიძლება დავსხდეთ და პრობლემა გადავწყვიტოთ“.*

**ილია ბაბუნაშვილი**



მანჩინიმ ტევესს წასვლაზე მიანიშნა




ინგლისი

პრემიერლიგა. XXXVII ტურის წინ

# ხვალ დიდი დღეა, დიდი!



ლივერპულისა და ჩელსის დაპირისპირებამ შეიძლება ბევრ კითხვას გასცეს პასუხი

| დღეს | |
|---|---|
| ბირმინგემი-ბარნლი | 15:45 |
| მანჩესტერ სიტი-ასტონ ვილა | 18:00 |
| პორტსმუთი-ვულვზი | 18:00 |
| სტოკი-ევერტონი | 18:00 |
| ტოტენჰემი-ბოლტონი | 18:00 |
| **ხვალ** | |
| ლივერპული-ჩელსი | 16:30 |
| ფულჰემი-ვესტ ჰემი | 18:00 |
| სანდერლენდი-მანჩესტერ იუნ | 19:00 |
| **ზეგ** | |
| უიგანი-ჰალი | 16:30 |
| ბლექბერნი-არსენალი | 20:00 |

*„მომავალი? - ჩემი მომავალი კვირას „ჩელსისთან“ თამაშია“*, - უპასუხა ევროლიგიდან გავარდნის შემდეგ ჟურნალისტებს „ლივერპულის“ ესპანელმა მწვრთნელმა **რაფა ბენიტესმა**. არადა, ჟურნალისტების კითხვა, ალბათ, მიხვდით, სულ სხვა მომავალს ეხებოდა - დარჩება კი, ამდენი ხელმოცარვისა და წაგების შემდეგ ბენიტესი მერსისაიდელთა თავკაცად? „წითლების“ მწვრთნელს კითხვა დაუკონკრეტეს: *„რა იქნება „ჩელსის“ შემდეგ?“ „შემდეგ? „ჰალთან“ თამაში“*, - იყო პასუხი.

მაშ ასე, „ლივერპულის“ სეზონი, რომელიც შარშან აგვისტოში თითქოსდა მეტისმეტად იმედისმომცემად ჩანდა, დასასრულს უახლოვდება. მადრიდის „ატლეტიკოსთან“ ორ შეხვედრაში ნათამაშებმა 2:2-მა (შინ გაშვებული გოლის გამო მერსისაიდელები შეჯიბრებას ნახევარფინალიდან გამოეთიშნენ) ხსენებულ სეზონს საბოლოო წერტილი დაუსვა: ახლა უკვე აშკარაა, რომ ბენიტესის გუნდი მიმდინარე სეზონში ვერანაირ ჯილდოს ვერ მოიგებს. ერთადერთი, რაც მას დარჩა, პრემიერლიგის მეოთხე ადგილისთვის ბრძოლაა. როგორც ცხრილიდან ხედავთ, მერსისაიდელებს 62 ქულა აქვთ და მეშვიდეზე არიან. მეოთხეზე მყოფ „ტოტენჰემს“ ისინი ორი ქულით ჩამორჩებიან, თუმცა თამაშით ნაკლები აქვთ დარჩენილი. და, რაც მთავარია, დარჩენილი ორი შეხვედრიდან ერთი „ჩელსისთან“ არის. თუ „ლივერპული“ მოიგებს, დიდი შანსია, დასავლეთლონდონელებმა ჩემპიონობა დაკარგონ.

ახლა, რაც შეეხება „წითლების“ შემადგენლობას. როგორც ამბობენ, სასტარტო თერთმეტეულს **მაქსი როდრიგესი** დაუბრუნდება - მას, ევროლიგის ნახევარფინალში თავის ყოფილ გუნდთან, „ატლეტიკოსთან“ არ უთამაშია, ასე რომ, დასვენებულია და „ჩელსის“ ცოცხლად შეუტევს. **დირკ კუიტმა** ესპანელებთან შეხვედრისთვის მყესი კი მოირჩინა, მაგრამ ხვალისთვის ექიმებმა მაინც კარგად უნდა შეამოწმონ. ასეთივე დღეშია **ხავიერ მასკერანო**, რომელიც „ატლეტიკოსთან“ შეხვედრის მიწურულს შეცვალეს კიდეც. საეჭვოა თავდამსხმელის **დავიდ ნგოგის** ამბავიც.

და რას შვრება ამ დროს ჩემპიონობისთვის მებრძოლი „მანჩესტერ იუნაიტედი“? სერ **ალექს ფერგიუსონის** ბიჭები სანდერლენდში ჩადიან. იმას, რომ „იუნაიტედმა“ ეს შეხვედრა აუცილებლად უნდა მოიგოს, ლაპარაკი არ უნდა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მანჩესტერის გუნდში დაბრუნდებიან საზარდულმოშუშებული **უეინ რუნი** და **რიო ფერდინანდი**. რუნიმ, მოგეხსენებათ, „ტოტენჰემთან“ ბოლო შეხვედრა გამოტოვა, ფერდინანდი კი მას მერე არ გამოჩენილა მოედანზე, რაც „ბლექბერნთან“ დაშავდა. სტატისტიკა მეტყველებს, რომ ალექს ფერგიუსონს არასდროს წაუგია თავისი ყოფილი ფეხბურთელის **სტივ ბრუსის** გუნდთან, თუმცა სტატისტიკა იმასაც ამბობს, რომ „სანდერლენდს“ ამ სეზონში შინ მხოლოდ ორი შეხვედრა აქვს წაგებული. ამ შეხვედრაში დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებს მასპინძელთა მცველი **ალან ჰატონი**. ჰატონი წინა ტურში „ჰალის“ ფეხბურთელ **იოზი ალტიდორთან** შეხლის გამო დასაჯეს, მაგრამ აპელაციამ გაუმართლა და სამთამაშიანი დისკვალიფიკაცია ერთამდე შეუმცირეს. ვარჯიშს დაუბრუნდა ცენტრალური მცველი **მაიკლ ტერნერი**. ბოლო დღეებში ივარჯიშეს **ჯონ მენსამ** და **ლი კეტერმოლმაც**.

„არსენალი“ „ბლექბერნს“ სტუმრობს. ეს შეხვედრა ორშაბათსაა დანიშნული. კაცმა რომ თქვას, „მეთოფეთა“ საქმე უკვე გარკვეულია. ჩახედეთ ცხრილს და დაინახავთ, რომ ამ გუნდს მესამე ადგილი არ აცდება, თუმცა, ვინ ეყოლება და ვინ არა, მაინც ვთქვათ. ყველაზე საეჭვო რუსი **ანდრეი არშავინის** თამაშია. დანამდვილებით არ იქნებიან **სესკ ფაბრეგასი**, **დენილსონი**, **უილიამ გალასი** და **ტომას ვერმაელენი**. ვერც მეკარე **მანუელ ალმუნიას** ვიხილავთ. „ბლექბერნის“ თავკაც **სემ ელერდაისს** კვლავ ოთხი წამყვანი ფეხბურთელი აკლია.

„მანჩესტერ სიტი“ „ასტონ ვილას“ მასპინძლობს და ესეც გვარიანი მატჩია - მეხუთე გუნდი მეექვსეს სტუმრობს. ერთიც და მეორეც მეოთხე ადგილისთვის იბრძვიან. ისტლენდელთა თავკაც **რობერტო მანჩინის** მეკარის საკითხი აქვს გადასაწყვეტი. **შეი გივენი**, მოგეხსენებათ, დაშავდა და ამ სეზონში ვეღარ ითამაშებს, მის შემცვლელად კი ისტლენდზე „სანდერლენდიდან“ უნგრელი გოლკიპერი **მარტონ ფულოპი** მიიყვანეს. ფულოპს გუნდში ფარერელი **გუნარ ნილსენი** დახვდა და მანჩინიმაც სწორედ ამ ორს შორის უნდა აირჩიოს. სავარაუდოდ, ვერ ითამაშებენ დაშავებულები - **ემანუელ ადებაიორი** და **გარეთ ბერი**, „ვილას“ ოდინდელი ფეხბურთელი. რაც შეეხება ბირმინგემელთა მწვრთნელ **მარტინ ონილს**, იგი ცდილობს არ გაამჟღავნოს, თუ რა შემადგენლობით აპირებს „სიტისთან“ დაპირისპირებას.

ონილმა თქვა: *„გარკვეული პრობლემები ჯერ კიდევ გვაქვს. საბოლოო შემადგენლობის დასახელებისთვის კიდევ ერთი ვარჯიში გვჭირდება“.*

„ბირმინგემი“ „ბარნლის“ მასპინძლობს. ამ შეხვედრაში შესაძლოა სრულიად მოულოდნელად მოედანს ბირმინგემელთა ნახევარმცველი **კრის მაკკენი** დაუბრუნდეს. ამ ფეხბურთელს მთელი სეზონი მუხლის ტრავმებით ჰქონდა განამებული. ვერ ითამაშებს დისკვალიფიცირებული **სტივენ კარი**. მეოთხე ადგილზე მყოფი „სფურზი“ კი „ბოლტონს“ მასპინძლობს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 36 | 25 | 5 | 6 | 93-32 | 80 |
| 2. მანჩესტერ იუნ | 36 | 25 | 4 | 7 | 81-28 | 79 |
| 3. არსენალი | 36 | 22 | 6 | 8 | 78-39 | 72 |
| 4. ტოტენჰემი | 35 | 19 | 7 | 9 | 63-37 | 64 |
| 5. ასტონ ვილა | 36 | 17 | 13 | 6 | 51-35 | 64 |
| 6. მანჩესტ. სიტი | 35 | 17 | 12 | 6 | 69-42 | 63 |
| 7. ლივერპული | 36 | 18 | 8 | 10 | 61-33 | 62 |
| 8. ევერტონი | 36 | 15 | 12 | 9 | 59-49 | 57 |
| 9. ბირმინგემი | 36 | 12 | 11 | 13 | 35-44 | 47 |
| 10. სანდერლენდი | 36 | 11 | 11 | 14 | 47-53 | 44 |
| 11. ბლექბერნი | 36 | 11 | 11 | 14 | 38-54 | 44 |
| 12. ფულჰემი | 35 | 11 | 10 | 14 | 36-39 | 43 |
| 13. სტოკი | 35 | 10 | 13 | 12 | 33-44 | 43 |
| 14. ბოლტონი | 36 | 9 | 9 | 18 | 40-65 | 36 |
| 15. ვულვზი | 36 | 8 | 11 | 17 | 29-52 | 35 |
| 16. უიგანი | 36 | 9 | 8 | 19 | 35-69 | 35 |
| 17. ვესტ ჰემი | 36 | 8 | 10 | 18 | 44-62 | 34 |
| 18. ჰალი | 36 | 6 | 10 | 20 | 32-73 | 28 |
| 19. ბარნლი | 36 | 7 | 6 | 23 | 37-78 | 27 |
| 20. პორტსმუთი | 36 | 6 | 7 | 23 | 31-64 | 16* |

**ილია ბაბუნაშვილი**

ამბები

## შტარკე ჰოფენჰაიმში, ჰილდებრანდი მიდის

„ჰოფენჰაიმმა“ მომავალი სეზონისთვის „დუისბურგის“ მეკარე **ტომ შტარკე** გადაიბირა. შტარკე „ჰოფენჰაიმში“ **ტიმო ჰილდებრანდს** შეცვლის, რომელსაც სეზონის ბოლოს კონტრაქტი უმთავრდება და „სოფლელებს“ ყოველგვარი საზღაურის გარეშე დატოვებს. 29 წლის შტარკე „ჰოფენჰაიმში“ უფასოდ გადადის და გუნდთან, რომელსაც **რალფ რანგნიკი** წვრთნის, სამწლიან კონტრაქტს აფორმებს.

**გოტფრიდ ლენცი**

## ულიემ ვოლფსბურგს უარი უთხრა

როგორც ჩანს, **ჟერარ ულიე** „ვოლფსბურგის“ მწვრთნელი აღარ გახდება. ცნობა იმის შესახებ, რომ ფრანგმა გერმანიის მოქმედ ჩემპიონს უარი შეუთვალა, გუშინ გავრცელდა და მიზეზები ჯერჯერობით უცნობია. ფრანგული და გერმანული გამოცემები ერთხმად იუწყებიან, რომ ულიე „ვოლფსბურგს“ არ ჩაიბარებს. ამრიგად, „მგლების“ მენეჯერ **დიტერ ჰიონესს** სხვა სპეციალისტის ძებნა მოუწევს. „ბილდი“ სპეკულირებს, რომ 62 წლის ულიემ ბუნდესლიგაში მუშაობა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო იუარა. მას ჯერ კიდევ „ლივერპულში“ მუშაობის დროს აწუხებდა გული. ხსენებული გამოცემა წერს, რომ ახლა ფავორიტი **ბერნდ შუსტერია**.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ახდება მაგათის წინასწარმეტყველება?

## ჰერტამ თეორიული შანსისთვის კობიაშვილის გარეშე უნდა იბრძოლოს

| დღეს | |
|---|---|
| ბორუსია (დ)-ვოლფსბურგი | 17:30 |
| ლევერკუზენი-ჰერტა | 17:30 |
| აინტრახტი-ჰოფენჰაიმი | 17:30 |
| შალკე-ვერდერი | 17:30 |
| ბაიერნი-ბოხუმი | 17:30 |
| ჰანოვერი-ბორუსია (მ) | 17:30 |
| კიოლნი-ფრაიბურგი | 17:30 |
| შტუტგარტი-მაინცი | 17:30 |
| ჰამბურგი-ნიურნბერგი | 17:30 |

დღეს ბუნდესლიგა 2009/2010-ის ბოლოსწინა აკორდია. ბოლო ორი ტურის მატჩები, ტრადიციულად, ერთ დღეს და ერთ დროს იმართება ხოლმე. ასე იქნება ამჯერადაც: ყველა მატჩი დღეს, ჩვენი დროით საღამოს ექვსის ნახევარზე დაიწყება. კარგი ის არის, რომ ბრძოლა ყველა ფრონტზე უალრესად დაძაბულია. ერთადერთი, რაც ვიცით, არის ის, რომ „ბაიერნს" და „შალკეს" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის საგზურები განაღდებული აქვთ. სხვა დანარჩენი, ანუ, ყველაფერი დღეს ან მომავალ, ბოლო ტურში უნდა გადაწყდეს. „ბაიერნი" და „შალკე" ჩემპიონობისთვის იბრძვიან. „ვერდერი", „ლევერკუზენი", დორტმუნდის „ბორუსია" და „შტუტგარტი" ჩემპიონთა ლიგის მესამე საგზურზე აცხადებენ პრეტენზიას. „ფრაიბურგს", „ნიურნბერგს", „ბოხუმს", „ჰანოვერს" და „ჰერტას" კი ცხრილის „სარდაფში" აქვთ ნერვების წეწვა-გლეჯვა.

აგერ უკვე ორი კვირაა, რაც „შალკეს" მთავარი მწვრთნელი **ფელიქს მაგათი** წინასწარმეტყველის როლში გვევლინება. „დესპოტმა ფელიქსმა" ჯერ კიდევ ორი კვირის წინ იწინასწარმეტყველა, რომ „ბაიერნი" მიონხენგლადბახში ვერ მოიგებდა და ასეც მოხდა: რეკორდმაისტერმა „გლადბახთან" მხოლოდ ქულა მოიპოვა. ამრიგად, სეზონის დასრულებამდე ორი ტურით ადრე, მიუნხენურ და გელზენკირხენულ კლუბებს ქულების თანაბარი რაოდენობა აქვთ. თუმცა „ბაიერნს" ბურთების შეფარდების მხრივ იმხელა უპირატესობა აქვს, რომ „შალკეს" ჩემპიონობის შანსი მხოლოდ იმ შემთხვევაში გაუჩნდება, თუ „ბაიერნი" დღეს ან ბოლო ტურში წაიფორხილებს. ოღონდ, ამისთვის ისიც საჭიროა, რომ „შალკემ" ორივე თამაში მოიგოს.

მაგათის წინასწარმეტყველება ახდა ჩემპიონთა ლიგაშიც: ფელიქსმა თქვა, არ გამიკვირდება, მიუნხენელებმა „ლიონს" სტუმრადაც რომ მოუგონო და ასეც მოხდა. „შალკეს" თავკაცი წინასწარმეტყველებებს აგრძელებს და ამბობს, დარწმუნებული ვარ, რომ „ბაიერნი" ორივე თამაშს ვერ მოიგებსო. ცხადია, ფელიქსი თვითონ მხოლოდ იმ აზრზეა, რომ „შალკე" ორივე მატჩს მოიგებს. ანუ, გამოდის, რომ ის **ლევან ყენიას** გუნდის ჩემპიონობას წინასწარმეტყველებს.

### ბაიერნის იოლი გასეირნება? ბოხუმს ახალი მწვრთნელი ჰყავს!

რთულია, მაგათის პროგნოზს დაუჯერო, რადგან „ბაიერნი" დღეს მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხის წინაშე მდგარ „ბოხუმს" მასპინძლობს, „შალკე" კი „ვერდერს" ეთამაშება - გუნდს, რომელიც მესამე ადგილზეა და ამ პოზიციის შენარჩუნება უნდა. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ უკვე ორი დღეა, რაც „ბოხუმს" ახალი მწვრთნელი ჰყავს - ხუთშაბათს, კლუბის შეფებმა ათმატჩიანი მოუგებელი სერიის გამო, **ჰაიკო ჰერლიხი** გაათავისუფლეს და გუნდი დროებით, სეზონის ბოლომდე **დარიუშ ვოშს** ჩააბარეს. „ბოხუმს" ქულები ძალიან სჭირდება, მაგრამ არის კი ეს საკმარისი იმისათვის, რომ ჩემპიონობისთვის მებრძოლ „ბაიერნს" ტოლ-სწორად ეთამაშოს? გავიხსენოთ ორი კვირის წინანდელი მოვლენა: „ბაიერნმა" ასევე მძიმე მდგომარეობაში მყოფ „ჰანოვერს" 7:0 გადაუარბინა. მიუნხენელები ამბობენ, რომ ახლა მთელი კონცენტრაცია „ბოხუმთან" დღევანდელი მატჩისკენ აქვთ მიმართული - „ბაიერნს" ჰეთ-თრიკის შესრულება უნდა.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ბაიერნი (4-4-1-1):** ბუტი - ლამი, დემიკელისი, ბადშტუბერი, კონტენტო - რობენი, ვან ბომელი, შვაინშტაიგერი, რიბერი - თ. მიულერი - ოლიჩი.

**ბოხუმი (4-2-3-1):** ჰეერვაგენი - კონჩა, იაია, მავრაი, ბიონიგი - მარიჩი, ფუხსი - ფრაიერი, ეპალე, ჰოლტბი - ჰაშემიანი.

„შალკეს" „ვერდერთან" მხოლოდ სამი ქულა დააკმაყოფილებს. არადა, ბრემენული კლუბი ძალიან კარგ ფორმაშია და ამიტომაც შეძლო მესამე ადგილამდე აღზევება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ „ვერდერი" სტუმრად მოპოვებული ქულებით მეორე ადგილზეა და სხვათა შორის, სწორედ „შალკეს" ჩამორჩება. „მუსიკოსების" მწვრთნელი **თომას შააფი** გააფთრებულ გელზენკირხენელებს ოდნავადაც არ უფრთხის - პირიქით, დღევანდელ მატჩს მოუთმენლად ელოდება. *„ჯერ „შალკე", მერე „ჰამბურგი", ბოლოს კი გერმანიის თასის ფინალი - ამაზე უკეთეს დასასრულს ვერც ვინატრებდით,"* - აცხადებს შააფი.

მესამე ადგილამდე აღზევებას და იმას, რომ „ვერდერს" ჩემპიონთა ლიგაში გასვლის შანსი გაუჩნდა, ბრემენელები სამმატჩიან მოგებათა სერიას და თავიანთი კაპიტნის, **ტორსტენ ფრინგსის** ბრწყინვალედ ათამაშებას უნდა უმადლოდნენ. საყრდენმა ნახევარმცველმა „ვოლფსბურგთან" და „კიოლნთან" მატჩებში საგმირო საქმეები ჩაიდინა და სეზონის მიწურულს შესანიშნავ ფორმაშია.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**შალკე (4-3-2-1):** ნოიერი - რაფინია, ჰიოვედესი, ბორდონი, ვესტერმანი - კლუგე, მატიპი, რაკიტიჩი - ფარფანი, ედუ - კურანი.

**ვერდერი (4-2-3-1):** ვიზე - ფრიტცი, მერტეზაკერი, ნალდო, პასანენი - ფრინგსი, ბარგფრედე - მარინი, იოზილი, ჰანტი - პისარო.

### ოთხთაბრძოლა მესამე ადგილისთვის

თუმცა მეორე წრის საუკეთესო გუნდი „შტუტგარტია". ყველასათვის მოულოდნელად, ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შანსი შვაბებსაც გაუჩნდათ. 12 მოგება და მხოლოდ ორი მარცხი - აი, ასეთია შვაბთა მწვრთნელ **კრისტიან გროსის** ბალანსი, რომელსაც ძალიან უნდა, რომ „შტუტგარტი" ევროპის ელიტაში დააბრუნოს. ევროპის ლიგაში ასპარეზობა შვაბებს ფაქტობრივად გარანტირებული აქვთ, მაგრამ ამით არ კმაყოფილდებიან და მესამე ადგილს უმიზნებენ. ცხადია, მეექვსეადგილოსანს ამისათვის დღეს „მაინცის" დამარცხება მართებს. თუ ტენდენციას გავითვალისწინებთ, შტუტგარტელებს სამი ქულის მოპოვება არ უნდა გაუჭირდეთ, რადგან „მაინცს" ამ სეზონში არაფერი აღარ აინტერესებს და ესეც რომ არ იყოს, „კარნავალელები" გასვლით მატჩებში არც ისე კარგად გამოიყურებიან ხოლმე. ამავდროულად, გროსს და მის შეგირდებს იმის იმედი უნდა ჰქონდეთ, რომ კონკურენტები წაიფორხილებენ. ასეთი კი არც მეტი, არც ნაკლები, სამი გუნდია: „ვერდერი", დორტმუნდის „ბორუსია" და „ლევერკუზენი".

დორტმუნდელები დღეს „ვოლფსბურგს" მასპინძლობენ - გუნდს, რომელმაც წინა ტურში, ფრაიბურგში განცდილი მარცხით (0:1), თავისი საევროპო ამბიციები ფაქტობრივად საბოლოოდ დაასამარა. **იურგენ კლოპის** გუნდმა წინა ტურში ნიურნბერგში მოიგო (3:2). იმ მატჩში **ლუკას ბარიოსმა** ჰეთ-თრიკი შეასრულა, 18 გოლი აქვს და ჯერ არ დაუკარგავს იმის იმედი, რომ ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდება.

ბომბარდირობასთან კი ყველაზე ახლოს „ლევერკუზენის" თავდამსხმელი **შტეფან კისლინგია** 21 გოლით და ლოგიკურად, მაღალია იმის შანსი, რომ „ფარმაცევტების" გოლეადორმა აქტივი დღესაც გაზარდოს, რადგან „ბაიერი" ბოლოადგილოსან „ჰერტას" მასპინძლობს. ბერლინულ კლუბს თეორიულად ჯერ კიდევ აქვს გადარჩენის შანსი, მაგრამ მენტალურად უკვე მეორე ბუნდესლიგისთვის ემზადება. წინა ტურში „ლევერკუზენმა" ხუთმატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა და „ჰანოვერი" 3:0 გაანადგურა. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ „ფარმაცევტები" აზრზე მოვიდნენ. „ბაიერის" მწვრთნელ **იუპ ჰაინკესისთვის** სასიამოვნო ინფორმაციაა ის, რომ გერმანიის ნაკრების მეკარე **რენე ადლერმა** სრული დატვირთვით ვარჯიში განაახლა და უნდა, რომ „ჰერტასთან" ითამაშოს. ბერლინელთა მწვრთნელ **ფრიდჰელმ ფუნკელს** კი, **ლევან კობიაშვილის** შემცვლელის პოვნა მოუწევს, რადგან „ჰერტას" ქართველმა ფეხბურთელმა ერთი კვირის წინ მეხუთე გაფრთხილება მიიღო და ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს.



შალკეს მწვრთნელი ფელიქს მაგათი დარწმუნებულია, რომ ლუის ვან გაალის ბაიერნი ან დღეს ვერ მოიგებს, ანაც ბოლო ტურში

მოკლედ, „შალკესთან" განცდილი მარცხის შემდეგ (0:1), „ჰერტას" გადარჩენის შანსი აბსოლუტურ მინიმუმამდე დავიდა და მხოლოდ ყველაზე დიდი ოპტიმისტებილა ამბობენ, რომ ბერლინელების გადარჩენა შესაძლებელია. საკმარისია, „ჰერტამ" დღესაც ვერ მოიგოს, რომ უკანასკნელი ოპტიმისტებიც დადუმდებიან. დედაქალაქელებთან ერთად, გადარჩენისთვის „ჰანოვერი", „ბოხუმი", „ნიურნბერგი" და „ფრაიბურგი" იბრძვიან და „ჰანოვერის" გარდა ყველას გასვლითი მატჩი აქვს.

### ვის აქვს ყველაზე მაგარი ნერვები?

ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში „ფრაიბურგია", რადგან **რობინ დუტის** გუნდმა ზედიზედ ორი საშინაო მატჩი მოიგო („ნიურნბერგთან" და „ვოლფსბურგთან") და გასავარდნ ზონას მოშორდა. მაგრამ დღეს ბრაისგაუელები კიოლნში ჩადიან და ჯერ არ აქვთ იმის უფლება, რომ თავი აბსოლუტურად დამშვიდებულად იგრძნონ, მაგრამ „ფრაის" მე-16 ადგილთან სამქულიანი უპირატესობა აქვს, რაც ბოლოსწინა ტურში ძალიან მსუყე არგუმენტია იმისთვის, რომ ნერვაუტოკებლად ითამაშონ.

სამაგიეროდ, რკინის ნერვები არ ჰქონია „ნიურნბერგს", რომელმაც ზედიზედ სამი თამაში წააგო და გადარჩენის ამბავი ისევ სათუოდ გაიხადა. ფრანკებს არც ამ ტურში აქვთ იოლი მატჩი - ისინი ჰამბურგში ჩადიან და ხვდებიან განრისხებულ კლუბს, რომელშიც ამ კვირაში მწვრთნელი შეიცვალა (**ლაბადიას** ნაცვლად **მონისი**) და რომელიც ევროპის ლიგის ნახევარფინალიდან გავარდა („ფულჰემთან" წააგო). ჰამბურგელებს ძალიან უნდოდათ ფინალში გასვლა, რადგან დასკვნითი მატჩი მათ სტადიონზე უნდა გაიმართოს, ახლა კი ჯავრის ამოყრას „ნიურნბერგზე" ეცდებიან. ფაქტია, რომ ბოლო ტურებში „ჰამბურგმა" ძალიან ბევრი ქულა დაარიგა!

საჩუქრების მცირე იმედიც კი არ უნდა ჰქონდეს „ბოხუმს", რომელიც ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასულ და გერმანიის ჩემპიონობისთვის მებრძოლ „ბაიერნს" სტუმრობს.

კონკურენტებთან შედარებით, მარტივი მოჩანს „ჰანოვერის" ამოცანა, რომელიც მიონხენგლადბახის „ბორუსიას" მასპინძლობს. მაგრამ **მირკო სლომკას** გუნდმა ბოლო ორი თამაში ისე წააგო, რომ 10 გოლი გაუშვა იმ დროს, როცა ერთიც არ გაუტანია, რაც „ჰანოვერისთვის" ნამდვილად არ არის თავდაჯერებულობის მომატების საბაბი. თუკი „ბოხუმი" და „ნიურნბერგი" მოიგებენ (რაც უტოპიაა, მაგრამ მაინც), „ჰანოვერს" ახლავე დაემუქრება მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 32 | 18 | 10 | 4 | 66-29 | 64 |
| 2. შალკე | 32 | 19 | 7 | 6 | 53-29 | 64 |
| 3. ვერდერი | 32 | 16 | 9 | 7 | 68-39 | 57 |
| 4. ლევერკუზენი | 32 | 15 | 12 | 5 | 63-36 | 57 |
| 5. ბორუსია (დ) | 32 | 16 | 8 | 8 | 52-38 | 56 |
| 6. შტუტგარტი | 32 | 15 | 8 | 9 | 48-38 | 53 |
| 7. ჰამბურგი | 32 | 12 | 12 | 8 | 51-40 | 48 |
| 8. ვოლფსბურგი | 32 | 13 | 7 | 12 | 60-56 | 46 |
| 9. აინტრახტი | 32 | 12 | 10 | 10 | 45-49 | 46 |
| 10. მაინცი | 32 | 12 | 9 | 11 | 34-40 | 45 |
| 11. ჰოფენჰაიმი | 32 | 10 | 8 | 14 | 41-40 | 38 |
| 12. ბორუსია (მ) | 32 | 12 | 8 | 14 | 41-53 | 38 |
| 13. კიოლნი | 32 | 9 | 10 | 13 | 31-39 | 37 |
| 14. ფრაიბურგი | 32 | 8 | 7 | 17 | 30-56 | 31 |
| 15. ნიურნბერგი | 32 | 7 | 7 | 18 | 31-54 | 28 |
| 16. ბოხუმი | 32 | 6 | 10 | 16 | 32-58 | 28 |
| 17. ჰანოვერი | 32 | 7 | 6 | 19 | 34-66 | 27 |
| 18. ჰერტა | 32 | 5 | 8 | 19 | 32-52 | 23 |


ლუკას ბარიოსი დუბლის პირობას ვერ დებს



# ბარიოსი: შეუძლებელი უნდა შევძლოთ!

## ბორუსია ჩემპიონთა ლიგის საგზურზე ოცნებობს

დორტმუნდის „ბორუსიას" გოლეადორი **ლუკას ბარიოსი** (18 გოლი ამ სეზონში) ვესტფალიური კლუბის ერთგულ გულშემატკივრებს ვერ ჰპირდება იმას, რომ ისევე როგორც პირველ წრეში (3:1 „ბორუსიას" სასარგებლოდ), „ვოლფსბურგს" ამჯერადაც პირველ ათ წუთში შეუსრულებს დუბლს, სამაგიეროდ, პარაგვაის ნაკრებში თამაშის მსურველი არგენტინელი თამამად ამბობს, რომ ის და მისი თანაგუნდელები ყველაფერს გააკეთებენ გერმანიის მოქმედ ჩემპიონთან მატჩის მოსაგებად.

*„ჩვენ ბედნიერები ვართ იმით, რასაც უკვე მივაღწიეთ, მაგრამ დარჩენილ ორ თამაშში კიდევ უფრო მეტის მიღწევა შეგვიძლია და ჯერ კიდევ ძალიან დამშეულები ვართ,"* - ამბობს 25 წლის ფორვარდი. „ვოლფსბურგთან" და „ფრაიბურგთან" მატჩების მოგების შემთხვევაში „ბორუსიას" ერთი შეხედვით შეუძლებელის მიღწევის შანსი უჩნდება - „შავ-ყვითლები" ჩემპიონთა ლიგის საგზურზე ოცნებობენ.

*„ბაიერნისა" და „შალკეს" შემდეგ სამეულში მოხვედრას ყველაზე მეტად ჩვენ ვიმსახურებთ. ორივე თამაშში უდიდესი თავგანწირვით ვიბრძოლებთ,"* - ეს კი 21 წლის **ნური შაჰინის** სიტყვებია, რომელიც კარიერის საუკეთესო სეზონს ატარებს და „ბორუსიას" მთავარი შემოქმედია.

სეზონის წინ „დორტმუნდს" სამეულისთვის ბრძოლას არავინ უწინასწარმეტყველებდა. ერთადერთი ექსპერტი, რომელმაც ზაფხულში „ბორუსიაზე" თქვა, მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებსო, **ფრანც ბეკენბაუერი** გახლდათ. კაიზერს მიაჩნდა, რომ დორტმუნდელებს ჩემპიონობაზეც კი ექნებოდათ პრეტენზია. მაგრამ „ბორუსიას" ბედი მის ხელში არ არის - იმისათვის, რომ **იურგენ კლოპის** გუნდი მესამე ადგილზე გავიდეს, კონკურენტებმა უნდა წაიფორხილონ.

ამასობაში, იტალიურმა „გაძეტა დელო სპორტმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ბარიოსის გადაბირება ფლორენციის „ფიორენტინას" უნდა. თითქმის გადაწყვეტილია, რომ **ადრიან მუტუ** „ვიოლას" დატოვებს და შესაბამისად, „ფიორენტინა" მის შემცვლელს ეძებს. ჩვენი იტალიელი კოლეგები წერენ, რომ ფლორენციელები მზად არიან, „დორტმუნდს" 9 მილიონი ევრო გადაუხადოს, მაგრამ „ბორუსია" ბარიოსს არაფრისდიდებით არ შეელევაო, - ამბობს კლუბის შეფი **ჰანს-იოახიმ ვატცკე**.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიძინა ზარათაშვილი წარმოგიდგენთ

# იქ, ამერიკაში...

## კოპა ლიბერტადორესი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები

# ინერტული ფენომენი წვიმაში



ფლამენგო-კორინთიანსის დროს კოკისპირულად წვიმდა. რონალდო (შუაში) ბურთისთვის ბრძოლაში

**ფლამენგო (ბრა)–კორინთიანსი (ბრა) 1:0**

**ფლამენგო:** ბრუნო, ლეო მოურა, ჟუანი, რონალდო ანჟელიმი, დავიდი, მიხაელი, ლომულო, მალდონადო (ტორო), ვილიანსი (ფიერო), ადრიანო, ვაგნერ ლავი (ვინიციუს პაჩეკო).

**კორინთიანსი:** ჟულიო სეზარი, რობერტო კარლოსი, ჩიკაო, ვილიამი, დანილო გაბრიელი (ჟორჟე ენრიკე), ელიასი, მოასირი, რალფი, ჟუსილეი, რონალდო (სოუზა), დენტინიო (იარლეი).

**გოლი:** 1:0 ადრიანო (66-პენ)

**გაძევება:** მიხაელი (38. ფლამენგო)

ბრაზილიური გრანდების დუელი **ადრიანოს** პენალტმა გადაწყვიტა. არადა, მისი გუნდი მთელი 52 წუთის განმავლობაში რიცხვნაკლული თამაშობდა - **მიხაელმა** 8 წუთის ინტერვალით 2 გაფრთხილება მიიღო. არ გაამართლა იმედები ადრიანოსა და **რონალდოს** სავარაუდო დუელმა. „ფენომენი" საკმაოდ ინერტული გახლდათ, ისევე როგორც მასპინძელთა მთავარი მეგოლე **ვაგნერ ლავი**. შემთხვევითი არაა, რომ ორივე შესაცვლელი გახდა.

**ალიანსა (პერ)–უნ. დე ჩილი (ჩილ) 0:1**

**ალიანსა:** ფორსაიტი, სოლისი, პრადო, სოსა, ვილამარინი, ედგარ გონსალესი, კინტეროსი (მონტანიესი), ტრაგოდარა, ა სანჩესი (ჟოელ სანჩესი), ხოსე ფერნანდესი (ველასკესი), აგირე.

**უნივერსიდად დე ჩილი:** მიგელ პინტო, როდრიგესი, ოლარა, კონტრერასი (ალვარო ფერნანდესი), როხასი, ვიქტორინო, იტურა, მონტილიო, სეიმური (ნელსონ პინტო), ედუარდო ვარგასი, ოლივერა (რივაროლა).

**გოლი:** 0:1 რივაროლა (86)

ფავორიტმა აქაც გაიმარჯვა. ჩილელებმა მშვიდად მოიგერიეს მასპინძელთა ყველა იერიში. 73-ე წუთზე კი შეცვლაზე შეუშვეს არგენტინელი სნაიპერი **დიეგო რივაროლა**, რომელსაც 13 წუთი დასჭირდა გადამწყვეტი გოლის გასატანად.

**ჩივასი (მექ)–ველესი (არგ) 3:0**

**ჩივასი:** სანჩესი, ესპარსა, რეინოსო, ლუნა, პონსე, პერესი (ბაესი), მეხია (არაუხო), სოლისი, დე ლა მორა (დავილა), რივერონი, ბრავო.

**ველესი:** მონტოია, ოტამენდი, დომინგესი, პაპა (ტორსილიერი), დიასი, კუბერო (ბელა), სომოსა, საპატა, მორალესი, მარტინესი, ლოპესი (სარატე).

**გოლები:** 1:0 ბრავო (25), 2:0 ბრავო (78), 3:0 რეინოსო (90-პენ)

**გაძევება:** მონტოია (89. ველესი)

„ველეს სარსფილდმა" სამარცხვინოდ წააგო „ჩივასის" დუბლებთან. თავად განსაჯეთ - მასპინძლებს აკლდათ მექსიკის ნაკრებში გაწვეული: **ლუის მიჩელი, ადოლფო ბაუტისტა, ჯონი მეგალონი, ალბერტო მედინა, ხავიერ ერნანდესი,** ტრავმირებული ძირითადი მეკარე **უგო ერნანდესი, აარონ გალინდო, ხუან ოკამპო, მარკო ფაბიანი.** არგენტინელებს კი მხოლოდ ურუგვაელი ბომბარდირის **სანტიაგო სილვას** შემცვლელის მოძებნა ესაჭიროებოდათ.

მიუხედავად ამისა, მექსიკელებმა პრაქტიკულად ყველა კომპონენტში აჯობეს მეტოქეს და საპასუხო მატჩის წინ სერიოზული ფორა მოიპოვეს.

**ონსე კალ (კოლ)–ლიბერტადი (პარ) 0:0**

**ონსე კალდასი:** მარტინესი, ვისკარონდო, ენრიკესი, ნუნიესი, ველესი, ამაია (ერნანდესი), მორენო, ვალენსია, კასტრილიონი (სანტოია), არიასი, ურიბე.

**ლიბერტადი:** მედინა, სარაბია, რომანი, ბენეგასი, აკინო, კასერესი, სამუდიო (პოუსო), აიალა (რობლესი), კაბალერო, ველასკესი (ლობერტო გამარა), ლოდოლფო გამარა.

უინტერესო მატჩი შესაბამისი ანგარიშით დასრულდა.

**უნივერსიტ. (პერ)–სან პაულუ (ბრა) 0:0**

**უნივერსიტარიო:** ლონტოპი, გალვანი, ესპინოსა, რივორედო, კარმონა (მიგელ ტორესი), რეინერ ტორესი, რაბანალი, გონსალესი (ერნანდესი), ვასკესი (რუიდიასი), პირისი, ალვა.

**სან პაულუ:** როჟერიო სენი, სისინიო (ჟანი), მირანდა, ალექს სილვა, ჟორჟე ვაგნერი, როდრიგო სოუტუ, რიჩარლისონი, ერნანესი, მარლოში (ჟუნიორ სეზარი), ვაშინგტონი (რენატო სილვა), დაგობერტო.

**გაძევება:** რიჩარლისონი (65. სან პაულუ)

რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად, პერუელებმა ვერაფერი გააწყვეს ფავორიტის წინააღმდეგ, უგოლოდ გაეყარნენ მეტოქეს და შემდეგ წრეში გასვლის მიზერული შანსი კიდევ უფრო შეიმცირეს.

**კრუზეირო (ბრა)–ნასიონალი (ურუ) 3:1**

**კრუზეირო:** ფაბიო, ჟილბერტუ (გუერონი), ჟონატანი, ლეონარდო სილვა, დიეგო რენენი, ჟილი, მარკინიოშ პარანა, ენრიკე, ფაბრისიო (ელიკარლოსი), კლებერი, ტიაგო რიბეირუ.

**ნასიონალი:** მუნიოსი, ლიმბო, ნუნიესი, კოატესი, ვარელა (ვერა), გონსალესი, ანხელ მორალესი (გოდოი), ოსკარ მორალესი (პერეირა), ფერო, კალსადა, რეგეირო.

**გოლები:** 1:0 ტიაგო რიბეირუ (7), 2:0 ტიაგო რიბეირუ (22), 3:0 ტიაგო რიბეირუ (42), 3:1 რეგეირო (51)

„ესტადიო გოვერნადორ მაგალიაეშ პინტუზე" შეკრებილმა პუბლიკამ **ტიაგო რიბეირუს** ბენეფისი იხილა. მასპინძელთა ფორვარდმა სამჯერ მოუგო დუელი **როდრიგო მუნიოსს** და „კრუზეიროს" პირველი ტაიმი შესანიშნავი შედეგით (3-0) მოაგებინა. მეორეში სტუმრებმა მოახერხეს შოკიდან გამოსვლა და **მარიო რეგეიროს** გოლით ოდნავ გაიუმჯობესეს საერთო წარმატების შანსი.

**სან ლუისი (მექ)–ესტუდიან. (არგ) 0:1**

**სან ლუისი:** ტრეხო, აგილარი, მასკორო, მარტინესი, ლუნა, ტორესი, მაია (დე ლა ტორე), როდრიგესი, რანგელი (ლოხერო), ბლას პერესი (სალინასი), მორენო.

**ესტუდიანტესი:** ორიონი, სელაი, კლემენტე როდრიგესი, ფერნანდესი, როხო (იბერბია), კარუსკა (რე), ბენიტესი, სანჩესი, ნუნიესი, გონსალესი გასტონ ფერნანდესი (ენცო პერესი).

**გოლები:** 0:1 გონსალესი (25)

**გაძევება:** კლემენტე როდრიგესი (69. ესტუდიანტესი)

თასის მფლობელმა დუბლებითაც მოიგო გასვლითი მატჩი მექსიკის ჩემპიონატის აუტსაიდერთან. **ალეხანდრო საბელიამ** ძირითადის 5 მოთამაშე **(ანხელერი, ბრანია, ვერონი, სოსა, ბოსელი)** დაასვენა და ორიც **(რე, პერესი)** შეცვლაზე შეიყვანა. მიუხედავად ამისა, **ლეანდრო გონსალესის** გოლი მატჩში ერთადერთი აღმოჩნდა. არგენტინელთა სიხარული ოდნავ გააქარწყლა **კლემენტე როდრიგესის** გაძევებამ.

**ბანფილდი (არგ)–ინტერნასიონ. (ბრა) 3:1**

**ბანფილდი:** ლუკეტი, მაიდანა, ლოპესი, ლადინო, ბატიონი, ბარასა, კინტეროსი, ერვიტი, როდრიგესი (დოს სანტოსი), რამირესი, ფერნანდესი (სარდელია).

**ინტერნასიონალი:** აბონდანსიერი, სორონდო, ბოლივარი, ფაბიანო ელერი, ნეი, კლებერი, დ'ალესანდრო (ტაისონი), გუინასუ, ანდრეზინიო (ევერტონი), სანდრო, ალესანდრო (ვალტერი).

**გოლები:** 1:0 ხამეს როდრიგესი (48), 1:1 კლებერი (50), 2:1 ბატიონი (58), 3:1 ფერნანდესი (80)

**გაძევება:** კლებერი (57. ინტერნასიონალი), ბარასა (84. ბანფილდი)

აქ მთავარი მოქმედი პირი ურუგვაელი არბიტრი **ხორხე ლარიონდა** გახლდათ. მე-20 წუთზე სტუმართა არგენტინელმა მეკარე **პატო აბონდანსიერიმ** საჯარიმოში **სებასტიან ფერნანდესთან** უაზრო მატაობისას ბურთი დაკარგა და **რუბენ რამირესმა** ანგარიში გახსნა, მაგრამ არბიტრმა საეჭვო ოფსაიდი დააფიქსირა.

მეორე ტაიმის დებიუტში გუნდებმა გოლები გაცვალეს. ჯერ კოლუმბიელმა **ხამეს როდრიგესმა** დაარტყა ზუსტად მარჯვენა დაბალ კუთხეში (1-0), მერე კი **კლებერმა** მოარტყა ცხრიანში (1-1). 7 წუთში ლარიონდამ კლებერისა და **ვალტერ ერვიტის** წმინდა სათამაშო ჯახში ბრაზილიელი დაადანაშაულა და მინდვრიდან გააძევა, იქვე გათამაშებული ჯარიმის დროს კი ვერ დაინახა **რობერტო ბატიონის** თამაშგარე და არგენტინელებს გოლი ჩაუთვალა (2-1). თამაშის ბოლოს ურუგვაელმა ფერნანდესმა მასპინძელთა უპირატესობა ორბურთიანი გახადა (3-1), ლარიონდამ კი შეცდომების კასკადი **ხულიო ბარასას** გაძევებით დაასრულა.

## კონკაკაფი. თასის ფინალი. საპასუხო მატჩი

**პაჩუკა–კრუს ასული 1:0 (1:2)**

**პაჩუკა:** კალერო, როხასი (კორტესი), პერესი, მუნიოსი, როდრიგესი, ტორესი (მანიონი), მარტინესი, მანსო, ალვარესი, ბენიტესი, ცვიტანიჩი (მენდივილი).

**კრუს ასული:** კორონა, კასტრო (ჩავესი), სერვანტესი, ბრაუნი, პინტო, რივეროსი, გუტიერესი, ლოსანო, ბიანკუჩი (ლუგო), ვილა, ოროსკო.

**გოლები:** 1:0 ბენიტესი (90)

ოთხშაბათს თასზე ოცნებას მხოლოდ **ლიონელ მესი** როდი გამოემშვიდობა. იგივე ბედი გაიზიარა მისმა ბიძაშვილმა **მაქსიმილიანო ბიანკუჩიმაც,** რომელიც შარშან „ფლამენგოსთან" ერთად ბრაზილიის ჩემპიონი გახდა, წელს კი „კრუს ასულის" ღირსებას იცავს.

საშინაო გამარჯვების მერე (2:1), მისი გუნდი ბოლო წუთამდე ინარჩუნებდა უგოლო ფრეს, მაგრამ პარაგვაელი **ედგარ ბენიტესის** დარტყმამ ყველაფერი ფუჭი გახადა.

კომნებოლის თასი „პაჩუკას" დარჩა და სწორედ იგი იბრძოლებს შემოდგომაზე საკონტინენტთაშორისო თასისთვის.

## მექსიკა

დასრულდა მექსიკის რეგულარული ჩემპიონატი. ახლა ჯერი პლეი ოფზეა. პირველი ეტაპი დამაჯერებლად მოიგო ჩემპიონმა „მონტერეიმ" (35 ქულა), რომელსაც სულ არ დასტყობია ჩილელი ბომბარდირის **უმბერტო სუასოს** გაყიდვა „სარაგოსაში". წარმატების საწინდარი საკუთარ მოედანზე დამაჯერებელი გამოსვლა გახლდათ. იქ „მონტერეიმ 8 მატჩი მოიგო და 1 ფრედ დაასრულა.

ანალოგიური რეცეპტით (შინ +7=1-2) მეორე პოზიცია მოიპოვა გვადალახარის „ჩივასმა", რომელმაც ფანტასტიკური სტარტის (8 მოგება) შემდეგ ფორმა დაკარგა, ბოლო 4 მატჩში კი სულაც 1 ქულა აიღო. ნაწილობრივ ეს ახალგაზრდა ბომბარდირი **ხავიერ ერნანდესის** (10 გოლი) ტრავმით აიხსნება, მის გარეშე გუნდმა მხოლოდ ერთხელ მოიგო.

„აპერტურას" რეგულარულის მომგებმა „ტოლუკამ", პირიქით, საშინელი სტარტის (3 ქულა 15-დან) მერე გამოიღვიძა და მესამეზე გავიდა. სტაბილურად იასპარეზეს „სანტოსმა" და „პუმასმა", „ამერიკამ" და „პაჩუკამ" კი ბოლო ტურში გამარჯვებით შეინარჩუნეს ჩემპიონობისთვის ბრძოლის შანსი.

პლეი ოფის მიღმა დარჩნენ შარშანდელი ფინალისტი „კრუს ასული", რომელმაც ბოლო ტურში ვერ აჯობა 7-კაცნაკლულ „ჩივასს" და გასვლაზე საუკეთესო შედეგის (15 ქულა) მქონე „ტიგრესი", რომელმაც შინ მხოლოდ ერთხელ მოიგო.

უცნაური სიტუაცია შეიქმნა ბომბარდირთა დავაში. აქ 10-10 გოლით ერნანდესთან ერთად ლიდერობენ პერუელი **იოან ფრენო** („ატლანტე") და აშშ-ში დაბადებული **ერკულეს გომესი** („პუებლა"), რომელთა გუნდებმაც უკვე დაასრულეს ჩემპიონატი. ანალოგიურად 6 ნიშნულზე გაიყინენ საუკეთესო მეპასეები: ბრაზილიელი **დანილინიო** („ხაგუარესი"), არგენტინელი **ლუკას ლობოსი** („ტიგრე") და ჩილელი **როდრიგო რუისი** („ესტუდიანტესი").

საინტერესოა, რომ პლეი ოფში მონაწილეობას არ მიიღებენ მექსიკის ნაკრების მოთამაშეები, რომლებმაც უკვე დაიწყეს სამუნდიალიო შეკრება. 1/4 ფინალში ერთმანეთს ხვდებიან: **პაჩუკა-მონტერეი, მორელია-ჩივასი, ამერიკა-ტოლუკა, სანტოსი-პუმასი.**

## არგენტინა

არგენტინის ჩემპიონატი ფინიშის სწორზე გავიდა. „კლაუსურას" დამთავრებამდე სულ 3 ტური ლა დარჩა. ჩემპიონობის შანსს 4 გუნდი ინარჩუნებს.

პირველ პოზიციაზე 33 ქულით ტურნირის მთავარი ფავორიტი, ლა პლატის „ესტუდიანტესია". **ალეხანდრო საბელას** გუნდმა მოახერხა ის, რასაც არავინ ელოდა - ორივე ფრონტზე (ჩემპიონატსა და „კოპა ლიბერტადორესის" გათამაშებაში) სწორად გადაანაწილა ძალები, წარმატებით შეძლო ძირითადი შემადგენლობისა და დუბლიორების როტაციის სისტემის ამუშავება და ჯერჯერობით ორივე მიზნის მიღწევის კარგ შანსს ინარჩუნებს.

გასულ კვირაში სტუდენტებმა **ენცო პერესის** გოლით „რივერს" მოუგეს 1:0. ამჯერად „მილიონერებს" ვერც ახალი მწვრთნელის **ანხელ კაპას** ტაქტიკურმა სქემებმა უშველა და ვერც ძირითადში დაბრუნებული **დიეგო ბუონანოტეს** ტალანტმა.

მოიგო „ესტუდიანტესის" ორმა მდევარმა. ამათგან „არხენტინოს ხუნიორსის" წარმატება (3:1) ადვილად პროგნოზირებადი იყო. ჯერ ერთი, **კლაუდიო ბორხის** გუნდი ისედაც უფრო ძლიერია, ვიდრე ლა პლატის „ხიმნასია", მაგრამ მთავარი ისაა, რომ მეტოქე თავიდანვე არ აპირებდა ბრძოლას - მათთვის საკუთარ წარმატებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია მეზობელი „ესტუდიანტესის" ჩაძირვა.

არაფრით არ ნებდება სეზონის აღმოჩენად მიჩნეული „გოდოი კრუსიც", რომელმაც ამჯერად „ჩაკარიტა" იმსხვერპლა (1:0). მენდოსელთა რიგებში შესანიშნავად ირჯება **გონსალო იგუაინის** უფროსი ძმა **ფედერიკო.**

სამაგიეროდ, „ურაკანთან" უგოლო ფრემ მნიშვნელოვნად დაუმძიმა ამოცანა „ინდეპენდიენტეს", რომელიც აქამდე პირველობას იყოფდა „ესტუდიანტესთან", ახლა კი 2 ქულით ჩამორჩა.

პრეტენდენტთა დარჩენილი მატჩების კალენდარი ასეთია.

**ესტუდიანტესი (33 ქულა):** ჩაკარიტა (გასვლა), როსარიო სენტრალი (შინ), კოლონი (გასვლა)

**არხენტინოს ხუნიორსი (32 ქულა):** სან ლორენსო (გ), ინდეპენდიენტე (შ), ურაკანი (გ)

**გოდოი კრუსი (31 ქულა):** როსარიო სენტრალი (გ), კოლონი (შ), არსენალი (გ)

**ინდეპენდიენტე (31 ქულა):** ბოკა ხუნიორსი (შ), არხენტინოს ხუნიორსი (გ), ლანუსი (შ)

მსოფლიოს ჩემპიონატი 2010

წარმოგიდგენთ მონაწილეებს

# სერბეთი

**გასულ წლებში სახელებით მრისხანე სერბეთის ნაკრებს მუდმივად რაღაც არ ჰყოფნიდა. სინიშა მიხაილოვიჩისა და სავო მილოშევიჩის „ოქროსა" და უდავოდ ნიჭიერ თაობაში ძალიან ბევრი ანარქიზმი სუფევდა. შემდეგ საქმეში ომი ჩაერია და ფეხბურთისთვის არავის ეცალა. შემდეგ დიდხანს ეძებდნენ მწვრთნელს. ახლა, როგორც ჩანს, ყველაფერი თავის ადგილას დადგა.**



სერბული ფეხბურთის ისტორია ან ძალიან მდიდარია, ან მეტისმეტად ახალგაზრდა. თუ სერბებს იუგოსლავიის ნაკრების მემკვიდრედ ჩავთვლით, მაშინ მიღწევები საკმარისადაა. მაგრამ მათ ეს წარმატებები ხორვატიასთან, ბოსნიასთან, ჩერნოგორიასთან და იუგოსლავიის სხვა რესპუბლიკებთან უნდა გაიყონ. ამის გაკეთება კი არარეალურია. ცალკე ქვეყნად კი სერბეთი მხოლოდ 2006 წლიდან გამოდის. ამ გუნდისთვის ევრო 2008-ის შესარჩევი ციკლი გახდა პირველი გამოცდა.

მაშინ ნაკრებს ესპანელი **ხავიერ კლემენტე** ხელმძღვანელობდა, რომელსაც ამ თანამდებობაზე ხელი მოეცარა. ესპანელს არ ჰყოფნიდა ენის ცოდნა, ეროვნული მენტალიტეტი და პროფესიული თვისებებით დიდად არ ყოფილა დაჯილდოებული. კლემენტე მუდმივად ძიების პროცესში იყო, მან ბევრი ფეხბურთელი გასინჯა, მაგრამ შედეგი ვერ მიიღო. გუნდი ვერ მოხვდა ფინალურ ეტაპზე, თანაც ყაზახეთთან წაგება და სომხებთან ფრე მოახერხა.

ესპანელი **მიროსლავ ჯუკიჩმა** შეცვალა, რომელიც გუნდს ოლიმპიადაზე ხელმძღვანელობდა. მისი დანიშვნა ლოგიკური ნაბიჯი იყო, რადგან ადრე ახალგაზრდა მწვრთნელი ახალგაზრდულ ნაკრებს ავარჯიშებდა და სწორედ ამ გუნდის ძირითადი ბირთვი წავიდა ოლიმპიადაზე. მაგრამ 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის წინ ჯუკიჩი გამოცდილმა და დამსახურებულმა მწვრთნელმა **რადომირ ანტიჩმა** შეცვალა.

ამ სპეციალისტმა ორივე მადრიდულ გრანდთან და „ბარსელონასთან" მოასწრო მუშაობა, მოთამაშის კარიერა კი თურქეთში, ესპანეთსა და ინგლისში ვითარდებოდა. ამ მხრივ მას დიდი წარმატებებისთვის არ მიუღწევია, მაგრამ უდიდესი გამოცდილება დააგროვა.

ტურნირის მსვლელობისას ანტიჩმა შეარჩია მოთამაშეთა ჯგუფი, რომლითაც გუნდის ძირითადი ბირთვი შექმნა. შემადგენლობაში ცვლილებები სერიოზული იყო, რადგან მწვრთნელმა თაობათა შეცვლის გადაწყვეტილება მიიღო. თანდათან გამოიკვეთა სათამაშო ტაქტიკა და და ამ მხრივ ძიების პროცესი დღემდე გრძელდება - მწვრთნელი საკვალიფიკაციო ტურნირის ბოლო, გადამწყვეტ მატჩებშიც არ ერიდებოდა ექსპერიმენტებს.

სერბეთმა თავისი რეალური ძალა ურთულეს ჯგუფში რუმინეთთან და საფრანგეთთან დაპირისპირებისას დაგვანახვა. სერბებმა კვალიფიკაცია პარიზში წაგებით დაიწყეს (მანამდე იყო რიგითი მოგება ფარერებთან), სადაც უკვე მეოთხე წუთზე დაკარგეს კაპიტანი **დეიან სტანკოვიჩი**. გუნდი თანდათან იკრებდა ძალებს და **რაიმონ დომენეკის** „მამლებთან" განმეორებით მატჩამდე უდანაკარგოდ მივიდა. თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი საფრანგეთის წინააღმდეგ საშინაო მატჩში სერბებს ფრეც აძლევდათ ხელს და მათ მშვიდად მიაღწიეს მიზანს. სრული ბედნიერებისთვის მათ შინ რუმინეთთან გამარჯვება სჭირდებოდათ. ეს მატჩი ტურნირის მშვენებად იქცა და კარგად გვიჩვენა ანტიჩის გუნდის შესაძლებლობები - მეტოქე 5:0 განადგურდა. სერბებმა გაინაღდეს პირველი ადგილი და ლიტვასთან ბოლო თამაშმა აზრი დაკარგა.

■ ■ ■

სერბეთის ნაკრები იდეალურ საფეხბურთო ასაკში იმყოფება. მისი ლიდერები 25-30 წლისანი არიან. ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეებიდან მხოლოდ სტანკოვიჩმა და **მარკო პანტელიჩმა** გადააბიჯეს 30 წლის ასაკს. არსებობს პერსპექტიული ახალგაზრდობა, რომელსაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. თითქმის ყველა წამყვანი მოთამაშე ძლიერ კლუბში ირიცხება, ზოგიერთებს კი თავიანთ გუნდებში ლიდერის ფუნქციები აქვთ დაკისრებული. მაგალითად, რთულია შეაფასო **ნემანია ვიდიჩის** როლი „მანჩესტერ იუნაიტედში" ან **მილოშ კრასიჩისა** - მოსკოვის ცსკა-ში. ამ სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება. თანაც სერბეთს გრძელი სათადარიგოთა სკამი აქვს და თუ ვინმე შემთხვევით ამოვარდება ძირითადი შემადგენლობიდან, მას შეიძლება გაუჭირდეს ძველი პოზიციების დაბრუნება.

სერბების ტაქტიკაზე ლაპარაკი რთულია, რადგან შესარჩევი ტურნირის მსვლელობისას სქემამ რამდენჯერმე იცვალა სახე. მაგრამ დაცვის ხაზს ეს ცვლილებები არ შეხებია - გუნდი ყოველთვის ოთხი მცველით თამაშობს. ანტიჩი მხოლოდ კანდიდატებს არჩევდა და საკმაოდ სწრაფად მივიდა ოპტიმალურ ვარიანტამდე.

ბოლო წლებში დაცვის ნამდვილ ბურჯად ითვლება **ნემანია ვიდიჩი**. სხვანაირად ვერც იქნებოდა, რადგან ის მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მცველად ითვლება. ნემანია ყველა კომპონენტში ერთნაირად ძლიერია. დიდი ძალისა და გაბარიტების პატრონი, საკმაოდ კოორდინირებული და სწრაფია. მაგრამ მის ყველაზე უნიკალურ თვისებად კონცენტრაციის შენარჩუნება და საკუთარი ემოციების კონტროლია მიჩნეული. კლასის მიხედვით ვიდიჩი - სერბეთის ნაკრების უძლიერესი ფეხბურთელია, თუმცა ლიდერის თვისებებს ის მხოლოდ უმნიშვნელოვანეს წუთებში ავლენს.

ანტიჩი დიდი ხანი ეძებდა ნემანიასთვის ღირსეულ მეწყვილეს და არჩევანი **ალექსანდრ ლუკოვიჩზე** შეაჩერა. „უდინეზეს" მცველი შეტევაში თითქმის არ მიდის და ამიტომაც ნაკლებად შესამჩნევია, სამაგიეროდ, ძალიან საიმედოა დაცვაში. „უდინეზეში" ის უკვე სამი წელია თამაშობს და თუ ჯანმრთელია, მუდმივად გამოდის ძირითად შემადგენლობაში. ნაკრებში ის დიდი ხანი **მლადენ კრსტაიჩისა** და **ივიცა დრაგუტინოვიჩის** ჩრდილში იყო მოქცეული.

გასულ წელს ეროვნულ გუნდში გამოჩნდა კიდევ ერთი ძლიერი ცენტრალური მცველი - **ნევენ სუბოტიჩი**. ეს ბიჭი საფეხბურთო სამყარომ ორი წლის წინ გაიცნო, როცა ამერიკიდან გერმანიის „მაინცში" გადავიდა. პერსპექტიულ მცველს ძლიერი კლუბების რიგი დაუდგა, მაგრამ ნევენი მწვრთნელ **იურგენ კლოპთან** ერთად „დორტმუნდში" წავიდა. მასზე ერთბაშად სამი ნაკრები აცხადებდა პრეტენზიას - გერმანია (სადაც თამაშობდა), ამერიკა (იქ უნივერსიტეტში სწავლობდა და პროფესიული კარიერა დაიწყო) და სერბეთი (საიდანაც მისი მშობლები ამერიკაში გაემგზავრნენ). სუბოტიჩმა წინაპართა სამშობლო აირჩია და უკვე რამდენიმე მატჩი ჩაატარა სერბეთის ნაკრებში. აფრიკაში ის სათადარიგო მოთამაშედ გაემგზავრება.

საჭიროების შემთხვევაში ცენტრში თამაში შეუძლია **ბრანისლავ ივანოვიჩს**, თუმცა ანტიჩი მას მარჯვენა ფლანგზე აყენებს. „ჩელსის" მცველი შესარჩევ ციკლს ვიდიჩის მეწყვილედ იწყებდა, მარჯვნივ კი **ანტონიო რუკავინა** თამაშობდა. მაგრამ შემდეგ „დორტმუნდის" მცველმა (ახლა არენდით „მიუნხენში" თამაშობს) დაკარგა ადგილი ძირითადში და ანტიჩმა უარი თქვა მის სამსახურზე.

ბრანისლავი სერბების თამაშს ათლეტიზმსა და დინამიკას მატებს, ამასთან ის ძლიერია „სტანდარტული" მდგომარეობებისას როგორც მეტოქის, ასევე საკუთარ კართან. იგივე შეიძლება ითქვას მარცხენა მცველ **ალექსანდრ კოლაროვზე**, რომელიც ასევე არ უჩივის გაბარიტებს. იშვიათია იპოვო ფლანგის მოთამაშე, რომლის სიმაღლე 190 სანტიმეტრია. მიუხედავად ამისა, „ლაციოს" მცველი ახერხებს ფლანგის გაკონტროლებას და შეტევებში აქტიურად ჩართვას.

■ ■ ■

სადღაც შესარჩევი ციკლის შუაში ანტიჩი 4+2+3+1 მოდელზე გადავიდა და სწორედ ამ სქემით მოიგეს სერბებმა თავიანთი საუკეთესო მატჩები. სავარაუდოდ, გუნდი ასევე ითამაშებს სამხრეთ აფრიკაში.

ანტიჩის განკარგულებაშია ორი კარგი საყრდენი ნახევარმცველია, რომლებიც აღნიშნული სქემის თანახმად, მინდორზე ერთდროულად გადიან. ლაპარაკია „ჰერტასა" და „ვულვერჰემპტონის" ნახევარმცველებზე - **გოიკო კაჩარსა** და **ნენად მილიაშზე**. ორივე საკმაოდ საიმედო და დისციპლინირებულია, კარგად თამაშობენ ართმევაზე და ზუსტი პასის მიცემაც შეუძლიათ. რა თქმა უნდა, კლასიკურ პლეიმეიკერამდე ისინი ვერ „ქაჩავენ", შეტევაშიც იშვიათად მიდიან, სამაგიეროდ, წინა ხაზის მოთამაშეებსა და განაპირა მცველებს აძლევენ ამის საშუალებას.

სერბების თავდასხმა მრავალფეროვანია და არჩევანი მწვრთნელის ტაქტიკაზე იქნება დამოკიდებული. უფრო ხშირად დისპეტჩერის როლი კაპიტან **დეიან სტანკოვიჩს** ეკისრება. ის შეტევითი რომბის ქვედა მხარეს - ორი საყრდენის ოდნავ წინ იკავებს ადგილს. „ინტერის" ნახევარმცველს წარდგენა არ სჭირდება - მისი ტექნიკა და შორეული დარტყმები ყველასთვის ცნობილია. თანაც დეიანი არასოდეს გაურბის ბრძოლას, ამიტომაც შეტევის ჩაშლაც ეხერხება.

შეტევის მარჯვენა ფლანგი მთლიანად კრასიჩს აბარია. თავიდან ანტიჩი მას ნახევარმცველად იყენებდა, მაგრამ შემდეგ სქემა ისე გადააკეთა, რომ ცსკა-ს ფეხბურთელი შეტევით მოქმედებებზე გადაერთო. კრასიჩს რისკზე წასვლისა და თამაშის თავის თავზე აღების უფლება აქვს.

საფირმო თამაშისთვის მილოშს სივრცე სჭირდება და პარტნიორები ცდილობენ მისთვის ამ კომფორტის შექმნას. ამ დროს ივანოვიჩი მის ნაცვლად მუშაობს დაცვაში. ამ წყვილს მეტოქეებისთვის დიდი პრობლემების შექმნა შეუძლია.

საპირისპირო ფლანგზე არჩევანი ერთმნიშვნელოვანი არ არის. მარცხენა თავდამსხმელის პოზიციაზე სხვებზე ხშირად **მილან იოვანოვიჩი** ჩნდება, თუმცა აქ ანტიჩმა თავის გამოჩენის საშუალება მისცა **ზდრავკო კუჟმანოვიჩს, დანკო ლაზოვიჩსა** და **მილოშ ნინკოვიჩს**. სტანკოვიჩსაც კარიერის დიდი ნაწილი მარცხენა ნახევარმცველის პოზიციაზე აქვს გატარებული.

ანალოგიური სიტუაციაა ცენტრფორვარდებთან დაკავშირებით. როცა გუნდი სამი შემტევი ნახევარმცველით თამაშობდა, ერთადერთი ფორვარდის როლი **ნიკოლა ჟიგიჩს** ეკისრებოდა. ორმეტრიანი გიგანტი პარტნიორებისთვის შეტევის სიღრმეს ქმნის და ძალიან კარგია ფლანგური შეტევების დროს, რადგან თავით უკეთ თამაშობს, ვიდრე ფეხით, მაგრამ ასეთ შემთხვევაში შემადგენლობაში ადგილი აღარ რჩება სხვა სერბი ბომბარდირებისთვის, უპირველეს ყოვლისა, **მარკო პანტელიჩისთვის**, ხოლო ასეთი ოსტატების გამოუყენებლობა დაუშვებელი ფუფუნება იქნება.

უფრო სუსტ მეტოქეებთან შეხვედრებში, როცა მასირებული დაცვის გადალახვაა საჭირო, ანტიჩი ორ ცენტრალურ თავდამსხმელს იყენებდა, ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ფლანგებზე კრასიჩი და იოვანოვიჩი მოქმედებდნენ, გუნდს ერთბაშად ოთხი ფორვარდი ჰყავდა. ამ შემთხვევაში სტანკოვიჩი ცენტრალური ნახევარმცველის პოზიციაზე იხევდა და მოედანზე ერთი საყრდენი იყო. სამხრეთ აფრიკაში სუსტი მეტოქეები არ იქნებიან, ამიტომაც უფრო რეალურად მოჩანს ერთი ცენტრფორვარდისა და ორი საყრდენის მოდელი. რა თქმა უნდა, ბევრი რამ დამოკიდებული იქნება ივნისში კონკრეტული მოთამაშეების ფორმაზე. ტაქტიკის არჩევანში დიდ როლს ითამაშებს ისეთი მნიშვნელოვანი ფიგურების ფორმა, როგორებიც ჟიგიჩი და სტანკოვიჩი არიან.

სერბეთის ნაკრების სუსტი წერტილი შეიძლება გახდეს მეკარის პოზიცია. გუნდს ევროპული დონის მხოლოდ ერთი კარგი მეკარე ჰყავს - **ვლადიმირ სტოიკოვიჩი**, მაგრამ მას სათამაშო პრაქტიკა არ გააჩნია. ზამთარში ის ლისაბონის „სპორტინგიდან" „უიგანში" გადავიდა, მაგრამ იქაც ვერ გახდა ძირითადი მეკარე. თუმცა სტოიკოვიჩს უკვე ხუთი წელია არ აეწყო საკლუბო კარიერა, მაგრამ ეს ნაკრებში მისი თამაშის ხარისხზე არ აისახება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

### სერბეთი

სერბეთის საფეხბურთო კავშირი 1919 წელს დაარსდა. ფიფა-ს წევრია 1921 წლიდან. ფიფა-ს რეიტინგში მე-13 ადგილი უკავია.

ევროპის ორგზის ვიცე-ჩემპიონი (1960, 1968), ორჯერ იყო მეოთხე მსოფლიოს ჩემპიონატებზე (1930, 1962), ოლიმპიური ჩემპიონი (1960).

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ათჯერ ითამაშა, ჩაატარა 40 მატჩი: +16=8-16, ბურთების შეფარდება: 62-56

მთავარი მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი

ნაკრების რეკორდსმენი ჩატარებული თამაშების რაოდენობით: სავო მილოშევიჩი (102)

ნაკრების საუკეთესო ბომბარდირი - სავო მილოშევიჩი (37)

ჯგუფური ეტაპი

13 ივნისი. სერბეთი-განა (პრეტორია)

18 ივნისი. გერმანია-სერბეთი (პორტ-ელიზაბეტი)

23 ივნისი. ავსტრალია-სერბეთი (ნელსპრუიტი)

### შესარჩევი ტურნირი

06.09.08 სერბეთი-ფარერები 2:0 (ავტოგოლი, ჟიგიჩი)
10.09.08 საფრანგეთი-სერბეთი 2:1 (ივანოვიჩი)
11.10.08 სერბეთი-ლიტვა 3:0 (ივანოვიჩი, კრაშიჩი, ჟიგიჩი)
15.10.08 ავსტრია-სერბეთი 1:3 (კრაშიჩი, იოვანოვიჩი, ობრადოვიჩი)
28.03.09 რუმინეთი-სერბეთი 2:3 (იოვანოვიჩი, ავტოგოლი, ივანოვიჩი)
06.06.09 სერბეთი-ავსტრია 1:0 (მილიაში)
10.06.09 ფარერები-სერბეთი 0:2 (იოვანოვიჩი, სუბოტიჩი)
09.09.09 სერბეთი-საფრანგეთი 1:1 (მილიაში)
10.10.09 სერბეთი-რუმინეთი 5:0 (ჟიგიჩი, პანტელიჩი, კუჟმანოვიჩი, იოვანოვიჩი-2)
14.10.09 ლიტვა-სერბეთი 2:1 (ტოშიჩი)

### შესარჩევში ითამაშეს

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **მეკარეები** | | | | |
| ვალდიმირ სტოიკოვიჩი | 29.07.83 | უიგანი (ინგ) | 8 | - |
| ვლადიმირ დიშლეკოვიჩი | 02.07.81 | მეტალურგი დ. (უკრ) | 2 | - |
| **მცველები** | | | | |
| ბრანისლავ ივანოვიჩი | 22.02.84 | ჩელსი (ინგ) | 9 | 3 |
| ნემანია ვიდიჩი | 21.10.81 | მანჩესტერ იუნ (ინგ) | 8 | - |
| ივან ობრადოვიჩი | 25.07.88 | სარაგოსა (ესპ) | 6 | 1 |
| ივიცა დრაგუტინოვიჩი | 13.11.75 | სევილია (ესპ) | 6 | - |
| ალექსანდრ ლუკოვიჩი | 23.10.82 | უდინეზე (იტა) | 5 | - |
| ნევენ სუბოტიჩი | 10.12.88 | დორტმუნდი (გერ) | 5 | 1 |
| ალექსანდრ კოლაროვი | 10.11.85 | ლაციო (იტა) | 2 | - |
| მლადენ კრსტაიჩი | 04.03.74 | პარტიზანი | 2 | - |
| ანტონიო რუკავინა | 26.01.84 | მიუნხენი (გერ) | 2 | - |
| დუშკო ტოშიჩი | 19.01.85 | ქუინზ პარკი (ინგ) | 1 | - |
| **ნახევარმცველები** | | | | |
| მილოშ კრასიჩი | 01.11.84 | ცსკა (რუს) | 10 | 2 |
| დეიან სტანკოვიჩი | 11.09.78 | ინტერი (იტა) | 8 | - |
| ნენად მილიაში | 30.04.83 | ვულვერჰემპტონი (ინგ) | 8 | 2 |
| ზდრავკო კუჟმანოვიჩი | 22.09.87 | შტუტგარტი (გერ) | 6 | 1 |
| ბოშკო იანკოვიჩი | 01.03.84 | ჯენოა (იტა) | 6 | - |
| გოიკო კაჩარი | 26.01.87 | ჰერტა (გერ) | 5 | - |
| ზორან ტოშიჩი | 28.04.87 | კიოლნი (გერ) | 3 | 1 |
| მილოშ ნინკოვიჩი | 25.12.84 | დინამო კ (უკრ) | 2 | - |
| რადოსლავ პეტროვიჩი | 08.03.89 | პარტიზანი | 1 | - |
| ივან ერგიჩი | 21.01.81 | ბურსა (თურ) | 1 | - |
| საშა ილიჩი | 20.12.77 | პარტიზანი | 1 | - |
| **თავდამსხმელები** | | | | |
| ნიკოლა ჟიგიჩი | 25.09.80 | ვალენსია (ესპ) | 9 | 3 |
| მარკო პანტელიჩი | 15.09.78 | აიაქსი (ჰოლ) | 9 | 1 |
| მილან იოვანოვიჩი | 18.04.81 | სტანდარდი (ბელ) | 8 | 5 |
| დანკო ლაზოვიჩი | 17.05.83 | ზენიტი (რუს) | 4 | - |
| მირალემ სულეიმანი | 05.12.88 | აიაქსი (ჰოლ) | 2 | - |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული სპორტი

სამბო — ევროპის ჩემპიონატი

## მინსკში და ევროპაზე

გუშინ ღამით საქართველოს სამბისტთა ნაკრები მინსკში გაფრინდა, სადაც 12 მაისის ჩათვლით ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ შეკრებას გაივლის, 14-15 მაისს კი ევროპის ჩემპიონატზე იჭიდავებს. კონტინენტის პირველობაზე ჩვენი ქვეყნის ღირსებას **უშანგი კუზანაშვილი** (52), **ავთანდილ ცინცაძე** (57), ძიუდოდან სამბოში დაბრუნებული **ნესტორ ხერგიანი** (62), **ლევან ნახუცრიშვილი** (68), **ნიკოლოზ კუცია** (82), **დავით კარბელაშვილი** (90), **მირიან პავლიაშვილი** (100) და **ვახტანგ ზოიძე** (+100) დაიცავენ.

სამბისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ოლეგ იაძე** ისევ ძველ კადრებს დაეყრდნო, თუმცა ცვლილებებიც საგრძნობია. უბერებელ ნესტორ ხერგიანს ახალი არ ეთქმის, მან კარიერა სულაც სამბოთი დაიწყო, მერე კი მთელი ეს წლები ძიუდოში გამოდიოდა, ასე რომ, ეს დასაწყისთან დაბრუნებაა. საინტერესოა, რომ მსოფლიოს პირველობისთვის ის კვლავ გააგრძელებს ბრძოლას ძიუდოს ნაკრებში მოსახვედრად, რადგან, ახალი წესის თანახმად, მსოფლიოს პირველობაზე ერთ წონაში ორი მონაწილის გამოყვანაა ნებადართული. მაგრამ დავუბრუნდეთ სამბისტთა ნაკრებს, სადაც შედარებით ახლები არიან ნახუცრიშვილი, კარბელაშვილი და ზოიძე. ამათგან ნახუცრიშვილი ნაღდი სამბისტია, კარბელაშვილმა და ზოიძემ კი სამბოს ბოლო წლებში მიაშურეს. შესაბამისად, ნახუცრიშვილი სამბისტთა ნაკრებში უფრო შინაური კაცია. კარბელაშვილი იქნებ ვერც მოხვედრილიყო, ამ წონის ლიდერს, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონ **მინდია ბოდაველს** კვლავ ძიუდოში რომ არ გადაენაცვლა. მართალია, მან ეს ტიტულები სამბოში მოიპოვა, მაგრამ კარიერის მეტი წილი ძიუდოში გაატარა. იქ დაბრუნება სწორედ იმ ახალი წესის გამო გადაწყვიტა, რომლითაც ხერგიანიც იმედოვნებს ტოკიოში, ძიუდოისტთა მსოფლიოს პირველობაზე წასვლას - წონაში ორი კაცის გამოყვანის უფლება. კაცმა რომ თქვას, ის ძიუდოში 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში ერთ-ერთი რეალური კანდიდატია. რაც შეეხება მძიმე წონას, ძველი ლიდერი, ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ვერცხლის პრიზიორი **ზვიად ჩინჩალაძე** რაგბიში გადავიდა, აქაურობა კი ისევ ძიუდოისტებს - **ალექსი დავითაშვილს** და ზოიძეს დარჩათ. ამჯერად სპორტსმენებმა ერთმანეთში ჯენტლმენურ შეთანხმებას მიაღწიეს - ევროპას ზოიძე იჭიდავებს, მსოფლიოს - დავითაშვილი.

ბოლოს ისიც ვთქვათ, რომ მინსკური შეკრება საქველმოქმედო ფონდმა „ქართუმ“ დააფინანსა, მგზავრობისა და ჩემპიონატში მონაწილეობის ხარჯები კი საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა ითავა.

**ირაკლი თავაძე**

საბრძოლო სამბო — მსოფლიოს პირველობა

## იდუმალი ჩემპიონატი და მონაწილეები

რამდენიმე დღის წინ კიევმა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლა საბრძოლო სამბოში, რომელმაც ჩვენი ყურადღება ერთი ფაქტის გამო მიიქცია - მონაწილეთა შორის იყვნენ საქართველოს ნაკრებიც და... სამხრეთ ოსეთისაც. ტურნირის შესახებ დაწვრილებითი ცნობები ვერ მოვიძიეთ, მაგრამ მედალოსანთა შორის ვხედავთ ვინმე **მამუკა ოვაკიმიანს**, რომელმაც 62 კილოგრამ წონით კატეგორიაში ვერცხლი მოიპოვა და საქართველოს წარმოადგენდა, ეგრეთ წოდებულ სამხრეთ ოსეთს კი თითო ვერცხლი და ბრინჯაო მოუპოვებია.

რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ სპორტისა და პოლიტიკის დისტანცირებაზე, ვფიქრობთ, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ნაკრებების, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნების გუნდების გვერდით მონაწილეობა საქართველოს წარმომადგენლებს არ ეპატიებათ.

ამ ინფორმაციის წაკითხვისთანავე ვიფიქრე, რომ ეს არ იქნებოდა საქართველოს სამბოს ფედერაციის ან ქვეყნის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული ტურნირი - ჩვენში ხომ სამბოს ეს სახეობა არცაა განვითარებული. ჩემი ვარაუდი გამართლდა - ორივე უწყებაში იუარეს ამ ტურნირთან რაიმე ურთიერთობა და განაცხადეს, რომ ამის შესახებ არც იციან რამე. მეტიც - ვერც მამუკა ოვაკიმიანის შესახებ მოვიძიეთ რაიმე ცნობა, ჩვენი ეროვნული ნაკრების თავკაცი **ოლეგ იაძე** კი უფრო შორსაც წავიდა და ამ მსოფლიოს ჩემპიონატს ბლეფი უწოდა. ტურნირი საბრძოლო სამბოს მსოფლიო ფედერაციამ ჩაატარა, რომელსაც **ალექსანდრ მალი** ხელმძღვანელობს. იაძის თქმით, მალი სამბოს ამ ნაირსახეობის დანერგვას ცდილობს, ისევე, როგორც ძიუდოში 1976 წლის მონრეალის ოლიმპიადის ჩემპიონი **სერგეი ნოვიკოვი**, მაგრამ ასეთ მიმდინარეობებს სამბოს საერთაშორისო ფედერაცია არ ცნობს, რადგან საბრძოლო სამბოში მსოფლიოსა და ევროპის პირველობებს ჩვეულებრივთან ერთად ატარებს.

ასეა თუ ისე, მაინც საჭიროდ მიგვაჩნია, ქართულმა მხარემ გააპროტესტოს თუნდაც ასეთ არაფრის მომცემ ტურნირებში სეპარატისტული რეგიონების მონაწილეობა. აგრეთვე, საქართველოს იმ წარმომადგენელთა გამოსვლაც, რომლებიც მათ გვერდით ჭიდაობას არ თაკილობენ. ეს ხომ, ფაქტობრივად, ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარებაა!

ამ ამბავმა ის გამახსენა, ქართველი კარატისტები რამდენიმე წელიწადი კვიპროსის თურქულ, ანუ საერთაშორისო საზოგადოებისგან იზოლირებულ ნაწილში რომ ჩადიოდნენ და არაფერი იცოდნენ ამის აკრძალვის შესახებ, ვიდრე საქმეში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი არ ჩაერია.

**ირაკლი თავაძე**

თავისუფალი ჭიდაობა — ბურსას ტურნირი

## პატარების თურქული წარმატება

1996-97 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა გუნდმა წარმატებით იჭიდავა თურქულ ბურსაში დამთავრებულ დიდ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ჩატარდა და 11 გუნდი მონაწილეობდა. მათ შორის, ისეთი ძლიერი საჭიდაო სკოლების წარმომადგენლები, როგორნიც რუსეთი, ბულგარეთი და აზერბაიჯანია, მასპინძლები კი სულაც სამი გუნდით გამოდიოდნენ.

შეჯიბრება პირად-გუნდური იყო და თურქებმა გუნდურში მოსაგებად ყველაფერი გააკეთეს. მათი სიმრავლისა და მონდომების მიუხედავად, ჩვენმა ნაკრებმა გუნდურშიც იყოჩაღა - მეორეზე გავიდა და რუსეთი ჩამოიტოვა, პირველი კი თურქთა ერთ-ერთი ნაკრები იყო.

ჩვენი გუნდი **ელგუჯა ქობესაშვილის** ხელმძღვანელობით 12 სპორტსმენით გამოვიდა ბურსაში და ცხრა მედალი მოიპოვა. აქედან სამი ოქროა, ერთი ვერცხლი და ხუთი ბრინჯაო. ტურნირის ჩემპიონები აჭარის წარმომადგენლები - **ირაკლი მხეიძე** (35 კგ; მწვრთნელი - **აკაკი კუნჭულია**), **რამაზ ზოიძე** (38; **მარადი არძენაძე**) და თბილისელი **თორნიკე კახობერაშვილი** (85; **თენგიზ ლამბაშიძე**) გახდნენ. ასეთივე წარმატების მიღწევა ოლიმპიურ, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონ **რევაზ მინდორაშვილის** აღმზრდელ **დავით გონაშვილის** შეგირდს, დედოფლისწყაროელ **ფერნანდეს გონაშვილსაც** (47) შეეძლო, მაგრამ ფინალში დამარცხდა და ვერცხლს დასჯერდა. ბრინჯაოს მედლები აჭარელმა **მარადი გიორგაძემ** (31, მწვრთნელი - **მარადი გორგაძე**), ხაშურელმა **გაიოზ გონგლაძემ** (35, **გია კვინიკაძე**), საგარეჯოელმა **გიორგი პასეკაშვილმა** (42, **რამაზ ასაბაშვილი**), თბილისელმა **ტარიელ გაფრინდაშვილმა** (54, **ელგუჯა ქობესაშვილი**) და ასევე დედაქალაქელმა **ედუარდ ნიკოლეიშვილმა** (59, **ჯონი ლორია**) მოიპოვეს.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი

## კონერუ ქულებს არიგებს

ფიდეს რეიტინგით ინდოელი **ჰამფი კონერუ** 2622 პუნქტით ასეულში მეორე ადგილზეა, და ნალჩიკში გრან-პრის გათამაშებაზე, როგორც გაუწყეთ, ფავორიტად ითვლება, მაგრამ, ეტყობა, მას ქულების დარიგება გადაუწყვეტია. აბა, სხვა რას უნდა მივაწეროთ, რომ ასეთმა ძლიერმა დიდოსტატმა განვლილ ხუთ ტურში გუშინ მეორე დამარცხება იგემა — ამჯერად ყატარელ **ჟუ ჩენისგან**, რომელიც შავი ფიგურებით თამაშობდა. წარმოშობით ჩინელმა მოჭადრაკემ მეტოქეს საათი 25-ე სვლაზე გააჩერებინა.

ტურნირზე პირველად წააგო **ნანა ძაგნიძემ**, რომელსაც 79-ე სვლაზე ევროპის ორგზის ჩემპიონმა **ტატიანა კოსინცევამ** (რუსეთი) სძლია, **ბაირა კოვანოვამ** (რუსეთი) შავი ფიგურებით **ბეთულ ილდიზს** (თურქეთი) აჯობა, 16 წლის ჩინელმა **ჰოუ იფანმა** 39-ე სვლაზე თანამემამულე ჟაო სიუ დააშამათა, სამაგიეროდ, თანაქალაქელთა მეორე დაპირისპირება **ლილით მკრტიჩიანსა** და **ელინა დანიელიანს** (ორივე — ერევანი) შორის ზავით დამთავრდა. 119-ე სვლაზე დაზავდნენ შვედი ევროპის ჩემპიონი **პია კრამლინგი** და მონგოლი **ბათჰუიაგ მონგონთუული**.

ამდენად, 5 ტურის შემდეგ სატურნირო მდგომარეობა ასეთია: კოსინცევა — 4,5, ძაგნიძე, ჰოუ იფანი, კრამლინგი, ჟუ ჩენი, კოვანოვა — 3-3, მკრტიჩიანი — 2,5, ილდიზი, კონერუ, მონგონთუული — 2-2, ჟაო სიუ, დანიელიანი — 1-1 ქულა.

შეჯიბრების მონაწილეები დღეს დაისვენებენ. ხვალ მე-6 ტურში ითამაშებენ: **ჟუ ჩენი-ჟაო სიუ, დანიელიანი-ჰოუ იფანი, მონგონთუული-მკრტიჩიანი, ძაგნიძე-კრამლინგი, კოვანოვა-კოსინცევა, კონერუ-იოლდიზი.**

**ვაჟა დანელია**

მწვრთნელი



სოფიკო ხუხაშვილი და ვალიკო ურიდია

## ბრძნული თამაშის მესაიდუმლე

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **ვალიკო ურიდია** ოთხი ათეული წელიწადია, ჭადრაკს ემსახურება — ბრძენთა თამაშის საიდუმლოებას ასწავლის მოზარდებს, რჩევა-დარიგებებს აძლევს უფროსებს. დიდი წვლილი მიუძღვის დიდოსტატების — **თორნიკე სანიკიძის, სოფიო გვეტაძის, ლევან ფანცულაიას, სოფიკო გურამიშვილის** პროფესიონალ მოჭადრაკეებად ჩამოყალიბებაში. არაერთხელ დახმარებია **ინგა ჭარხალაშვილს, სოფიკო ხუხაშვილს, ინგა ხურცილავას.** მან გაუკაფა გზა დიდი სარბიელისკენ **დავით ბარამიძეს**, რომელიც ათწლიანებში ორჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი, მაგრამ შემდეგ მისი ოჯახი გერმანიაში გადასახლდა და დღეს დავითი ალემანთა ეროვნული ნაკრების წევრია. თბილისელი მწვრთნელი სამი წლის განმავლობაში ჩადიოდა გერმანიაში და სამ-სამი თვით ამეცადინებდა ნიჭიერ ჭაბუკს, რომელმაც თანატოლებს შორის ორჯერ ევროპის და ერთხელ მსოფლიოს პირველობებზე ვერცხლის მედლები დაიმსახურა.

ამაგდარ პედაგოგს სამი წლის წინათ გააცნეს 9 წლის ავსტრიელი **ვახტანგ ნაგლერი.**

„ერთხანს თბილისის ბავშვთა საჭადრაკო სკოლაში ვიმუშავე, რომელსაც ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი ხელმძღვანელობდა. 1982-დან 2008 წლამდე მოსწავლე ახალგაზრდობის ვახტანგ ქარსელაძის საჭადრაკო სკოლაში ვამეცადინებდი მოზარდებს. მეამაყება, რომ ჩემმა ბევრმა შეგირდმა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. ამჟამად სოფიკო გურამიშვილს ვავარჯიშებ, ვეხმარები სალომე მელიას, რომელიც წლევანდელი მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადისთვის ემზადება. ახლა ქართველ ბავშვებთან ერთად ავსტრიელი მოსწავლეც მყავს - ვახტანგ ნაგლერი. მის მშობლებს ახლო ურთიერთობა აქვთ ბატონ გოგი თოფაძესთან. შარშანწინ თბილისს რომ ეწვივნენ, მაშინ მომიყვანეს ყმაწვილი მოსწავლეთა სასახლეში. დედამისი - ქალბატონი ნატალი თბილისელია, ყოფილი ტანმოვარჯიშე, ინსბრუკში სპორტის ამ სახეობაში ამეცადინებს მოზარდებს. ვახტანგი მშობლებთან ცხოვრობს, ინტერნეტით ვეხმიანებით ერთმანეთს. იგი წლეულს თანატოლთა შორის მსოფლიოს და ევროპის პირველობებში იასპარეზებს და მოსამზადებლად თბილისში აპირებს ჩამოსვლას. შარშან ზაფხულსაც ჩემთან იყო სტუმრად და მანგლისში ვავარჯიშებდი. ნიჭიერი ბიჭია და მჯერა, ბარამიძის მსგავსად, კარგი დიდოსტატი დადგება“, — მითხრა ვალიკო ურიდიამ.

**ვაჟა დანელია**

## რჩეულთა რეიტინგი

ყოველ ორ თვეში ფიდე საუკეთესო მოჭადრაკეთა რეიტინგებს აქვეყნებს.

საპირველმაისო რეიტინგებში ჩვენთვის განსაკუთრებით ის არის საინტერესო, რომ **ბაადურ ჯობავამ** ევროპის ინდივიდუალურ ჩემპიონატში მეორე ადგილის დაკავებით საგრძნობლად მოიმატა ქულები და დღეს 2715 პუნქტით პირველ ასეულში 26-ე ადგილი უკავია. 2813 პუნქტით ნორვეგიელი ვუნდერკინდი, 20 წლის **მაგნუს კარლსენი** ლიდერობს. მას მხოლოდ ქულით ჩამორჩება ბულგარელი **ვესელინ ტოპალოვი**, რომელიც ამჟამად სოფიაში მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ინდოელ **ვიშვანათან ანანდს** ეთამაშება. საუკეთესო ათეულში ასევე შედიან: **ვლადიმირ კრამნიკი** (რუსეთი, 2790), ვიშვანათან ანანდი (2789), **ლევონ არონიანი** (სომხეთი, 2783), **შაჰრიარ მამედიაროვი** (აზერბაიჯანი, 2763), **ალექსანდრ გრიშჩუკი** (რუსეთი, 2760), **ვენ იუე** (ჩინეთი, 2752), **პაველ ელიანოვი** (უკრაინა, 2751), **ალექსეი შიროვი** (ესპანეთი, 2742).

ქალთა პირველ ასეულს უწინდებურად უნგრელი **იუდით პოლგარი** (2682) უდგას სათავეში. მას 60 პუნქტით ჩამორჩება ინდოელი **ჰამფი კონერუ** (2622), მომდევნო ადგილებზე მოდიან: **ჰოუ იფანი** (ჩინეთი, 2589), **ანტუანეტა სტეფანოვა** (ბულგარეთი, 2560), **ნადეჟდა კოსინცევა** (რუსეთი, 2553), **პია კრამლინგი** (შვედეთი, 2536), **ტატიანა კოსინცევა** (რუსეთი, 2534), **ანა მუზიჩუკი** (სლოვენია, 2529), **კატერინა ლაჰნო** (უკრაინა, 2527), **მარი სებაგი** (საფრანგეთი, 2524). რუსი მსოფლიოს ჩემპიონი **ალექსანდრა კოსტენიუკი** 2519 პუნქტით მხოლოდ მე-11 ადგილზეა.

ქართველთაგან საუკეთესოა **მაია ჩიბურდანიძე** (2514). იგი ლიტველ **ვიქტორია ჩმილიტესთან** მეთორმეტე-მეცამეტე ადგილებს იყოფს. ჩვენებურთაგან პირველ ასეულში ასევე დაიჯავშნეს ადგილები: 24. **ლელა ჯავახიშვილმა** (2482), 25. **ნანა ძაგნიძემ** (2478), 33. **სალომე მელიამ** (2466), 47. **ნინო ხურციძემ** (2448), 54. **სოფიკო ხუხაშვილმა** (2421), 62. **ბელა ხოტენაშვილმა** (2410), 65. **ანა მათნაძემ** (2409), 68. **თამარ წერეთელმა** (2402), 91. **მაია ლომინეიშვილმა** (2370) და 97. **სოფიო გვეტაძემ** (2363).

20-წლამდელ ვაჟთა ოცეულშიც მაგნუს კარლსენი ლიდერობს. აქ ჩვენგან სამწუხაროდ, ვერავინ მოხვდა. გოგონათა მსგავს რეიტინგში მარტისთვის ორი წარმომადგენელი გვყავდა — **ქეთი წაწალაშვილი** და **ნაზი პაიკიძე.** მაისისთვის საუკეთესოებს მხოლოდ პაიკიძე შემორჩა. მას 2317 პუნქტით ისევ მე-17 ადგილი უკავია. რეიტინგის სათავეშია 16 წლის ჩინელი ჰოუ იფანი, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ქალთა ასეულის მესამე საფეხურზეა.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

## პლეი ოფში, საბერძნეთის წინააღმდეგ

ფედერაციის თასზე მოასპარეზე საქართველოს ნაკრებმა პირველი დღის მარცხის შემდეგ გამოასწორა ვითარება, ერთ დღეში ორი შეხვედრა მოიგო და პლეი ოფის საგზური მოიპოვა. შეგახსენებთ, რომ **ლალი ზერეკიძის** გუნდი სომხეთის დედაქალაქშია, სადაც ევროპა-აფრიკის მეორე ზონაში ასპარეზობს. 8 გუნდი ორ ჯგუფად არის გაყოფილი და ორი საგზურისთვის იბრძვის. B ჯგუფში მოასპარეზე საქართველოს ნაკრებმა წვიმების გამო ერთი დღის დაგვიანებით დაწყებულ ტურნირში უსიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზა - საკმაოდ სუსტ ფინეთთან წააგო.

გუშინ ჩვენების პირველი მეტოქე ნორვეგიის ნაკრები იყო, ასევე საკმაოდ სუსტი გუნდი, რომელმაც პირველ დღეს მასპინძელთა 2:1 დამარცხება მოახერხა. აქ წაგება საგზურის დაკარგვის ტოლფასი იყო. პირველ შეხვედრაში **ოქსანა კალაშნიკოვამ** (161) ცოტა გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოუგო ურეიტინგო **ემა ფლუდს. ანა ტატიშვილმა** (155) კი **ულირიკე ეიკერის** (954) სძლია - 6:2, 6:3. თამაში უკვე მოგებული იყო, მაგრამ წყვილებშიც მოვიგეთ - 6:2, 6:1. ჩვენებურთაგან კალაშნიკოვამ და **სოფიო შაფათავამ** (337) ითამაშეს - 3:0.

სომხეთთან მატჩში გადაღლილი და არადამაჯერებლად მოთამაშე კალაშნიკოვას ნაცვლად ზერეკიძემ შაფათავა დააყენა, რომელმაც სამ სეტში მოუგო **მარი-გაიანე მიქაელიანს** - 6:1, 6:7, 6:4. მიქაელიანი შვეიცარიელია და ამ ქვეყნის სახელით თამაშისას მსოფლიოს საუკეთესო 50-ეულის წევრიც იყო. ტატიშვილს პრობლემა არ ჰქონია **ლიუდმილა ნიქოიანთან** - 6:0, 6:1. წყვილების მატჩს აზრი აღარ ჰქონდა და არც გაიმართა - 2:0.

საქართველოს ნაკრებმა ორი მოგებით ჯგუფში მე-2 ადგილი დაიკავა და დღეს საგზურისთვის ბრძოლაში ა ჯგუფის პირველადგილოსან საბერძნეთს ხვდება. დღესაც ერთეულებში შაფათავა და ტატიშვილი ითამაშებენ. მეორე საგზურისთვის ფინეთისა და ლუქსემბურგის ნაკრებები თამაშობენ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

# ორი თბილისში, თითო ქუთაისსა და ბათუმში



აკადემია-ვისოლი/ყოჩები

დღეს თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში საქართველოს ჩემპიონატის მეოთხე ტურის შეხვედრები გაიმართება. წინა, მესამე ტურის მატჩები ავდრის გამო გადაიდო, არადა, საკმაოდ საინტერესო ბრძოლა იყო მოსალოდნელი ქვეყნის ჩემპიონ „ლელოსა" და მრავალგზის ჩემპიონ „ლოკომოტივს" შორის.

არანაკლებ საინტერესო უნდა გამოდგეს მეოთხე ტური. ცენტრალურ მატჩად შეიძლება მივიჩნიოთ პრინციპული მეტოქეების, „ლელოსა" და „ვისოლი/ყოჩების" დაპირისპირება, რომელიც ვარკეთილის მეურნეობის სარაგბო მოედანზე გაიმართება. ქვეყნის ჩემპიონმა და თასის მფლობელმა „ლელომ" სეზონი, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩემპიონურად დაიწყო. სტარტზე ორივე შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო.

ალსანიშნავია, რომ ლელოელებმა ორ მატჩში ათი ლელო გაიტანეს და ათივე უკანახაზელთა ანგარიშზეა. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ შერკინება უქმადაა, პირიქით, მორკინალები იმდენად დიდ უპირატესობას ქმნიან აქტიური, საკმაოდ მობილური თამაშით, რომ „ლელოს" უკანა ხაზს, რომელიც ისედაც საუკეთესოა საქართველოში, თამაში ბევრად უადვილდება.

პირველ ტურში შინ ქუთაისის „აიასთან" განცდილი მარცხის შემდეგ, თბილისის „ვისოლი/ყოჩებმა", როგორც ჩანს, სწორი დასკვნები გააკეთეს და მეორე ტურში „აკადემიასთან" პრაგმატულად, ბევრად უფრო დისციპლინიანად ითამაშეს - შედეგსაც სასურველს მიაღწიეს. თუმცა, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ „ვისოლი/ყოჩები" ჯერ კიდევ შორსაა ოპტიმალური ფორმისგან.

მათ „ლელოსთან" მატჩში უფრო მეტი ყურადღებით გარჯა მართებთ. გამარჯვების ერთადერთი შანსი მეტოქის შეცდომების მაქსიმალურად გამოყენებაა. სხვა შემთხვევაში, ვფიქრობთ, „ვისოლი/ყოჩები" მარცხისთვის იქნება განწირული.

თუ „ვისოლი/ყოჩების" ბრძოლისუნარიანობას გავითვალისწინებთ, „ლელოს" პროგნოზით, გამარჯვება მინიმუმ შვიდი ქულით ჩემპიონს დარჩება.

საინტერესო დაპირისპირება შედგება ბათუმში, სადაც ვერცხლის მედალოსანი „ბათუმი XV" ბრინჯაოს პრიზიორ თბილისის „ლოკომოტივს" ეთამაშება. რკინიგზელებმა პირველ ტურში „აკადემიასთან" მძიმე გამარჯვების შემდეგ სტუმრად რუსთავში სძლიეს „ხარებს", რითაც ჩემპიონობის მაძიებლობაზე დასაწყისიდანვე გააკეთა განაცხადი.

„ლოკომოტივის" თამაშში ახალი არაფერია. გუნდი ისევ მძიმე, მობილური შერკინების მოულალავი მუშაობით გადის ფონს. თამაშის ანალოგიური სტილის მიმდევარია რკინიგზელთა მეტოქე „ბათუმი XV", რომელსაც, როგორც მეორე ტურში „ლელოსთან" მატჩმა გვიჩვენა, პრობლემები მოსძალებია, რაც ყველაზე მეტად გუნდის ფიზიკურ მზადყოფნას დაეტყო.

ბათუმელებმა ჩემპიონებს მეტ-ნაკლები წინააღმდეგობა პირველი ტაიმის 25 წუთის განმავლობაში გაუწიეს. მერე ნელ-ნელა დაილალნენ და ბოლო ოთხ წუთში სულაც სამი ლელო მიიღეს. ძნელი სათქმელია, შეძლებენ თუ არა მასპინძლები მეტოქის ლონით დაჩაგვრას. ერთი რამ ცხადია, თამაში ძალიან მძიმე იქნება. „ლელოს" პროგნოზით, მინიმუმ ხუთი ქულით „ლოკომოტივი" გაიმარჯვებს.

ჯერჯერობით დაუმარცხებელი „აია" ქუთაისში აუტსაიდერ რუსთავის „ხარებს" უმასპინძლებს. ქუთათურებმა ორიდან ორივე შეხვედრა მოიგეს და ძნელი სავარაუდოა, ქუთაისიდან სტუმრები გახარებული გამოუშვან, რითაც პლეი ოფში მოხვედრის ერთ-ერთი უმთავრესი კანდიდატები გახდებიან.

სამაგიეროდ, მარცხის შემთხვევაში უკიდურესად გაურთულდება მდგომარეობა რუსთავის „ხარებს". ეს გუნდი შარშან უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძოდა და, როგორც ჩანს, სტატუსი არც წლეულს შეეცვლება.

„ლელოს" პროგნოზით, ქუთაისის „აიამ" მინიმუმ ათი ქულით უნდა მოიგოს.

ვარკეთილშივე გაიმართება კიდევ ერთი შეხვედრა ორ თბილისურ გუნდს - „აკადემიასა" და „არმაზს" შორის. ორივეს მოგებათა გრაფაში ჯერჯერობით ნული უწერიათ. ორივე საკმაოდ ბრძოლისუნარიანი, შემართებით მოთამაშე გუნდია და გამორიცხულია ერთმანეთს რამე დაუთმონ. აკადემიელთა მხარეზე მეტი გამოცდილებაა, თუმცა რამდენიმე საკმაოდ ძლიერი მოთამაშე „არმაზის" რიგებშიც ირჯება.

ეს ერთადერთი მატჩია, რომლის შედეგის პროგნოზისგან „ლელო" თავს იკავებს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლელო | 2 | 2 | 0 | 0 | +61 | 4 |
| 2. ლოკომოტივი | 2 | 2 | 0 | 0 | +28 | 4 |
| 3. აია | 2 | 2 | 0 | 0 | +16 | 4 |
| 4. ყოჩები | 2 | 1 | 0 | 1 | +7 | 2 |
| 5. ბათუმი XV | 2 | 1 | 0 | 1 | -30 | 2 |
| 6. აკადემია | 2 | 0 | 0 | 2 | -16 | 0 |
| 7. არმაზი | 2 | 0 | 0 | 2 | -31 | 0 |
| 8. ხარები | 2 | 0 | 0 | 2 | -35 | 0 |

ზე 14



ლაიონზი-ბლუზი

# პლეი ოფი განაღდებული არავის აქვს

ზე 14-ის რეგულარული გათამაშების დასრულებამდე სამი ტური დარჩა. პლეი ოფში გასვლისთვის ბრძოლა უკიდურესად გამწვავდა. გათამაშებას 39 ქულით ჩემპიონი, პრეტორიის „ბლუ ბულზი" ლიდერობს. 34-34 ქულა აქვს ერთბაშად სამ გუნდს - კეიპთაუნის „სტორმერზს", ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზს" და ბრისბენის „რედსს", რომლებიც მეორე-მეოთხე ადგილებს იყოფენ.

მათ ერთი ქულით ჩამორჩებოდა სიდნეის „ვორათაზი", რომელმაც გუშინ უკვე გამართა მე-12 ტურის შეხვედრა სტუმრად დანიდინის „ჰაილენდერზთან" და 10:26 წააგო. სიდნეელებმა პირველი ტაიმი მხოლოდ ორი ქულით -10:12 დათმეს და მეორეში იმდენად უხეიროდ გაისარჯნენ, მონაგარს ველარაფერი შემატეს. დანიდინელთაგან თავი გამოიჩინა მესამეხაზელმა **ადამ თომსონმა**, რომელმაც სტუმრებს ორი ლელო გაუტანა.

წაგების მიუხედავად, „ვორათაზი" სატურნირო ცხრილში მე-5 ადგილს მაინც შეინარჩუნებს, რადგან უახლოეს მდევარ კანბერის „ბრამბიზს" ექვსი ქულით უსწრებს.

ტურის ცენტრალური მატჩი კი გაიმართება კეიპთაუნში, სადაც „სტორმერზი" ახალზელანდიურ „კრუსეიდერზს" უმასპინძლებს. ორივე გუნდმა წინა, მეთერთმეტე ტურში მარცხი განიცადა. **რიჩი მაკქოუს** და კომპანიას ურთულესი ამოცანა აქვთ გადასაჭრელი. თავად განსაჯეთ: თუ კრუსეიდერზელებმა „სტორმერზის" დამარცხება ვერ შეძლეს, მომდევნო, ბოლოსწინა ტურშიც ასევე სტუმრად ეთამაშებიან გათამაშების ლიდერ „ბლუ ბულზს". „კრუსეიდერზს" ორივე მატჩში წაგება პლეი ოფის მილმა დარჩენის ფასად შეიძლება დაუჯდეს.

„სტორმერზმა" წლეულს ზე 14-ში მოასპარეზე ხუთი ახალზელანდიური გუნდიდან ოთხი უკვე დაამარცხა და კარგი შანსი აქვს, ერთგვარი დიდი სლემი შეასრულოს. თანაც, კეიპთაუნელებს გამარჯვება ჰაერივით სჭირდებათ, რადგან მომდევნო ტურში სტუმრად ხვდებიან დურბანის „ნატალ შარქსს", რომელიც პლეი ოფში გასვლის თეორიულ შანსს ისევ ინარჩუნებს.

თუმცა მანამდე „ზვიგენებს" სერიოზული გამოცდა ელით პრეტორიაში. „ბლუ ბულზი" რეგულარული გათამაშების მიწურულს კიდევ უფრო მძლავრად ამუშავდა. გუნდს ორი წამყვანი მორაგბე **ბაკის ბოთა** და **ფური დუ პრი** დაუბრუნდა. მშვენიერ ფორმაში არიან გუნდის სხვა მოთამაშეებიც. ერთი სიტყვით, ჩემპიონი ტიტულის შენარჩუნებისთვის ყველაფერს აკეთებს და იოლად არავის არაფერს დაუთმობს.

ამას კი ვერაფრით ვიტყვით „ნატალ შარქსზე", რომელმაც შეჯიბრება ზედიზედ ხუთი მარცხით დაიწყო, რასაც საკმაოდ მძიმე ბრძოლებში მიღწეული ხუთი გამარჯვება მიაყოლა. ერთი სიტყვით, თამაში საინტერესო უნდა გამოდგეს, თუნდაც იმიტომ, რომ ბოლო წლებში ამ გუნდების დაპირისპირება, ფაქტობრივად, სამხრეთაფრიკული დერბია.

უძნელესი ბრძოლის გადატანა მოუწევს სტუმრად მეექვსეადგილოსან კანბერის „ბრამბიზთან" მოწინავე ოთხეულის კიდევ ერთ წარმომადგენელს, ბრისბენის „რედსს". ავსტრალიურ დერბიში გამარჯვებულის პროგნოზირება ურთულესი საქმეა. მასპინძლები „წითლებს" შვიდი ქულით ჩამორჩებიან და ყველაფერს ილონებენ, ეს ჩამორჩენა, სულ ცოტა, სამ ქულამდე შეამცირონ.

„რედსს" ორი უძნელესი უქმეები ელოდება. „ბრამბიზთან" შეხვედრის შემდეგ ბრისბენელები სტუმრად ითამაშებენ ველინგთონის „ჰარიკენზთან", რომელსაც, „ბრამბიზის" მსგავსად, 27 ქულა აქვს და პლეი ოფში თამაში სურს.

მანამდე კი ველინგთონელებს მოულოდნელად დაუძლურებული შარშანდელი ფინალისტის, ჰემილტონის „ჩიფსის" წინააღმდეგობის დაძლევა მოუწევთ. ვიცე-ჩემპიონები წლეულს უჩვეულოდ ცუდად ასპარეზობენ. მათ ათი შეხვედრიდან ოთხი მოიგეს, ხუთი წააგეს და ერთიც ფრედ დაასრულეს.

ჰემილტონელები, ცხადია, პლეი ოფში მოხვედრაზე არც ოცნებობენ, მაგრამ შეუძლიათ, ნებისმიერ გუნდს გაუმწარონ სიცოცხლე. შესაბამისად, მათთან იოლი გასეირნების იმედი არავის უნდა ჰქონდეს.

**სატურნირო მდგომარეობა: 1. ბლუ ბულზი - 39 ქულა, 2. სტორმერზი - 34, 3. კრუსეიდერზი - 34, 4. რედსი - 34, 5. ვორათაზი - 33, 6. ბრამბიზი - 27, 7. ჰარიკენზი - 27, 8. ბლუზი - 25, 9. ნატალ შარქსი - 25, 10. ჩიფსი - 24, 11. ჰაილენდერზი - 17, 12. ფორსი - 14, 13. ჩიტაზი - 11, 14. ლაიონზი - 5**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგბავაძე**

IRB-ს ერთა თასი

# ერთა თასზე შოტლანდია A, იტალია A და ნამიბია

საქართველოს ნაკრები ივნისში რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში IRB-ს ერთა თასის გათამაშებაში ჩაებმება. გაირკვა ის გუნდები, რომლებთანაც „ბორჯღალოსნებს" მოუწევთ თამაში. 11 ივნისს ჩვენი ნეკრების მეტოქე შოტლანდიის A ნაკრები იქნება, 15 ივნისს კი იტალიის A ნაკრებს დავუპირისპირდებით. ბოლო შეხვედრას საქართველოს ნაკრები 20 ივნისს ნამიბიის ეროვნულ გუნდთან გამართავს. ამ მატჩის შედეგს ჩვენი ნაკრებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ოფიციალური ტესტია და მსოფლიო რეიტინგზე გავლენას იქონიებს.

ამ გუნდების გარდა ბუქარესტში მასპინძელთა ეროვნული და არგენტინის A ნაკრებებიც იასპარეზებენ. გამარჯვებულად ის გუნდი გამოცხადდება, ვინც ყველაზე მეტ ქულას მოაგროვებს. ქულები კი სამხრეთული სისტემით დაირიცხება. მოგებაზე გუნდს 4 ქულა მიენიჭება, ფრეზე - ორი, წაგებაზე - ნული. მატჩში ოთხი და მეტი ლელოს გატანისთვის გუნდები ერთ პრემიალურ ქულას მიიღებენ. პრემიალური ქულა ერგება იმ გუნდსაც, ვინც შვიდი და ნაკლები ქულით წააგებს.

„მოხარული ვართ, რომ წლეულს IRB-ს ერთა თასის გათამაშებას საქართველოსა და ნამიბიის ნაკრებები დაუბრუნდნენ. ნამიბიას ამ ტურნირზე 2007 წლის მერე აღარ უთამაშია. საქართველოს ნაკრებმა კი შარშან „ჩერჩილის თასზე" იასპარეზა. ამ ტურნირს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მასში მოასპარეზე გუნდებისთვის, რადგან ის 2011 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებისთვის მზადების შესანიშნავი საშუალებაა," - თქვა IRB-ს შეფმა **ბერნარ ლაპასემ**

რაგბის განვითარების კომიტეტის ხელმძღვანელმა **მარკ იგანმა** ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ IRB განაგრძობს ისეთი სარაგბო ქვეყნების ფინანსურ მხარდაჭერას, როგორებიც არიან: საქართველო, ნამიბია და რუმინეთი, რათა მათ ქვეყნების ეროვნულ ნაკრებებს და საუკეთესო მოთამაშეებს რაც შეიძლება მეტი საშუალება ჰქონდეთ, ითამაშონ მაღალი დონის საერთაშორისო მატჩებში, განვითარდნენ და კლასი აიმაღლონ.

**IRB-ს ერთა თასი**

**11 ივნისი**

**ნამიბია-რუმინეთი, საქართველო-შოტლანდია A, არგენტინა A-იტალია A**

**15 ივნისი**

**საქართველო-იტალია A, შოტლანდია A-ნამიბია, არგენტინა A-რუმინეთი**

**20 ივნისი**

**საქართველო-ნამიბია, რუმინეთი-იტალია A, არგენტინა A-შოტლანდია A**

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული სპორტი

კალათბურთი — ლეგიონერები



პოლონეთის ჩემპიონატის მეოთხედფინალში მეორე მატჩები გაიმართა. **გიორგი ცინცაძის** „სოპოტმა“ მეორედაც დაამარცხა „ტუროვი“ და სერიაში 2:0 დაწინაურდა. სოპოტელებმა ამჯერადაც საკუთარი გულშემატკივრის წინაშე მიაღწიეს წარმატებას - 89:82. თანაბრად ჩატარებული 35 წუთის შემდეგ

## ცინცაძის ერთი, სოპოტის ორი

ცინცაძის თანაგუნდელებმა გადამწყვეტ მომენტში იყოჩაღეს და საბოლოოდ 7 ქულის სხვაობით მოიგეს.

„სოპოტის“ ბომბარდირი **კაძიულისი** გახდა, რომელმაც 20 ქულა ჩააგდო. მატჩის სნაიპერობა კი ტუროველმა **რაითმა** იკისრა - 29 ქულა.

გიორგი ცინცაძე მწვრთნელმა 8 წუთი ათამაშა. დროის ამ მცირე მონაკვეთში ქართველმა გამთამაშებელმა თითო ქულა-ჩაჭრა და 3 შედეგიანი გადაცემა მიითვალა.

„ტუროვისა“ და „სოპოტის“ დაპირისპირება დღეს გაგრძელდება - მესამე შეხვედრა 1-ელ მაისს ტუროვში გაიმართება. პოლონური მეოთხედფინალური სერია სამ მოგებამდეა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

## აქაც 8 წუთი...

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში „ატლანტა“-“მილუოკის“ მატჩის მიმოხილვისას გამცნეთ, რომ **ზაზა ფაჩულიამ** მხოლოდ 8 წუთი ითამაშა. დღეს **გიორგი ცინცაძეზეც** იმავეს გამეორებამ მოგვიწია - 8 წუთი. გამონაკლისი არც **გიორგი შერმადინი** აღმოჩნდა - მან „კოლოსთან“ შეხვედრაში მოედანზე 8 წუთი გაატარა. ბევრის გაკეთება ვერც მან მოასწრო - ერთხელ დაჯარიმდა და ერთხელაც მეტოქეს აიძულა წესების დარღვევა.

გიორგის „პანათინაიკოსმა“ კი, მისთვის ჩვეული სიმშვიდით დასცა როდოსის „კოლოსი“ - 80:60. ასევე ჩვეულებრივი ამბავია ყოველ მატჩში ჩერნოგორიელი **ნიკოლა პეკოვიჩის** ბომბარდირობა. მან 19 წუთში 17 ქულა ჩააგდო.

როდოსელთა ძლევით „პანათინაიკოსმა“ რეგულარული ჩემპიონატი პირველ ადგილზე დაასრულა. შერმადინის თანაგუნდელებმა 26 ტურში 26 მატჩი მოიგეს და ორი ქულით გაასწრეს მეორეადგილოსან „ოლიმპიაკოსს“. ასე რომ, თუ ეს გუნდები ერთმანეთს ფინალში გადაეყრებიან, მოედნის უპირატესობა „პანათინაიკოსის“ მხარეს იქნება.

„მწვანეები“ მეოთხედფინალში დღეს ჩაერთვებიან. მათი მეტოქე **ნიკა ცქიტიშვილის** ყოფილი კლუბი „პანიონიოსი“ (15 გამარჯვება, 11 მარცხი) იქნება, რომელსაც რეგულარულში „ოლიმპიაკოსი“ ჰყავს დამარცხებული.

**ვაჟა სიმონიშვილი**

## ტატო ვაშაკიძე ბრინჯაოსთვის იბრძოლებს



**ტატო ვაშაკიძის** „იუვენტუსმა“ ლიტვის ჩემპიონატის ნახევარფინალური სერია მოისტუმრა. „იუვე“ ჩემპიონობის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტ „ლიეტუვოს რიტასს“ ეთამაშებოდა და 0:2 დამარცხდა. ნახევარფინალური სერია სწორედ 2 მოგებამდე იყო. ასე და ამგვარად, ფინალში ერთმანეთს „რიტასი“ და „ჟალგირისი“ შეხვდებიან, ხოლო „იუვენტუსი“ მესამე ადგილისთვის „შიაულიაის“ დაუპირისპირდება.

„რიტასთან“ ტატოს გუნდმა პირველი ნახევარფინალი 61:108 დათმო. ვაშაკიძემ 7 წუთი ითამაშა და 1 მოხსნას გამორჩა. მისი ერთადერთი სამქულიანი მიზანს ასცდა.

განმეორებით შეხვედრაში „იუვენტუსმა“ შედარებით ღირსეულად წააგო - 63:84. მასპინძლები „რიტასის“ კალათბურთელებს ბოლო პერიოდამდე უძალიანდებოდნენ, მაგრამ მეოთხე რაუნდში სტუმრებმა ყველაფერი თავის ადგილზე დააყენეს.

ტატომ ამ მატჩშიც 7 წუთი ითამაშა, თითო მოხსნა-პასი და 2 ჩაჭრა მოაგროვა.

მესამე ადგილისთვის მატჩი „შიაულიაისა“ და „იუვენტუსს“ შორის 5 მაისს გაიმართება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

## უგრეხელიძემ დუბლით დახურა

**დავით უგრეხელიძემ** სეზონი მოგებით დაასრულა. მისი „კუპერი“ სლოვენიის უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის საპლეიოფო მატჩებს „როგაცკასთან“ მართავდა. სერია ორ მოგებამდე იყო და კუპერელებს მეტოქის დასამარცხებლად ორი მატჩიც ეყოთ - 2:0.

დათომ და მისმა მეგობრებმა სტუმრად ჩატარებულ მეორე მატჩშიც სწორედ იმდენი ჩააგდეს, რამდენიც პირველში - 82. მეტოქეს კი 71 ქულა დაანებეს.

ქართველი ცენტრი სასტარტო ხუთეულში იყო და ყველაზე ნაყოფიერადაც იშრომა - ორმაგი დუბლი გაიფორმა: 14 ქულა, 11 მოხსნა, 3 პასი, 2 დაფარება. სტატისტიკას აქვე შევავსებთ: დათომ 29 წუთი ითამაშა, 6-დან 5 ორქულიანი და 6-დან 4 საჯარიმო გამოიყენა.

მიუხედავად იმისა, რომ უგრეხელიძეს ძირითადად ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის უწევდა ბრძოლა, განვლილი სეზონი მის კარიერაში მაინც ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი იყო. იგი საშუალოდ 24.32 წუთს თამაშობდა, 10.6 ქულას, 6.1 მოხსნას, 1.4 პასს, 0.5 ჩაჭრასა და 0.4 დაფარებას აგროვებდა.

ამ სეზონში მისი რეკორდი 24 ქულაა - ყოფილ გუნდ კრკა-ს 17 მარტს ჩაუგდო.

„როგაცკასთან“ მატჩის შემდეგ **ბოსტიან ნახბარისგან** („კუპერის“ საპატიო პრეზიდენტია) მადლობის სიტყვები დათოსაც ერგო:

- ყველა კალათბურთელმა კარგად ითამაშა. მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. სეზონი დასრულდა და მომავალ გეგმებზე საფიქრალად საკმაო დროა. ვეცდებით, გაისისთვის გუნდი კიდევ უფრო გავაძლიეროთ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ფრენბურთი — ამხანაგური მატჩი



## აზერბაიჯანთან წავაგეთ, რა გველის ბოსნიასთან?!

**საქართველო-აზერბაიჯანი 1:3**

20:25, 13:25, 25:23, 21:25

საქართველოს ვაჟ ფრენბურთელთა ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის ქუთაისში ემზადება. **ირაკლი ჩაჩუას** გუნდმა 30 აპრილს ქუთაისის სპორტის სასახლეში აზერბაიჯანის ნაკრებთან ამხანაგური შეხვედრა გამართა და 1:3 დამარცხდა. ქართველებმა მოსამზადებელი ეტაპი ახლახან დაიწყეს და სათანადო ფორმაში რომ არ არიან, აზერებთან შეხვედრაშიც გამოჩნდა. ბოსნიის ნაკრებთან ოფიციალურ მატჩამდე საკმაო დროა და იმედია, ჩვენი გუნდი მანამდე უკეთ ათამაშდება. ქართველები აზერბაიჯანელებს 1 მაისს კიდევ ერთხელ გაეჯიბრებიან. 9 მაისს კი ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო შეხვედრაში ბოსნია-ჰერცოგოვინას ნაკრებს უმასპინძლებენ. მიზეზთა გამო, ეროვნულმა გუნდმა ძირითადი ექვსეულის ხუთი წევრი მოისაკლისა. ირაკლი ჩაჩუა ამის გამო შეფიქრიანებულია: *„საუკეთესო შემადგენლობას ვერ მოვუყარეთ თავი. ძირითადის ოთხი მოთამაშე დაგვაკლდა. ამირან ჯიოშვილმა სახეზე ოპერაცია გაიკეთა და თამაშს ვერ ახერხებს. ელიტეზს მენისკი აწუხებს. ვერ მოხერხდა რენატო გომეშისა და ჟორჟ ტერშეიროს ჩამოყვანა. რთულ მდგომარეობაში ჩავარდით, თუმცა იმედებს არ ვკარგავთ. ბოსნია-ჰერცოგოვინას ძლიერი ნაკრები ჰყავს, მაგრამ ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ. აზერბაიჯანთან მეორე ამხანაგურ შეხვედრასაც გავმართავთ და გუნდი უფრო შეთამაშდება.“*

*„ფინანსური მხარდაჭერა რომ გვქონოდა, ტრავმებს მოევლებოდა და ნაკრების სრული შემადგენლობით შეკრებას მოვახერხებდით. ბრაზილიელები სწორედ უსახსრობის გამო ვერ ჩამოვიყვანეთ“.* - აღნიშნა საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ლევან ახვლედიანმა.**

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ რაუნდში საქართველოს ნაკრების ღირსებას დაიცავენ: **სოსო ლობჟანიძე** („ფინდიკისპორი“ თურქეთი), **თენგიზ ჯანხოთელი, სულხან ახვლედიანი, დავით ლიპარტელიანი, არტურ ავეტისოვი, ირაკლი ჯიმშელეიშვილი, ლევან ხალათიანი, გიორგი ივანიშვილი** (ყველა - თბილისი), **ლევან ჯიშკარიანი** (ქუთაისი), **მამუკა ბერიაშვილი** (ყვარელი).

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

კრივი

## ჩემპიონატი უმედლოდ დავასრულეთ

ბაქოში მიმდინარე მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი ქართველი მოკრივეებისთვის გუშინ დასრულდა. პლანეტის პირველობაზე შვიდი ქართველი იბრძოდა, რომელთაგანაც მეოთხედფინალამდე მხოლოდ ერთმა, 64 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე **ზურაბ მექერიშვილმა** მიაღწია. მედლებისკენ მიმავალი გზა მას არგენტინელმა **ფაბიან მაიდანამ** გადაუკეტა, რომელმაც ქართველი მეტოქე დამაჯერებლად, 4:0 დაამარცხა.

მსოფლიოს ჩემპიონატი ჩვენი მოკრივეებისთვის დასრულდა, სამაგიეროდ, საკუთარ საქმეში გაცილებით წარმატებულია გამოცდილი და ავტორიტეტული მსაჯი **ზურაბ ტიბუა**, რომელმაც ბაქოში არაერთი ბრძოლა განსაჯა და ნახევარფინალურ და ფინალურ დაპირისპირებებზეც უთუოდ გაამწესებენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

### სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების და კლუბების საყურადღებოდ!

„ლელო“ ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის ისარგებლეთ ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

თვის მონაგარი

**აპრილი**

**1. ფეხბურთი:** „გაგრაში“ მწვრთნელი შეიცვალა, **კახა კარანაძის** ნაცვლად **ანატოლი პისკოვეცი** დაინიშნა.

**3. რაგბი:** 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა მე-3 ადგილისთვის მატჩში ბელგია 18:15 დაამარცხა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვა.

**13-14. თავისუფალი ჭიდაობა:** ბაქოში, ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი მოიპოვა **გიორგი გოგშელიძემ,** ბრინჯაო - **მალხაზ ზარქუამ** და **ოთარ თუშიშვილმა.**

**16-17. სამბო:** საბერძნეთში ახალგაზრდათა და ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატებზე ჩვენებმა ჯამში 15 მედალი დაისაკუთრეს.

**18. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა:** ბაქოში ევროპის ჩემპიონატზე **იოსებ ჯაბიძემ** ბრინჯაოს მედალი მოიგუნა.

**19. ოლიმპიზმი:** გამოქვეყნდა სოკ-ის დასკვნა ვანკუვერში მოციგავე **ნოდარ ქუმარიტაშვილის** დაღუპვის მიზეზებზე.

**23-24. ძიუდო:** ვენაში, ევროპის ჩემპიონატზე **ვარლამ ლიპარტელიანმა** ვერცხლის მედალი მოიპოვა.

**25. ძიუდო:** ევროპის გუნდური ჩემპიონატი ვენაში საქართველოს ნაკრებმა მოიგო.

**29. ფრენბურთი:** საქართველოს ჩემპიონი ქალთა შორის გახდა „თბილისი“, რომელმაც ფინალში „ჯიკო“ 3:1 დაამარცხა.

მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

თბილისი 2015 — ოლიმპიური ფესტივალი



## პროექტის მხარდაჭერა გრძელდება

*„მიმაჩნია, რომ ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი ერთ-ერთი საუკეთესო პროექტია ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში“* - განაცხადა ევროპის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **პატრიკ ჰიკმა** ამას წინათ თბილისში სტუმრობისას.

ჩეხეთის ქალაქ ბრნოსთან ერთად თბილისი 2015 წლისთვის ხსენებული სპორტული ფორუმის მასპინძლობის უფლების მოსაპოვებლად იბრძვის. საბოლოო არჩევანს კონტინენტის 49 ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტები წლეულს, ნოემბერში ბელგრადში კონგრესზე გააკეთებენ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს დედაქალაქის მიმართ ოლიმპიური ევროპა სიმპათიითაა განწყობილი და დიდი შანსია, არჩევანი თბილისზე შეჩერდეს.

მანამდე კი „თბილისი 2015“-ის ფარგლებში მასშტაბური საქმიანობა მიმდინარეობს. გუშინ, მაგალითად, ქალაქის მუნიციპალიტეტის, სეოკ-ისა და ხელბურთის ფედერაციის ორგანიზებით გლდანში, ჯემალ ცერცვაძის სახელობის ახალგარემონტებულ ხელბურთის კომპლექსში „თბილისი 2015“-ის მხარდამჭერი აქცია გაიმართა. აქციაში თბილისის მერობის კანდიდატი **გიგი უგულავა,** სეოკ-ის პრეზიდენტი **გია ნაცვლიშვილი,** ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ზაზა დოლიძე** და ვეტერანი თუ ახალი თაობის ხელბურთელები მონაწილეობდნენ. აქციის ფარგლებში მათ რამდენიმე წუთით ხელბურთიც ითამაშეს, კიდევ ერთხელ გამოხატეს მხარდაჭერა და ბრნოსთან კონკურენციაში თბილისის გაიმარჯვების სურვილი.

მომდევნო აქცია 3 მაისს ძიუდოში მეტროსადგურ „წერეთელთან“ იგეგმება.

**„ლელოს“ კორ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი | ტურნირების მიმოხილვა

# ჯოკოვიჩის გავარდა

რომში მიმდინარე მასტერსზე გადამწყვეტი მატჩების დრო დადგა. „ფორო იტალიკოს" საჩოგბურთო ცენტრის კორტებზე მეოთხედფინალისტები გამოვლინდნენ.

ორი დღის განმავლობაში ზედიზედ მეორე იოლი მატჩი მოიგო ესპანელმა **რაფაელ ნადალმა**. ამჯერად მას წინააღმდეგობა ვერ გაუწია 28 წლის რუმინელმა **ვიქტორ ჰანესკუმ**. თამაში საათსა და 23 წუთს გაგრძელდა, რომლის დროსაც ესპანელ ჩოგბურთელს ერთხელაც არ წაუგია საკუთარი მოწოდება, თავად კი სამი ბრეიკი გაიფორმა. საბოლოოდ, ჰანესკუმ პირველ სეტში სამი, მეორეში კი ორი გეიმი აიღო და 3:6, 2:6 დამარცხდა.

შესანიშნავ ფორმაში შეხვდა რომის მასტერსს შვეიცარიელი **სტანისლას ვავრინკა**, რომელმაც მიყოლებით მეორე ძლიერი მეტოქე დაამარცხა - ჩეხი **ტომაშ ბერდიხის** ძლევის შემდეგ, მან მოულოდნელად ძალიან იოლად მოუგო როლან გაროსის ფინალისტ **რობინ სიოდერლინგს**.

სკანდინაველმა მხოლოდ იმით გამოიჩინა თავი, რომ მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ ორი ბრეიკ-პოინტი მოიპოვა და ვერც ერთი ვერ გამოიყენა. ვავრინკამ კი პირველი მოწოდებით ქულების 90 პროცენტი აიღო და ეს გახდა მისი წარმატების მთავარი მიზეზი.

რომის მასტერსს გამოეთიშა მეოთხე ჩოგანი **ენდი მიურეი**, თუმცა თუ ბრიტანელის ამჟამინდელ სპორტულ ფორმასა და თიხნარის საფართან მის დამოკიდებულებას გავითვალისწინებთ, **დავიდ ფერერთან** გუშინდელ მარცხს სენსაციას ვერ ვუწოდებთ.

ფერერს საათ-ნახევარზე ოდნავ მეტი დასჭირდა მიურეის გასანადგურებლად. ესპანელმა თითო სეტში თითო ბრეიკი გაიფორმა და თავად ერთხელაც არ დაუთმო საკუთარი მოწოდება მეტოქეს. გუშინ კი დავიდმა **ჟო-ვილფრიდ ცონგაც** ჩამოიცილა გზიდან - მან ფრანგისთვის სულ რაღაც ხუთი გეიმი გაიმეტა.



საკმაოდ რთული მატჩი ჰქონდა შარშანდელ ფინალისტ **ნოვაკ ჯოკოვიჩს**. სერბს გვარიანად გაუძალიანდა ბრაზილიელი **ტომაშ ბელუჩი**. ორივე სეტი პრაქტიკულად ერთნაირი სცენარით წარიმართა. სამხრეთამერიკელმა ორივე პარტიის დასაწყისში შეძლო ბრეიკის გაკეთება, მაგრამ ორივეჯერ დაკარგა მოპოვებული უპირატესობა და სეტების ბოლოს ჯოკოვიჩმა უფრო მაღალი კლასის წყალობით მიაღწია წარმატებას - 6:4, 6:4.

გუშინ სერბმა ველარ შეძლო უფრო წინ წასვლა. მან სამსაათიანი მარათონი წააგო ესპანელ **ფერნანდო ვერდასკოსთან** (7:6(4), 3:6, 6:4), რომელმაც სათიხნარო სეზონში ბოლო 12 მატჩიდან 11 მოიგო. ამ მატჩში მეტოქეებმა ჯამში 9 ბრეიკი გააკეთეს, მათ შორის ურთიერთშეხვედრათა ანგარიში კი 5:5 გახდა. ვერდასკო ნახევარფინალში ფერერს შეხვდება.

■ ■ ■

ასევე მეოთხედფინალისტები გამოვლინდნენ შტუტგარტში, სადაც ქალები ერთმანეთს პორშეს გრან-პრისთვის ებრძვიან.

შარშანდელი ჩემპიონის **სვეტლანა კუზნეცოვას** შემდეგ, ტურნირს პირველ ნომრად განთესილი **კაროლინ ვოზნიაცკიც** გამოეთიშა. დანიელმა ვერაფერი მოუხერხა ჩეხი **ლუსი საფაროვას** მოწოდებებს. ამ უკანასკნელმა ქალებისთვის არადამახასიათებელი ჩოგბურთი ითამაშა - ერთხელაც არ დათმო გეიმი საკუთარ მოწოდებაზე და უფრო მეტიც - ბრეიკ-პოინტიც კი არ დაანება მეტოქეს, თავად კი ორივე სეტში თითო ბრეიკი გაახერხა და ამის წყალობით 6:4, 6:4 გაიმარჯვა. თანაც ჩეხმა მატჩის მოსაგებად სულ რაღაც საათი და 6 წუთი იკმარა.

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ მოგებით დაბრუნდა ქალთა ტურში **დინარა საფინა**. რუს ჩოგბურთელს აშკარად დაეტყო სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობა უნგრელი **აგნეშ შავაის** წინააღმდეგ. პირველ სეტში საფინა 1:4 ჩამორჩა, მაგრამ შეძლო სიტუაციის გამოსწორება და პარტიის ტაი-ბრეიკზე მოგება. მეორე პარტიაში რუსმა პაუზა აიღო და შავაის სეტის მოგების საშუალება მისცა - 3:6, თუმცა გადამწყვეტ სეტში კორტის სრული ბატონ-პატრონი გახდა და ერთი გეიმიც აღარ დაანება უნგრელ ჩოგბურთელს - 6:0.

თუმცა გუშინ აშკარად დავინახეთ, რომ დინარას სპორტულ ფორმასთან დაკავშირებით აშკარა პრობლემები აქვს - მან სულ რაღაც ხუთი გეიმი აუღო ისრაელელ **შაარ პეერს** და 3:6, 2:6 განადგურდა.

**ATP**

**Internazionali BNL d'Italia**

რომი (იტალია). თიხნარი

**საპრიზო ფონდი:** 2 227 500 ევრო

**1/8 ფინალი**

**ერნესტ გულბისი (ლატ)**-ფილიპო ვოლანდრი (იტა) 6:2, 3:6, 7:6(4); **ფელისიანო ლოპესი (ესპ)**-ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 11) ლუბიჩიჩის უარი; **რაფაელ ნადალი (ესპ, 3)**-ვიქტორ ჰანესკუ (რუმ) 6:3, 6:2; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც)**-რობინ სიოდერლინგი (შვედ, 5) 6:3, 6:2; **ჟო-ვილფრედ ცონგა (საფ, 7)**-სანტიაგო ხირალდო (კოლ) 6:3, 6:4; **დავიდ ფერერი (ესპ, 13)**-ენდი მიურეი (ბრიტ, 4) 6:3, 6:4; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 6)**-გილერმო გარსია ლოპესი (ესპ) 6:4, 7:6(2); **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2)**-ტომაშ ბელუჩი (ბრა) 6:4, 6:4.

**WTA**

**Porsche Tennis Grand Prix**

შტუტგარტი (გერ). თიხნარი

**საპრიზო ფონდი:** 700 00 ევრო

**1/8 ფინალი**

**ლუსი საფაროვა (ჩეხ)**-კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1) 6:4, 6:4; **დინარა საფინა (რუს, 2)**-აგნეს შავაი (უნგ) 7:6(5), 3:6, 6:0; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 4)**-ცვეტანა პირონკოვა (ბულ) 6:2, 6:2; ანა ლაპუშჩენკოვა (რუს)-ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 6) 6:3, 6:3; **სამანტა სტოსური (ავსტრა, 7)**-ალექსანდრა დულგერუ (რუმ) 3:6, 6:0, 6:2; **ჟუსტინ ანენი (ბელ)**-იანინა ვიკმაიერი (ბელ, 8) 6:3, 7:5.

ჰოკეი | NHL პლეი ოფი. 1/4 ფინალი

# ზვიგენებმა ნავსი გატეხეს

„სან ხოსესა" და „დეტროიტის" მატჩით გაიხსნა სტენლის თასის მეოთხედფინალი. „ზვიგენებმა", რომლებსაც საკუთარი მოედნის უპირატესობა აქვთ, შინ მიიღეს „რედ უინგზი".

თანაბარი ბრძოლა მხოლოდ პირველ 10 წუთში იყო, რის შემდეგაც სტუმრებისთვის ნამდვილი კოშმარი დაიწყო - წუთისა და 19 წამის ინტერვალში „ზვიგენებმა" სამი გოლი გაიტანეს „დეტროიტის" კარში. თავიდან **ჯო პაველსკიმ** შორეული დარტყმით გამოიყენა რიცხობრივი უპირატესობა, შემდეგ **დენი ჰიტლიმ** (ამ ჰოკეისტმა რეგულარულში „დეტროიტთან" ცხრა შეხვედრაში ვერც ერთი გოლი ვერ შეაგდო) ახლო მანძილიდან გაიტანა **ჯო ტორნტონის** ბრწყინვალე პასის შემდეგ, იქვე კი **დევინ სეტოგუჩიმ** მესამე შაიბა შეაგდო დაბნეული **ჯიმი ჰოვარდის** კარში.

სტუმართა ამ ჩავარდნას ლოგიკური ახსნა მოეძებნება - „რედ უინგზმა" ორი დღის წინ ითამაშა „ფინიქსთან" სერიის მეშვიდე მატჩი, რის შემდეგაც შინ დეტროიტში დაბრუნდა და იქედან სან ხოსეში გაემგზავრა. „შარქსს" კი ოთხი დღე დასვენება ჰქონდა.

მიუხედავად ამისა, „დეტროიტი" გამოცდილი გუნდია და ასეთ ურთულეს სიტუაციებშიც კი იშვიათად იბნევა. სტენლის თასის ფინალისტმა შეძლო მინიმუმამდე ანგარიშის შემცირება. სტუმრები უხეშმა თამაშმა დაღუპა. მესამე პერიოდის დასაწყისში „შარქსმა" ორკაციანი უპირატესობა მიიღო და ეს საჩუქარი კარგად გამოიყენა: პლეი ოფში „სან ხოსეს" საუკეთესო მოთამაშე პაველსკიმ დუბლი შეასრულა და აღადგინა თავისი გუნდის სოლიდური უპირატესობა.

„სან ხოსესთვის" ამ გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა აქვს - აქამდე ეს გუნდი ზედიზედ ოთხჯერ საშინაო წაგებით იწყებდა პლეი ოფის სერიას და მხოლოდ ახლა გატეხა ნავსი.

**სან ხოსე-დეტროიტი 4:3**

**3:1, 0:1, 1:1**

**გოლები:** 1:0 პაველსკი-6 (ბოილი-5, დემერსი-2), 2:0 ჰიტლი-1 (ჯ. ტორნტონი-4, დემერსი-3), 3:0 სეტოგუჩი-4 (პაველსკი-4, ბოილი-6), 3:1 კლირი-1 (ჯ. ერიქსონი-2, აბდელკადერი-1), 3:2 ფრანცენი-2 (დაციუკი-4), 4:2 პაველსკი-7 (ბოილი-7, ჰიტლი-5), 4:3 რაფალსკი-1 (დაციუკი-5, ფრანცენი-7).

**სერია: 1:0**

■ ■ ■

„სან ხოსესა" და „დეტროიტის" მატჩამდე ცოტა ხნით ადრე ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ სეზონის მთავარი პრიზის - რეგულარული ჩემპიონატის უძვირფასესი მოთამაშის (Hart Memorial Trophy) ნომინანტები დაასახელა. ესენი არიან: **ჰენრიკ სედინი** („ვანკუვერი"), **სიდნი კროსბი** („პიტსბურგი") და **ალექსანდრ ოვეჩკინი** („ვაშინგტონი").

ოვეჩკინი ბოლო ორ სეზონში ამ პრიზის ორგზის მფლობელი გახდა. რუსმა წელს მეორე ადგილი გაიყო კროსბისთან საუკეთესო ბომბარდირთა სიაში - 109 ქულა. თავად კროსბიმ უკვე მოიგო სეზონის ერთი პრიზი - Maurice Richard Trophy, რომელიც რეგულარულის საუკეთესო გოლეადორს გადაეცემა. „პიტსბურგის" კაპიტანმა 51 გოლით ეს ჯილდო „ტამპა ბეის" ფორვარდ **სტივენ სტემკოსთან** გაიყო. კროსბი ერთხელ უკვე იყო Hart Memorial Trophy-ის მფლობელი (2007).

რაც შეეხება ჰენრიკ სედინს, ის 112 ქულით რეგულარული სეზონის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, გარდა ამისა, პირველი ადგილი დაიკავა შედეგიანი გადაცემების რაოდენობით - 83. მან უახლოეს მდევარს 14 პასით გაუსწრო.

სეზონის საუკეთესო მოთამაშე NHL-ის პრიზების გადაცემის საზეიმო ცერემონიაზე გამოცხადდება. შოუ 23 ივნისს ლას ვეგასში გაიმართება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ანკონა-გროსეტო | 1:1 |
| **ესპანეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ელჩე-ვილიარეალი B | 2:3 |
| **გერმანია** | |
| **III ბუნდესლიგა** | |
| ბაიერნი A-ვერდერი A | 2:1 |
| დორტმუნდი A-რეგენსბურგი | 2:0 |
| აუე-ბრაუნშვაიგი | 2:1 |
| ჰაიდენჰაიმი-დინამო (დრ) | 3:0 |
| ოსნაბრიუკი-კილი | 3:1 |
| ერფურტი-ბურგჰაუზენი | 1:1 |
| ზანდჰაუზენი-ოფენბახი | 1:1 |
| შტუტგარტი A-უნტერჰახინგი | 3:1 |
| ვეენი-ინგოლშტადტი | 1:5 |
| ვუპერტალი-კარლ ცაისი | 1:1 |
| **საფრანგეთი** | |
| ოსერი-მარსელი | 0:0 |
| **II დივიზიონი** | |
| აიაჩო-მეცი | 1:1 |
| კაენი-ისტრი | 1:1 |
| შატორუ-ჰავრი | 3:1 |
| კლერმონი-ბასტია | 0:0 |
| სედანი-გინგამი | 1:0 |
| ვანი-დიჟონი | 1:0 |
| ანჟერსი-ლავალი | 2:1 |
| არლი-ნანტი | 1:0 |
| ბრესტი-ტური | 2:0 |
| სტრასბური-ნიმი | 1:1 |
| **ბელგია** | |
| **პლეი ოფი** | |
| ვარეგემი-ანერლეხტი | 0:0 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ბრაგი-ასირისკა | 2:2 |
| **ფინეთი** | |
| ჰაკა-იარო | 4:3 |
| **ავსტრია** | |
| რაპიდი-კაპფენბერგი | 5:3 |
| **II დივიზიონი** | |
| ლუშტენაუ-ჰარტბერგი | 3:1 |
| ადმირა-აუსტრია II | 2:1 |
| ტიროლი-სტ. პოლტენი | 2:1 |
| გრატკორნი-დორნბირნი | 5:0 |
| ზალცბურგი II-ვენა | 5:1 |
| **ირლანდია** | |
| ბოჰემიანსი-უნივერსიტი | 0:0 |
| ბრეი-გალვეი | 0:2 |
| დროგედა-დანდალკი | 1:3 |
| სტ. პატსი-შემროკი | 1:2 |
| **II დივიზიონი** | |
| ფინ ჰარპსი-კორკი | 0:0 |
| მონეგანი-ლიმერიკი | 2:1 |
| შელბურნი-მერვუ | 4:0 |
| უექსფორდი-ეთლონი | 2:1 |
| **კვიპროსი** | |
| ეთნიკოსი-აპოპ | 4:2 |
| **ჩეხეთი** | |
| სლოვაცკო-ბოლესლავი | 1:0 |
| **რუსეთი** | |
| ანჟი-კრილია | 0:0 |
| **უკრაინა** | |
| ვორსკლა-არსენალი | 1:5 |
| მეტალურგი (დ)-ზორია | 0:0 |
| **პოლონეთი** | |
| ბელხატოვი-კრაკოვია | 3:0 |
| ვისლა-კორონა | 0:1 |
| **ხორვატია** | |
| კროაცია-ზაგრები | 1:4 |
| **სლოვენია** | |
| დრავა-გორიცა | 2:4 |
| ინტერბლოკი-ნაფტა | 1:1 |
| პუბლიკუმი-რუდარი | 0:0 |
| დომჟალე-ოლიმპია | 1:2 |
| კოპერი-მარიბორი | 0:0 |
| **უნგრეთი** | |
| ფერენცვაროში-უიპეშტი | 0:1 |
| **რუმინეთი** | |
| გლორია-პანდური | 1:0 |
| ასტრა-კლუჟი | 1:0 |
| **ბოსნია** | |
| სლობოდა-ბორაცი | 2:0 |
| ტრავნიკი-სელიკი | 2:1 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **ევროჩელენჯი** | |
| კრასნიე კრილია-სკავოლინი | 73:70 |
| გეტინგენი-როანი | 77:67 |
| **საფრანგეთი** | |
| ნანსი-გრაველენი | 72:87 |
| ვილერბანი-ვიში | 86:79 |
| პარიზი-ორლეანი | 84:83 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. რომი** | |
| ჯოკოვიჩი-**ვერდასკო** | 6:7, 6:3, 4:6 |
| **ფერერი**-ცონგა | 6:4, 6:1 |
| **ნადალი**-ვავრინკა | 6:4, 6:1 |
| **გულბისი**-ფ. ლოპესი | 7:6, 6:1 |
| **WTA. ფესი** | |
| **ჰალეპი**-ვორაკოვა | 7:5, 6:4 |
| კორნე-**ბენეშოვა** | 3:6, 6:4, 5:7 |
| **WTA. შტუტგარტი** | |
| **სტოსური**-ნა ლი | 6:3, 6:3 |
| საფინა-**პეერი** | 3:6, 2:6 |
| **ანენი**-იანკოვიჩი | 3:6, 7:6, 6:3 |
| საფაროვა-**ლაპუშჩენკოვა** | 6:7, 6:1, 1:6 |

TV პროგრამა

**1 მაისი. შაბათი**

**I არხი**

18:30 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი (LIVE).

**მზე**

13:00 იმედის ფსონი

**SPORT 1 (უკრაინა)**

17:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ვერდერი (LIVE).
20:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პარმა-რომა (LIVE).
22:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ფიორენტინა (LIVE).
05:00 პროფესიული კრივი. სარეიტინგო ბრძოლა. ფლოიდ მეივეზერი-შეინ მოზლი. ლას ვეგასი. აშშ (LIVE).

**SPORT 2 (უკრაინა)**

18:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ბოლტონი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

15:40 ინგლისის ჩემპიონატი. ბირმინგემი-ბარნსლი (LIVE).
17:55 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ასტონ ვილა (LIVE).
19:55 იტალიის ჩემპიონატი. პარმა-რომა (LIVE).
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ესპანიოლი-ვალენსია (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

16:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
18:40 რაგბი. ჰაინეკენის თასი. 1/2 ფინალი. ტულუზა (საფრანგეთი)-ლეინსტერი (ირლანდია) (LIVE).
20:55 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. 1/4 ფინალი. მონპელიე (საფრანგეთი)-ჩეხოვსკიე მედვედი (რუსეთი). საპასუხო მატჩი (LIVE).
22:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ფიორენტინა (LIVE).
05:00 პროფესიული კრივი. სარეიტინგო ბრძოლა. ფლოიდ მეივეზერი-შეინ მოზლი. ლას ვეგასი. აშშ (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

13:55 ჰოკეი. ევროტური. ფინეთი-ჩეხეთი. შვედეთი (LIVE).
17:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი (LIVE).
19:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პარმა-რომა (LIVE).
21:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ესპანიოლი-ვალენსია (LIVE).
23:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ბარსელონა (LIVE).

**EUROSPORT**

13:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
16:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
17:45 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
20:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
22:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).

**2 მაისი. კვირა**

**I არხი**

19:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

**მზე**

13:00 იმედის ფსონი

**რუსთავი 2**

14:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

14:15 მოტოსპორტი. მოტოგრან-პრი 2. ესპანეთის გრან-პრი (LIVE).
16:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ჩელსი (LIVE).
19:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდი-მანჩესტერ იუნ (LIVE).
21:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-ინტერი (LIVE).

**SPORT 2 (უკრაინა)**

16:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სიენა-პალერმო (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

16:25 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ჩელსი (LIVE).
18:55 ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდი-მანჩესტერ იუნ (LIVE).
20:55 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ოსასუნა (LIVE).
22:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-მალიორკა (LIVE).
01:15 არგენტინის ჩემპიონატი. ინდეპენდიენტე-ბოკა ხუნიორსი (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

18:10 რაგბი. ჰაინეკენის თასი. 1/2 ფინალი. ბიარიტცი (საფრანგეთი)-მანსტერი (ირლანდია) (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

18:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
22:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-ინტერი (LIVE).

**EUROSPORT**

12:30 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. მარაკეში. მაროკო (LIVE).
15:00 ავტოსპორტი. ფორმულა 2. II რბოლა. მარაკეში. მაროკო (LIVE).
16:00 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. I რბოლა. მარაკეში. მაროკო (LIVE).
17:00 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. მარაკეში. მაროკო (LIVE).
18:30 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
23:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).

# სპურსი დალასზე ძლიერია

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის პლეი ოფში პირველი სენსაცია ვიხილეთ. დიახ, „დალასისა" და „სან ანტონიოს" განთესვის ნომრებით თუ ვიმსჯელებთ, „მავერიქსის" გავარდნა სენსაციად აღიქმება, თუმცა სხვა დანარჩენი კრიტერიუმებით შეფასებისას ამ გუნდების დაპირისპირებაში მოულოდნელი არაფერი მომხდარა.

შეხვედრის დებიუტში მასპინძლებმა საკუთარ ფართან მისასვლელი გზები გადაკეტეს და ძალიან მალე უპირატესობა 19 ქულამდე აიყვანეს. **დირკ ნოვიცკისა** და **კერონ ბატლერის** გარდა, „დალასის" რიგებში ბრძოლის ჟინი არავის ალმოაჩნდა. თამაშიდან ნასროლი 20 ბურთი და 16 აცილება, ექვსი შეცდომა და შვიდი პერსონალური - ასეთი საშინელი სტატისტიკა ჰქონდათ სტუმრებს სასტარტო წუთებში.

სერიის მეექვსე მატჩში, როცა გუნდს ერთი მოგება აშორებს შემდეგ წრეში გასასვლელად, ასეთი უპირატესობის გაფლანგვა გაუმართლებელი საქციელია, მაგრამ პლეი ოფი იმით არის მიმზიდველი, რომ გუნდები ყველაზე გამოუვალ სიტუაციაშიც კი ბოლომდე იბრძვიან. გამონაკლისი არც „დალასი" ყოფილა - მან 29:10 გაქცევის ორგანიზება შეძლო და მესამე მეოთხედში ისიც კი მოახერხა, რომ პირველად მატჩში წინ გავიდა. მაგრამ სტუმრებმა საქმე გაკეთებულად ჩათვალეს და დაისაჯნენ კიდეც. **ჯინობილიმ** სამქულიანი ჩააგდო, **დანკანი** სამწამიანში ორჯერ უპრობლემოდ გაუსწორდა მჯურვეებს, **ჰილმა** საშუალო მანძილიდან ურთულესი ტყორცნა მოათავსა კალათში, **პარკერმა** კი შესანიშნავი გარღვევა მოაწყო - 70:63.

ერთადერთი, რაც სერიის ფავორიტმა შეძლო, ეს იყო ნოვიცკის ჯარიმებისა და **ჯეისონ ტერის** ორქულიანის წყალობით ბოლო მეოთხედში ჩამორჩენის ორ ქულამდე შემცირება. მასპინძლებმა ამას **ანტონიო მაკდაესის** წარმატებული მოქმედებითა და ჰილის სამქულიანით უპასუხეს, შემდეგ კი მშვიდად „დაბომბეს" მეტოქე საჯარიმოს ხაზიდან და ნაადრევად გაუშვეს „დალასი" არდადეგებზე. უნდა აღინიშნოს, რომ „სპურსი" მეხუთე გუნდია ლიგის ისტორიაში, რომელმაც მეშვიდე განთესვის ნომრით მოიგო პლეი ოფის სერია.

■ ■ ■

გუშინ პორტლენდში კიდევ ერთი მეოთხედფინალისტი გამოვლინდა - უფრო გამოცდილმა „ფინიქსმა" გატეხა „თრეილ ბლეიზერსის" წინააღმდეგობა. „სან ანტონიოსგან" განსხვავებით, სტუმრებმა **ამარე სტაუდმაიერისა** და **ჯეისონ რიჩარდსონის** მონდომებით დებიუტში უფრო მოკრძალებული სპურტი მოაწყვეს - 17:6, სამაგიეროდ, მატჩის დარჩენილ დროში ერთხელაც არ მისცეს მეტოქეს წინ გასვლის საშუალება.

თუმცა **ნეიტ მაკმილანის** შეგირდებს მაინც ჰქონდათ გადარჩენის შანსი - 59:69-ზე **მარტელ უებსტერი** „აფეთქდა", რომელმაც 77 წამის განმავლობაში ზედიზედ სამი სამქულიანი ჩააგდო. მას მხარი აუბა **რუდი ფერნანდესმა**, რომელმაც რვა მეტრიდან ნასროლი ბურთი მოათავსა კალათში, ხოლო, როცა **ჯარედ ბეილესმა** საშუალო მანძილიდან ზუსტად ესროლა, მთელი Rose Garden სასწაულის მოლოდინში გაინაბა - 75:76.

მართალია, შემდეგ შეტევაში **ლამარკუს ოლდრიჯმა** ანგარიში გაათანაბრა (ორიდან ერთი საჯარიმო ჩააგდო), „ფინიქსი" ამას არ შეუშინებია. მეტოქის სამწამიან ზონაში სტაუდმაიერის, **დრაგიჩისა** და რიჩარდსონის (ორჯერ) ოთხმა საჩვენებელმა გამოსვლამ „ფინიქსის" გადამწყვეტი სპურტი (8:0) გამოიწვია, რისი წყალობითაც „სანზმა" მშვიდად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე.

საინტერესოა, რომ გრძელდება პლეი ოფში „პორტლენდის" ანტირეკორდი - „ფინიქსთან" სერიაში მარცხი ზედიზედ მეექვსე გახდა ორეგონული გუნდისთვის - 1999-2000 წლების სეზონში „იუტას" ძლევის (4:1) შემდეგ, „ბლეიზერსმა" 10 მატჩი მოიგო და 26 შეხვედრაში დამარცხდა.

„ფინიქსს" „სან ანტონიოსთან" სერია ელის. ეს იქნება ამ გუნდებისთვის მერვე დაპირისპირებაა ბოლო 15 წლის განმავლობაში. ჯერჯერობით „სპურსს" უდავო უპირატესობა აქვს - მან შვიდიდან ექვსი სერია მოიგო, თუმცა ერთი კოზირი არიზონულ კლუბსაც აქვს - საკუთარი მოედნის უპირატესობა.

**სან ანტონიო-დალასი 97:87**

**22:8, 25:26, 23:29, 27:24**

**ს-ა:** ჯინობილი (26+5 პასი), ჰილი (21+6 მოხსნა), დანკანი (17+10 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა+3 დაფარება), პარკერი (10+8 პასი+7 მოხსნა).

**დ:** ნოვიცკი (33), ბატლერი (25), ბობუა (16), კიდი (3+8 მოხსნა+6 პასი).

**სერია: 4:2**

**პორტლენდი-ფინიქსი 90:99**

**17:24, 24:29, 24:21, 25:25**

**პ:** უებსტერი (19), ოლრიჯი (16+9 მოხსნა+5 დაფარება), ფერნანდესი (16), როი (14), ბეილესი (12+7 პასი).

**ფ:** რიჩარდსონი (28+7 მოხსნა), სტაუდმაიერი (22), დადლი (12), ნეში (10+6 პასი), დრაგიჩი (10), ჰილი (3+12 მოხსნა).

**სერია: 2:4**

■ ■ ■

გუშინვე გამოვლინდა NBA-ის რეგულარული ჩემპიონატის მორიგი ლაურეატი. ლიგის ხელმძღვანელობამ სეზონის საუკეთესო ახალბედად „საკრამენტო კინგზის" გამთამაშებელი **ტაირიკ ევანსი** დაასახელა. ამ ნიჭიერმა კალათბურთელმა უკან ჩამოიტოვა **სტივენ კარი** „გოლდენ სტეიტიდან" და **ბრენდონ ჯენინგსი** „მილუოკიდან".

ევანსი გახდა მეოთხე დებიუტანტი ისტორიაში, ვინც საშუალოდ მატჩში მინიმუმ 20 ქულას, ხუთ შედეგიან გადაცემასა და ამდენივე მოხსნას აგროვებდა. მანამდე ასეთი შედეგი **ოსკარ რობერტსონს, მაიკლ ჯორდანსა** და **ლებრონ ჯეიმსს** ჰქონდათ.

„საკრამენტომ" ევანსი შარშანდელ დრაფტზე მეოთხე ნომრად აირჩია. მცველი ახალბედებს შორის ყველაზე შედეგიანი იყო (20.1 ქულა), მეორე გახლდათ შედეგიანი პასების რაოდენობით (5.8) და მეხუთე - მოხსნებში (5.3).

■ ■ ■

ამასობაში გაირკვა, რომ 2010 წლის დრაფტზე, რომელიც 24 ივნისს ნიუ იორკის „მედისონ სკვერ გარდენში" გაიმართება, 104-მა კალათბურთელმა შეიტანა განაცხადი.

ამათგან 23 მოთამაშე ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ ცხოვრობს. ყველაზე მეტი - რვა წარმომადგენელი ეყოლება საფრანგეთს, ხოლო ყველაზე მაღალი ნომერი ლიტველ **დონატას მიტიუნასს** ექნება, რომელიც იტალიის „ბენეტონში" თამაშობს. ბალტიისპირელს, სავარაუდოდ, პირველ ათეულში აირჩევენ.

დრაფტის ფავორიტებად კი მცველი **ჯონ უოლი**, უნივერსალი **ევან ტერნერი**, აგეთვე ფორვარდები - **დერიკ ფეივორსი, უესლი ჯონსონი** და **გრეგ მონრო** ითვლებიან.









## კრივი

# კლიჩკო ჰეის მიუახლოვდა

კრივის საერთაშორისო ფედერაციამ (IBF) უკრაინელ მძიმეწონოსან **ვლადიმირ კლიჩკოს** ბრიტანელ **დევიდ ჰეისთან** ბრძოლის უფლება მისცა. კლიჩკოს წარმომადგენლებმა უკვე დაიწყეს მოლაპარაკებები ამ ბრძოლის ორგანიზებაზე. შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე, IBF-მა უკრაინელს რუს **ალექსანდრ პოვეტკინთან** ჩხუბი დაავალდებულა. ეს უკანასკნელი ამ ორგანიზაციის აუცილებელ პრეტენდენტად ითვლება.

ვლადიმირ კლიჩკო IBF-სა და WBO-ის საჩემპიონო ქამრების მფლობელია, ჰეის - WBA-ის ტიტული ეკუთვნის. როგორც IBF-ის ოფიციალურმა წარმომადგენელმა **ლინსი ტაკერმა** განაცხადა, ტიტულების გამაერთიანებელ ბრძოლას ჩემპიონობის აუცილებელ დაცვაზე მეტი პრიორიტეტი აქვს.

ტაკერმა დაამატა, რომ კლიჩკომ უკვე ოფიციალურად გამოაცხადა ჰეისთან მოლაპარაკების დაწყება. თუ უკრაინელი და ბრიტანელი ვერ შეთანხმდებიან, ვლადიმირს პოვეტკინთან შეხვედრა მოუწევს. ტაკერმა იმედი გამოთქვა, რომ უკრაინელი ჯერ ჰეის დაამარცხებს და შემდეგ შეხვდება რუს მოკრივეს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**